"ჩვენ გვიცავდა ჩვენი პოლიცია", ახლა პატრული დაგვიცავს A2

საბანკო ანაბრების დაზღვევა - აქტუალური თემა საქართველოსთვის A8

"საოჯახო ტოტო" - ცხრილები B6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ორშაბათი, 21 ივნისი, 2004 წელი. №145 (694)

ფასი 50 თეთრი

ნაშუაღამევს

## საარჩევნო უბნების დახურვის შემდეგ

წინასწარი არაოფიციალური ინფორმაციით, აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობა ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 70-ზე მეტმა პროცენტმა მიიღო.

საარჩევნო უბნების დახურვის შემდეგ საერთო ფონი საკმაოდ გამწვავდა. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ხელვაჩაურის ერთ-ერთ უბანზე ხელჩართული ბრძოლა გაიმართა, ხოლო მეორე უბანს ჩაშლის საფრთხე დაემუქრა. როგორც "რესპუბლიკელები" აცხადებდნენ, ამ უბნებს "ნაციონალები" სპეციალურად შლიდნენ, რადგან მაჟორიტარულ არჩევნებს "რესპუბლიკელთა" პარტიული სიის პირველი ნომერი მურმან დუმბაძე იგებდა.

"რესპუბლიკელები" ამ დარბევის ავტორებსაც ასახელებდნენ და კატეგორიულად უარყოფდნენ ხმებს, რომლის თანახმადაც, უბანი თავად მათ ჩაშალეს, რადგან არჩევნებში აგებდნენ. "უბანზე "ნაციონალები" შეიჭრნენ კობა ბექაურის მეთაურობით," - აცხადებდა "რესპუბლიკელთა" ერთ-ერთი ლიდერი დავით ბერძენიშვილი. თავის მხრივ, "ნაციონალი" დავით კირკიტაძე ამ დარბევის ორგანიზატორად დუმბაძის ძმას ასახელებდა.

უკვე საღამოს 9 საათისათვის დავით ბერძენიშვილმა ბათუმელებს მიულოცა ის გამარჯვება, რომელიც მისმა პარტიამ ამ ქალაქში მოიპოვა, რადგან, მისი თქმით, პირველ ოლქში პარტიის მაჟორიტარმა კანდიდატმა მოიგო, "რესპუბლიკელებისა" და "ნაციონალების" "ომი" კი მათი საგრძნობი უპირატესობით დამთავრდა. როგორც ბერძენიშვილმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, მისი ინფორმაციით, ბათუმს ორივე პარტია თანაბრად "გაიყოფს" (საქმე ის არის, რომ ქალაქის მეორე ოლქში "ნაციონალების" უპირატესობა აშკარა იყო).

ნაშუაღამევს გავრცელებული წინასწარი მონაცემებით, "საკაშვილი – გამარჯვებული აჭარა"-მ მთელი აჭარის მასშტაბით აბსოლუტური და დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა.

პოლიტიკა

## ევროპის შუაგულში



ამ ცივილიზაციის მთელი ისტორია, როგორც "ოკეანე-წვეთში", აისახება ბრიუსელის ულამაზეს ცენტრალურ მოედანზე.

A3

ამინდი

| | 21/07 | 22/07 |
| --- | --- | --- |
| თბილისი | 33 | 33 |
| ქუთაისი | 31 | 32 |
| ბათუმი | 28 | 29 |
| სოხუმი | 27 | 28 |
| ფოთი | 29 | 30 |
| თელავი | 32 | 32 |
| ზუგდიდი | 31 | 32 |
| გორი | 28 | 29 |
| ახმეტა | 32 | 31 |

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
| --- | --- |
| აშშ დოლარი | 1.9200 |
| ევრო | 2.3002 |
| გირვანქა სტერლ. | 3.5063 |
| რუბლი | 0.0661 |

# აჭარამ საკუთარი არჩევანი გააკეთა



*მიუხედავად იმისა, რომ ყველა ელოდა საარჩევნო სუბიექტებს შორის მწვავე კონფლიქტს, დაპირისპირება გამოიწვია კობა დავითაშვილის ინიციატივამ.*

*გუშინ, დღის პირველ საათზე უკვე ნათელი იყო, რომ აჭარაში არჩევნები შედგა – საარჩევნო უბნებთან 16 პროცენტზე მეტი ამომრჩეველი იყო მისული. საღამოს ხუთ საათზე კი უკვე ოფიციალურად გამოცხადდა, რომ არჩევნებში მონაწილეობა ერთ მესამედზე გაცილებით მეტ ამომრჩეველს ჰქონდა მიღებული...*

### პროგნოზები გამართლდა

აჭარამ საკუთარი არჩევანი გააკეთა. "ნაციონალური მოძრაობა" რომ ერთპიროვნული გამარჯვებული იქნებოდა, ამაში ეჭვი არავის ეპარებოდა, რადგან აჭარის მოსახლეობის მთავარი ორიენტირი, პარტიულ სიაში შეყვანილ თუ მაჟორიტარ კანდიდატებზე მეტად, საქართველოს პრეზიდენტი იყო, რომლის მიმართ სიყვარული აჭარაში განსაკუთრებულად იგრძნობა. აჭარის მოსახლეობამ, უკვე მეორედ, საკუთარი მომავალი მიხეილ სააკაშვილს მიანდო (პირველად ეს 4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების დროს მოხდა).

აქედან გამომდინარე, გუშინდელ არჩევნებს უფრო "ნდობის არჩევნები" შეიძლება ვუწოდოთ, რადგან, როგორც აქამდე არაერთხელ გვითქვამს, აჭარელმა ამომრჩეველმა, ფაქტობრივად, არაფერი იცოდა თავად ადგილობრივი "ნაციონალების" სამოქმედო პროგრამაზე. მათთვის მთავარი ის დაპირება იყო, რომელიც პრეზიდენტის მხრიდან ამ ბოლო დღეებში არაერთხელ გაისმა.

ამავე დროს, თავად ცენტრალურმა ხელისუფლებამ განსაკუთრებულად იზრუნა, რათა გამარჯვება ძალზე შთამბეჭდავი ყოფილიყო – არჩევნებამდე დარჩენილ დღეებში ბათუმი და აჭარის რაიონები "ნაცმოძრაობის" აქტივისტებმა და ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებმა, ფაქტობრივად, "დალაშქრეს". მართალია, პარასკევს მიხეილ სააკაშვილი აჭარიდან გაემგზავრა, მაგრამ მეორე დღესვე ბათუმში ჯერ პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე, მოგვიანებით კი საქართველოს პირველი ლედი – სანდრა რულოვსი გამოჩნდნენ. თავად პარლამენტის თავმჯდომარემ არჩევნებამდე დარჩენილი საათები მოსახლეობასთან შეხვედრას და აქტიურ პროპაგანდა-აგიტაციას დაუთმო. საღამოს კი, საქართველოს პირველმა ლედიმ და პარლამენტის თავმჯდომარემ ბათუმის ბულვარში ერთად გაისეირნეს და ერთ-ერთ ღია კაფეში ყავა და წვენი მიირთვეს. შემდეგ კი იყო გრანდიოზული აგიტ-კონცერტი ბათუმის სტადიონზე, სუხიშვილების "ასა ფართისა" და ქართული ესტრადის ახალგაზრდა ვარსკვლავების მონაწილეობით, რომელსაც ორივე ქალბატონი ესწრებოდა. მათ ბათუმის სტადიონზე შეკრებილებს არჩევნებზე მისვლისა და საარჩევნო ბიულეტენებში მეხუთე ნომრის შემოხაზვისაკენ მოუწოდეს. აღარაფერს ვამბობთ კონცერტის წამყვანებზე, რომლებიც ლამის ხუთ წუთში ერთხელ სიტყვა ხუთს ორ-ორჯერ იმეორებდნენ.

სხვათა შორის, მმართველმა პარტიამ პირველი საარჩევნო დარღვევა სწორედ ამ კონცერტზე ჩაიდინა – საქმე ის არის, რომ კანონის თანახმად, წინასაარჩევნო აგიტაცია ღამის თორმეტ საათზე უნდა შეწყვეტილიყო, მაგრამ კონცერტით გართულ წამყვანებს, როგორც ჩანს, დრო გაეპარათ და აგიტაცია თორმეტის მერეც განაგრძეს.

გაგრძელება A3 გვერდზე

ფართო საინფორმაციო სპექტრი, ანალიტიკა, საბიუჯეტო, საბანკო, ენერგეტიკული სფეროს მონიტორინგი, ჟურნალისტური გამოძიებები, კულტურისა და სპორტის სიახლეები, საკუთარი კორესპონდენტების მიერ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან მოწოდებული უახლესი ამბები.

"24 საათის" დანართები - "სამართალი", "ბიზნესი", "დედაქალაქი", "მონადირე", "ავტომობილი", "ევროსტორია", "სპეცსამსახურები", "მეცნიერება და ტექნიკა", "გულახდილად".

ერთობლივი პროექტები "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან" და "ევრაზიის ფონდთან" განუმარტავს მოქალაქეებს მათ უფლებებსა და მოვალეობებს, გაათვითცნობიერებს მათ სამართლებრივ და საგანმანათლებლო საკითხებში.

"24 საათი" ექსკლუზიურად აქვეყნებს ოფიციალურ დოკუმენტებს - პრეზიდენტის, მთავრობისა და სხვა სახელისუფლებო სტრუქტურების ბრძანებებს, დადგენილებებს, სახელმწიფო მნიშვნელობის ნორმატიულ აქტებს.

ხელშეკრულებები ხელმოწერის თაობაზე უნდა დაიდოს უშუალოდ გაზეთის დირექციასთან, რათა გამოირიცხოს გაუგებრობები და უზრუნველყოფილი იყოს მოწოდების სტაბილურობა.

24 საათი

ხელმოწერის ტარიფები: 1 თვით - 13 ლარი;
3 თვით - 39 ლარი;
6 თვით - 78 ლარი.

რედაქციის მისამართი: ვაჟა-ფშაველას 45, მე-14 სართული
ტელეფონი: 20 24 24 ან 20 24 10.
საბანკო რეკვიზიტები: "თიბისი" ბანკის ცენტრალური ფილიალი.
ბანკის კოდი 220101000, ა/ა 28467440.

A2 ამბები A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 სამართალი A7 განცხადება A8 პროექტი

B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 - B7 "საოჯახო ტოტო" B8 სხვადასხვა

## რუსები აფხაზეთში ჯარისკაცების ქმედებებით კმაყოფილნი არიან



*რუსი ჯარისკაცები აფხაზეთში მშვიდობის ნაცვლად საკუთარი ქვეყნის ინტერესებს იცავენ.*

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში დსთ-ს სამშვიდობო ძალების ყოფნის 10 წლისთავთან დაკავშირებით, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრომ სპეციალური განცხადება გაავრცელა. მასში აღნიშნულია, რომ კოლექტიური სამშვიდობო ძალები, რომლებიც, ძირითადად, რუსი სამხედროებისგან შედგება, ამ დროისთვის ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ სამშვიდობო ოპერაციას ახორციელებენ.

"სამშვიდობოები რეალურად უზრუნველყოფენ სტაბილურობას ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში, ქართველი და აფხაზი მოსახლეობის უსაფრთხოებას. ამას აღიარებს საერთაშორისო თანამეგობრობა, გაერო-ს უშიშროების საბჭო", - აღნიშნულია განცხადებაში.

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში კოლექტიური სამშვიდობო ძალების შესვლის 10 წლისთავთან დაკავშირებით ზუგდიდში ჩავიდა სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების მოწესრიგების საკითხებში გოგა ხაინდრავა. იგი ზუგდიდის რაიონის სოფელ ურთაში სამშვიდობო ძალების სარდალს ევტეევს შეხვდება.

*მედია-ნიუსი*

## "ჩვენ გვიცავდა ჩვენი პოლიცია", ახლა პატრული დაგვიცავს

*ირაკლი ოქრუაშვილის მიერ შს სისტემაში დაწყებული სარეფორმო სვლები საგზაო პოლიციასაც შეეხება. რამდენიმე თვეში, საგზაო პოლიციის ნაცვლად, ახალ საპატრულო სამსახურს ვიხილავთ. ახალი სისტემის შექმნისთვის ქალაქის ბიუჯეტში 20 მილიონი ლარი ჩაიდო. ახალ ფორმაში გამოწყობილი საპატრულო სამსახურის თანამშრომლები მოქალაქეების უსაფრთხოებას 24 საათის განმავლობაში დაიცავენ.*

**"თბილისი 80 უბნად დაიყოფა და საპატრულო სამსახური 24-საათიანი რეჟიმით იმუშავებს. აქამდე მოქალაქეს, რაც უნდა გასჭირვებოდა, ქუჩაში, საგზაო პოლიციელის გარდა, პოლიციელს ვერ დაინახავდა. საპატრულო სამსახურის დაქვემდებარებაში 150 მანქანა იქნება, რაც მათ სწრაფი რეაგირების შესაძლებლობას მისცემს. სისტემაში, დაახლოებით 900-მდე თანამშრომელი იმუშავებს და მათი ხელფასი 300 ლარიდან 600 ლარამდე იქნება. დედაქალაქის ბიუჯეტიდან ამ სისტემის დასაფინანსებლად 20 მილიონი ლარი გამოიყო,"** –"24 საათთან" საუბრისას განაცხადა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ დავით იოსელიანმა. შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რომ გია ბარამიძის დროს შემუშავებული რეფორმა განსაზღვრულ დროზე ადრე დაიწყება, თუმცა, რა კომპონენტები დაემატება ახალ პროექტს, ჯერ არავინ იცის. **"უკვე შემუშავებული პროექტის თანახმად, საგზაო პოლიცია უნდა გაუქმდეს. მის ნაცვლად საპატრულო სამსახური იმუშავებს. ამ სამსახურში გაერთიანდებიან უბნის ინსპექტორებიც. საპატრულო სამსახურის თანამშრომლები განსხვავებულ ფორმებში ჩაცმულნი იქნებიან. სავარაუდოდ, ფორმის მოდელი საზღვარგარეთიდან იქნება გადმოღებული. სულ 21 ობიექტი იქნება, ექნებათ თანამედროვე აღჭურვილობა და წოდებათა ახალი სისტემა,"** – განგვიცხადეს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურში. მათივე თქმით, პროექტის საბოლოო განხილვა და დამტკიცება ჯერ არ მომხდარა. პროექტს შეიძლება ახალი პუნქტებიც დაემატოს.

როგორც გვპირდებიან, ლოზუნგი - "ჩვენ გვიცავს ჩვენი პოლიცია", სულ მალე გაამართლებს თავის შინაარსს. თუმცა, პოლიციის ნაცვლად, ახლა საპატრულო სამსახური დაგვიცავს. თბილისში "კუკარაჩებიც" დაბრუნდებიან - რეფორმა მოზარდებთან ინდივიდუალურ მუშაობასაც გულისხმობს. შინაგან საქმეთა სამინისტროში 911-ის მსგავსი სისტემის შექმნაზეც საუბრობენ, თუმცა, ამ მხრივ, კონკრეტული ნაბიჯები ჯერ არ გადადგმულა.

პოლიციის რიგების დატოვება, დაახლოებით, 900 თანამშრომელს მოუწევს. ახალ სამსახურში გადასასვლელად ძველ კადრებს გადაამზადებენ და შემდეგ გამოცდებს ჩაუტარებენ.

*თამარ დვალი*

## "აირზენა" რეგულირების საფასურის დაკანონებას საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრებს

ავიაკომპანია "აირზენა - საქართველოს ავიახაზები" უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს გადაწყვეტილებას რეგულირების საფასურის ხელახლა შემოღების შესახებ საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრებს. ამის შესახებ ავიაკომპანიის იურისტმა კახა ნიკურაძემ განაცხადა.

ნიკურაძე ანტიკონსტიტუციურად აფასებს კანონპროექტს, რომელიც ავიაკომპანიებისთვის რეგულირების საფასურის ზედა ზღვარის შემოღებას ითვალისწინებს. პარლამენტის დარგობრივი კომიტეტის მიერ შემუშავებული საკანონმდებლო ცვლილებების პროექტის თანახმად, ზედა ზღვარი სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის 3 პროცენტით განისაზღვრება.

"აირზენა - საქართველოს ავიახაზების" წარმომადგენელი თეა გაბადაძე პრაიმ-ნიუსთან საუბარში აცხადებს, რომ რეგულირების საფასურის შემოღება ავტომატურად გაზრდის საჰაერო მგზავრობის ტარიფს. გარდა ამისა, მისი განმარტებით, ტარიფს აძვირებს აეროპორტის და სანავიგაციო მომსახურების ღირებულების გაზრდა, რასაც მათზე დაკისრებული ახალი 3-პროცენტიანი საგადასახადო ვალდებულება განაპირობებს.

რეგულირების საფასურის გაუქმების გადაწყვეტილება საკონსტიტუციო სასამართლომ ავიაკომპანია "აირზენა - საქართველოს ავიახაზების" სარჩელის საფუძველზე ორი წლის წინ მიიღო.

როგორც კომპანიის იურისტი კახა ნიკურაძე აცხადებს, თუ გაუქმებულ გადასახადს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო ადმინისტრაციული ნორმატიული აქტით კვლავ დააწესებს, ავიაკომპანია საკონსტიტუციო სასამართლოს ხელახლა მიმართავს.

ამასთან დაკავშირებით, პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის წევრი ზურაბ ცქიტიშვილი პრაიმ-ნიუსთან ინტერვიუში აცხადებს, რომ სახელმწიფო მართვისა და რეგულირების სფეროში აღნიშნული ცვლილებების პაკეტი სწორედ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების უზენაესობის გათვალისწინებით შევიდა.

მისი განმარტებით, აღნიშნული საფასურის დაწესებით კომიტეტი უშვებს გამონაკლისს, რადგან მარეგულირებელი ორგანოების საქმიანობაში სახელმწიფოს ნებისმიერი ფორმით ჩარევას კანონმდებლობა საერთოდ კრძალავს.

ცქიტიშვილი აცხადებს, რომ აღნიშნული ცვლილებებით დაკმაყოფილდება საკონსტიტუციო სასამართლოს მოთხოვნა, რომელიც რეგულირების საფასურის ზღვრული ოდენობის კანონით დარეგულირებას ითვალისწინებს. მისივე განმარტებით, რეგულირების საფასურის კანონით დაურეგულირებლობა გახდა სწორედ 2 წლის წინ "აირზენას" სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი.

ამასთან, მისი ინფორმაციით, რეგულირების საფასურის შემოღების სანაცვლოდ, გაუქმდება დამატებითი ღირებულების გადასახადი (დღგ).

დღგ-ს გაუქმების პერსპექტივას არარეალურად მიიჩნევს "აირზენა - საქართველოს ავიახაზების" იურისტი კახა ნიკურაძე, რომელიც პრაიმ-ნიუსთან ინტერვიუში განმარტავს, რომ ადმინისტრაციული ნორმატიული აქტი დღგ-ს გაუქმებას ვერ უზრუნველყოფს. ეს, კანონით, საგადასახადო კოდექსის პრეროგატივაა.

*პრაიმ-ნიუსი*

## "თბილავიამშენმა" და "აირზენამ" მოსკოვის რეისები გადაინაწილეს

ავიაკომპანია "თბილავიამშენი" 15 ივლისიდან აშხაბადის რეისების შესრულებას იწყებს. ავიაკომპანიის გენერალურმა დირექტორმა ბესიკ კოწოლაძემ განაცხადა, რომ თავდაპირველად აშხაბადის მიმართულებით ავიარეისი ორ კვირაში ერთხელ შესრულდება და რეისები დაემატება მაშინვე, როცა მგზავრთა ნაკადი მოიმატებს. ამასთან, კოწოლაძის ინფორმაციით, "თბილავიამშენმა" მოსკოვში ფრენის სიხშირის ლიცენზია მოიპოვა, რომელსაც ავიაციის დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარე ზურაბ ჭანკოტაძე ავიაკომპანიას არ აძლევდა იმ მოტივით, რომ სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულება ქართულ და რუსულ მხარეს თანაბარი რაოდენობის შესრულებას ავალდებულებდა. კოწოლაძის ინფორმაციით, "აირზენა" მოსკოვის მიმართულებით კვირაში კვლავ 7 რეისს ასრულებს. მოსკოვიდან თბილისის მიმართულებით, აგრეთვე, 7 რეისს ახორციელებენ რუსული ავიაკომპანიები "სიბირი" და "აეროფლოტი". ავიაკომპანია "თბილავიამშენი" მოსკოვის მიმართულებით ფრენას ტუ-134 ტიპის საბჭოთა თვითმფრინავით სექტემბრიდან დაიწყებს, რადგან ზაფხულის სეზონის გრაფიკით რეისები "აირზენას", "სიბირს" და "აეროფლოტს" უკვე გადანაწილებული აქვს.

"თბილავიამშენი", ძირითადად, დონეცკის, ტაშკენტის, ეკატერინბურგის, ხარკოვის და სოჭის მიმართულებით დაფრინავს. ფრენებს კერძო დაკვეთითაც ახორციელებს.

*პრაიმ-ნიუსი*

## ნინო ბურჯანაძის კომენტარი კობა დავითაშვილის აქციაზე

პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე, რომელიც აჭარაში მიმდინარე უმაღლესი საბჭოს არჩევნებს აკვირდება, აცხადებს, რომ ხელისუფლებას არანაირი კავშირი არა აქვს დეპუტატ კობა დავითაშვილის მიერ ბათუმის საარჩევნო უბნებთან დაწყებულ ხელმოწერების შეგროვების აქციასთან, რომელიც აჭარის ავტონომიის გაუქმების საკითხზე პლებისციტის ჩატარებას ისახავს მიზნად.

როგორც ნინო ბურჯანაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, აჭარის ავტონომიის გაუქმება ფაქიზი საკითხია, არ შეიძლება მისი სპონტანურად წამოწევა და მოსახლეობის უხერხულ მდგომარეობაში ჩაყენება.

მოსახლეობა მიდის არჩევნებზე და არა ავტონომიის საკითხზე აზრის გამოსახატად, - თქვა ბურჯანაძემ.

მისი ინფორმაციით, საქართველოს პარლამენტი ავტონომიის უფლებებზე მომავალ კვირას იმსჯელებს.

აჭარის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფაღავამ კი ხელმოწერების შეგროვების აქციას "უკანონო გამოკითხვა" უწოდა.

*პრაიმ-ნიუსი*

## პარლამენტი სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის თანამშრომელთა ხელფასების შემცირების საკითხს განიხილავს

სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის თანამშრომელთა ხელფასების შემცირების საკითხს პარლამენტის ადამიანთა უფლებების დაცვის კომიტეტი ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში მომავალ სასესიო კვირას დააყენებს.

კომიტეტის წევრი კახა კუკავა პრაიმ-ნიუსთან ინტერვიუში აცხადებს, რომ სამოქალაქო ადმინისტრაციის დეპარტამენტის თავმჯდომარის გიორგი მჟავანაძის საქმიანობა მის ხელფასს არ შეესაბამება.

კუკავას ინფორმაციით, ავიაციის ადმინისტრაციის ხელმძღვანელთა თვიური ხელფასის ოდენობა 10 000-20 000 ლარამდე მერყეობს.

პარლამენტარი ავიაციის დეპარტამენტის თანამშრომელთა დაფინანსებას ქვეყნის ბიუჯეტიდან ითხოვს. ამჟამად ადმინისტრაცია, როგორც დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო, ავიაკომპანიების, ნავიგაციის სამსახურის და აეროპორტის მიერ გადახდილი რეგულირების გადასახადიდან ფინანსდება.

ამასთან დაკავშირებით, ავიაკომპანია "თბილავიამშენის" გენერალური დირექტორი ბესიკ კოწოლაძე პრაიმ-ნიუსთან საუბარში აცხადებს, რომ ამჟამად აღნიშნული გადასახადი თითოეული მგზავრის გადაზიდვისთვის შეადგენს 5 აშშ დოლარს.

ამ ვალდებულებას არ ასრულებს "აირზენა – საქართველოს ავიახაზები", რომელსაც სარჩელის საფუძველზე საკონსტიტუციო სასამართლოს ორი წლის წინ მიღებული გადაწყვეტილებით გადასახადი გაუუქმდა.

პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის წევრი ზურაბ ცქიტიშვილი მიიჩნევს, რომ ავიაკომპანიის სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი გახდა რეგულირების საფასურის განმსაზღვრელი კანონის არარსებობა, რის გასასწორებლად, მისი ინიციატივით, პარლამენტის დარგობრივმა კომიტეტმა სახელმწიფო მართვისა და რეგულირების შესახებ კანონში ცვლილებები შეიმუშავა. ერთ-ერთი ცვლილება რეგულირების საფასურის 3-პროცენტიანი ზედა ზღვარის ადმინისტრაციული ნორმატიული აქტით განსაზღვრას ითვალისწინებს.

ამასთანავე, ცქიტიშვილს გაუმართლებლად მიაჩნია 3-პროცენტიანი ზღვარის დაწევისა და სამოქალაქო ადმინისტრაციის თანამშრომლების ხელფასის შემცირების თაობაზე კახა კუკავას მოთხოვნა. მისი განმარტებით, სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაცია საჰაერო მიმოსვლის უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის დაკისრებულ ვალდებულებებს ასრულებს.

ამასთან დაკავშირებით, კახა კუკავა აცხადებს, რომ ავიაკომპანიებისთვის დამატებითი 3-პროცენტიანი გადასახადის დაკისრება დაუშვებელია, რადგან ეს კომპანიები საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ ყველა ვალდებულებას იხდიან. "გამოდის, რომ მათ სამეწარმეო საქმიანობიდან შემოსავლის 3 პროცენტი დამატებითი სერტიფიკატის გამცემ მარეგულირებელ ორგანოს - სამოქალაქო ავიაციის დეპარტამენტს უნდა უხადონ", - მიიჩნევს იგი.

კახა კუკავას, ადმინისტრაციის მუშაკთა ხელფასების შემცირებასთან ერთად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსება გამართლებულად მიაჩნია იმის გათვალისწინებით, რომ ადმინისტრაციის თანამშრომლებს მთავრობა ნიშნავს, რაც "ძირშივე გამორიცხავს ამ უწყების დამოუკიდებლობას".

*პრაიმ-ნიუსი*

## გამბუზია ალექსეევკაში

შაბათს ისან-სამგორის რაიონში მალარიისა და ვისცერული ლეიშმანიოზის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ღონისძიებები გაატარეს. ორხევში დაჭაობებული ადგილები სპეციალური ხსნარით დაამუშავეს. ალექსეევკის წყალსატევებში კი ხელოვნურად გამრავლებული გამბუზია გაავრცელეს. ღონისძიებას პირადად ხელმძღვანელობდნენ რაიონის გამგებელი ზურაბ ადამია და ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსი არჩილ გედენიძე.

დაავადების გადამტანი მწერის მოსკიტის გამრავლებისათვის ხელშემწყობი პირობების არსებობის შემთხვევაში (ტენიანი, ორგანული ნარჩენებით დაბინძურებული ადგილები, მღრნელების სოროები), დაავადების კერის გამოკვლევა 200 მეტრის რადიუსით წარმოებს.

სოციალური პირობების გამწვავებისა და მიგრაციული პროფესების შედეგად სანიტარული მდგომარეობა ქალაქში გაუარესდა. ეს იწვევს ლეიშმანიოზით დაავადების შემთხვევების გაზრდას. სამწუხაროდ, ეს ბავშვთა დაავადებაა და თუ მიზანმიმართული მკურნალობა არ ჩატარდა, საბოლოო შედეგი სიკვდილია. ამის მაგალითები თბილისში უკვე გვაქვს. სირთულეს იწვევს ისიც, რომ დიფერენციული დიაგნოზის დასმა ძნელდება. ინკუბაციური პერიოდი ამ დაავადებას ერთ წლამდე აქვს. ამიტომ, საეჭვო სიმპტომების დროს (მაგალითად, დაბალი ტემპერატურა და საერთო სისუსტე ხანგრძლივი დროის განმავლობაში) აუცილებლად უნდა მიმართოთ ექიმს-სპეციალისტებს პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის ინსტიტუტში.

რაც შეეხება მალარიას, ამ დაავადების შემთხვევა თბილისში გამოვლენილი არ არის, მაგრამ ტარდება პროფილაქტიკური ღონისძიებები - ძირითადად, ბიოლოგიური მეთოდით. გამბუზიას, რომელიც ანოფელესის ნაჩეკებს ანადგურებს, წყალსატევებში ყოველ შემოდგომასა და გაზაფხულზე გაამრავლებენ.

"წელს პროგრამით გათვალისწინებული ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების ჩასატარებლად შევიძინეთ აპარატურა, სპეც-ტანსაცმელი და ხსნარი, რომლითაც მოხდება დამუშავება. აქამდე ამ ხსნარის დასხურება ყოველგვარი დამცავი საშუალებების გარეშე ხდებოდა და დიდ რისკთან იყო დაკავშირებული. ახლა ადამიანებს, რომლებიც ამ საქმით არიან დაკავებულები, ყოველგვარი ხელშეწყობა ექნებათ; შეიქმნება მობილური ჯგუფი, გამოიყოფა ტრანსპორტი", - განაცხადა არჩილ გედენიძემ.

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურის მონაცემებით, 1990 წლამდე ვისცერული ლეიშმანიოზის შემთხვევები თბილისში არ იყო. პირველი შემთხვევა ვაკე-საბურთალოს რაიონში 1990 წელს დაფიქსირდა. 1990 წლიდან 2003 წლის ჩათვლით თბილისში 432 შემთხვევაა აღნიშნული. სტატისტიკის მიხედვით, ადამიანის ჯანმრთელობისთვის საშიში ამ ინფექციური დაავადების რისკი თბილისში იზრდება.

*თამარ ჯაჯანიძე*

## მხარის რწმუნებული ურეკში ლაშქრობისათვის ემზადება

საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულმა გურიის მხარეში ვახტანგ გოლიაძემ ოზურგეთში მოღვაწე ადგილობრივი და ცენტრალური მასმედიის საშუალებებში მომუშავე ჟურნალისტებისათვის ბრიფინგი გამართა. მხარის რწმუნებულის შეხვედრა ჟურნალისტებთან, სხვა ყველა ადრინდელისაგან განსხვავებით, ამჟამად მონოთემატური იყო და მხოლოდ შავიზღვისპირა ზოლის უკანონო განაშენიანების საკითხს ეხებოდა. გოლიაძემ პირდაპირ განუცხადა შეკრებილთ, რომ განზრახული აქვს უკომპრომისოდ გაილაშქროს ურეკში სანაპირო ზოლში უკანონო მშენებლობებისა და მიწების ასევე უკანონოდ მიმთვისებლების წინააღმდეგ. ე.წ. ველური განაშენიანების შემდეგ ურეკში, მართლაც და, არანორმალური ვითარება შეიქმნა, ცალკეული მობინადრეების მიერ ინდივიდუალურად შემოიღობა სანაპირო ზოლზე და პლაჟზე გასასვლელებიც კი. უბრალო მოკვდავთათვის ურეკის მაგნიტურქვიშიან პლაჟზე გასვლა ოცნებად იქცა და იქ მოხვედრის მსურველმა, ფაქტობრივად, ღობეებზე უნდა იძრომიალოს.

ამ საქმეში მხოლოდ ადგილობრივი მკვიდრნი როდი სცოდავენ, მრავლად არიან თბილისელი მაღალჩინოსანნი და დიდფულოვანნი, მაგრამ რწმუნებული უკან დახევას არავის წინაშე არ აპირებს. **"ასაღები ღობეები მოირღვევა, უკანონოდ აშენებული შენობები დაინგრევა!"** - განაცხადა რწმუნებულმა.

უნდა აღინიშნოს, რომ ურეკის განაშენიანების საკითხი წინა ხელისუფლების დროს დახურულ თემას წარმოადგენდა და ხელისუფლების წაყრუებითა და ძლიერთა ამა ქვეყნისათა თავგასულობით ბევრი უკანონობაც გაკეთდა. გურიის ახალგაზრდა გუბერნატორი ქვეყნის (ამ შემთხვევაში ურეკის მაგალითზე) გასწორებას იზრახავს და იმედიანად ებმება ბრძოლაში. წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ ამ ბრძოლაში მას ბევრი ბარიერი და დაბრკოლება შეხვდება.

*თამაზ ხარაიშვილი*
*ოზურგეთი*

**მოთხოვნა წინადადებების შესახებ (RFP) - არასამთავრობო ორგანიზაციების განვითარების მცირე გრანტების პროგრამის მენეჯმენტი SCP და BTC მილსადენების მარშრუტზე - გარემოს დაცვითი ინვესტიციების პროგრამის კონტექსტში**

**ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის (BTC) და სამხრეთ კავკასიური გაზსადენის (SCP) პროექტები**

**აპლიკანტების კონფერენცია**

**2004 წლის 21 ივნისი**

2004 წლის 24 მაისს, კომპანია BP-მ, როგორც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის და სამხრეთ კავკასიური გაზსადენის პროექტების აქციონერი კომპანიების სახელით მოქმედმა ოპერატორმა კომპანიამ, გამოაქვეყნა მოთხოვნა სატენდერო წინადადებების შესახებ, რომლის მიხედვით, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე საქართველოში მოქმედმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა უნდა წარმოადგინონ სატენდერო წინადადებები SCP და BTC მილსადენების მარშრუტზე არასამთავრობო ორგანიზაციების განვითარების *მცირე გრანტების პროგრამის* მენეჯმენტის განხორციელების მიზნით.

კომპანია BP ტენდერში მონაწილეობის კანდიდატებისათვის აწყობს განმარტებით შეხვედრას, რომელიც გაიმართება ამა წლის 21 ივნისს, ორშაბათს, თბილისში, სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" (ოთახი "ლილე") 14-დან 16 საათამდე. **შეხვედრა განკუთვნილია მხოლოდ იმ ორგანიზაციებისათვის, რომლებიც გეგმავენ წინადადების წარმოდგენას მცირე გრანტების პროგრამის მენეჯმენტის განხორციელების თაობაზე, და არა იმ არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის, რომელთაც გარკვეულ ეტაპზე ასეთი მცირე გრანტის მიღების პრეტენზია გააჩნიათ.**

შეხვედრა მიზნად ისახავს პასუხის გაცემას იმ ორგანიზაციების შეკითხვებზე, რომლებიც გეგმავენ სატენდერო წინადადების შემოტანას და ესაჭიროებათ განმარტებები, რათა მათი წინადადება სრულყოფილად პასუხობდეს "წინადადებების მოთხოვნის" (RFP) პირობებს.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** ბულგარეთში მიმდინარეობს შავი ზღვის აუზის ქვეყნების საზღვაო თავდაცვის ძალების ერთობლივი სწავლება, სახელწოდებით "კოოპერატივ პარტნიორ 2004", რომელშიც საქართველოდან კატარღა "ქუთაისი" და მისი ეკიპაჟის 23 წევრი მონაწილეობს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის თაობაზე ქართულ-რუსული მოლაპარაკებების მორიგი რაუნდი 23-24 ივნისს მოსკოვში გაიმართება. ქართული მხარე მზად არის, ამ შეხვედრაზე რუსეთს ახალი ინციატივები შესთავაზოს, მათ შორის არის კავკასიაში ერთობლივი ანტიტერორისტული ცენტრის შექმნის იდეაც. 23-24 ივნისის მოლაპარაკებებზე ქართულ დელეგაციას საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მერაბ ანთაძე უხელმძღვანელებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ლეიბორისტული პარტია" აცხადებს, რომ არჩევნები აჭარაში მიმდინარეობს არნახული ფალსიფიკაციის ფონზე, რაც იძლევა საფუძველს დასკვნისთვის: "სააკაშვილი ცდილობს დაესაკუთროს აჭარისა და ქვემო ქართლის ამომრჩეველთა ხმებს, რათა ამით შეინარჩუნოს და გაიმყაროს საკუთარი ძალაუფლება". **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისში იმყოფება აშშ-ს საზღვრის პატრულირებასთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი ჯგუფი, რომელიც საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ძირითადი პერიმეტრის (ჩრდილოეთი და სამხრეთი მონაკვეთები, საზღვაო საზღვარი, საავიაციო ბაზა) მონახულებასა და პრობლემების ადგილზე გაცნობას აპირებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტის დელეგაცია 22 ივნისს დაგეგმილ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის გენერალური მდივნის არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად სტრასბურგში გაემგზავრა. საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის გენერალური მდივნის პოსტზე ერთ-ერთი კანდიდატის ტერი დევისის მხარდაჭერას აპირებს. საქართველოს პარლამენტის დელეგაციას ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში პარლამენტარი გიგა ბოკერია ხელმძღვანელობს. **ინტერ-პრესი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# აჭარამ საკუთარი არჩევანი გააკეთა

პირველი გვერდიდან

## დაპირისპირებები და კობა დავითაშვილი

უნდა ითქვას, რომ გუშინდელი არჩევნები იმაზე მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობდა, ვინემ ამას ნებისმიერი დამკვირვებელი თუ პოლიტიკოსი მოელოდა. პარტიათა წარმომადგენლები კენჭისყრის დღეს შეხლა-შემოხლებს არ გამორიცხავდნენ, სერიოზული დაპირისპირება კი არა საარჩევნო სუბიექტებს შორის, არამედ ჯერ ნაციონალების საარჩევნო შტაბის უფროს ზაზა გოროზიასა და პარლამენტარ კობა დავითაშვილს, შემდეგ უსკო-ს თავმჯდომარეს ირაკლი ფალავასა და პარლამენტარ კობა დავითაშვილს, მოგვიანებით კი პრეზიდენტის რწმუნებულ ლევან ვარშალომიძესა და კვლავ პარლამენტარ კობა დავითაშვილს შორის მოხდა. საქმე ის არის, რომ კობა დავითაშვილი და მისი რამდენიმე თანამებრძოლი საუბნო საარჩევნო კომისიებთან ამომრჩევლების ხელმოწერებს აგროვებდნენ. შეგახსენებთ, რომ დავითაშვილი აჭარაში პლებისციტის გამართვის აქტიური მომხრეა, რომლის მიზანი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის გაუქმების თაობაზე მოსახლეობის გამოკითხვაა.

სხვათა შორის, კობა დავითაშვილს საარჩევნო კოდექსი ნამდვილად არ დაურღვევია, რადგან იგი არც რომელიმე კანდიდატის თუ პარტიის აგიტაციას ეწეოდა და არც არჩევნების ბოიკოტისაკენ მოუწოდებდა ვინმეს. ამის მიუხედავად, ერთ-ერთმა საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ სრულიად ზედმეტად ჩათვალა კობა დავითაშვილის ყოფნა საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე და დახმარებისათვის უსკო-ს თავმჯდომარესა და ნაციონალების საარჩევნო შტაბის უფროსს უხმო. სკანდალმაც არ დააყოვნა – კობა დავითაშვილმა უკან არ დაიხია და მათ სასამართლოში ჩივილით დაემუქრა, რადგან მათ, როგორც დავითაშვილმა განაცხადა, უხეშად დაარღვიეს ადამიანის უფლებები. ჩვენი ინფორმაციით, იგი სარჩელს სასამართლოში უახლოეს დღეებში შეიტანს.

რაც შეეხება სხვა ცნობილ სახეებს, პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე გუშინ რამდენჯერმე გამოჩნდა ბათუმის ქუჩებში, მაგრამ არც ერთ საარჩევნო უბანზე არ შესულა, რადგან კანონით მას ამის უფლება არ ჰქონდა. იგი მოსახლეობას არჩევნებზე მისვლისაკენ მოუწოდებდა. სხვათა შორის, რამდენიმე დამკვირვებელმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ ასეთი საჯარო გამოსვლები კენჭისყრის დღეს მაინც არ იყო სასურველი, რადგან მოსახლეობის თვალში ნინო ბურჯანაძე, თავისთავად, სახელისუფლებო გუნდთან ასოცირდებოდა. თუმცა, როგორც ვთქვით, პარლამენტის თავმჯდომარე კანონის ფარგლებში მოქმედებდა. შესაბამისად, მის მიმართ არანაირი პრეტენზია არც ერთ დამკვირვებელს ღიად არ გამოუთქვამს.

პოლიტიკურ განცხადებებს აკეთებდნენ "რესპუბლიკელები". დავით ბერძენიშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას არაერთხელ გაიმეორა, რომ თუკი ნაციონალური მოძრაობა აშკარა და ტოტალურ გაყალბებებზე წავიდოდა, რესპუბლიკელებისა და მმართველი პოლიტიკური ძალის თანამშრომლობას საქართველოს პარალმენტში ბოლო მოეღებოდა.

გუშინ ხელვაჩაურში საკმაო პრობლემები შეექმნათ "მრეწველებს", რომელთა მაჟორიტარი კანდიდატი საარჩევნო ბიულეტენებში "ლეიბორისტად" იყო მოხსენიებული. მართალია, საუბნო საარჩევნო კომისიებმა შტამბის შეცდომა გამოასწორეს და საარჩევნო ურნებთან შესწორებები გამოაკრეს, მაგრამ ყველა ნიშნის მიხედვით, ამ ოლქში მაჟორიტარული არჩევნები ჩაიშლება. თანაც, ეს ოლქი "რესპუბლიკელების" განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში იყო, რადგან იქ კენჭს იყრიდა მათი ერთ-ერთი სახე – მურმან დუმბაძე. როგორც ბერძენიშვილი აცხადებდა, ამ ოლქის შედეგების გაუქმება ხელისუფლების ინტერესებში შედის, რადგან უდავო გამარჯვებული სწორედ დუმბაძე იქნებოდა...

და მაინც, ასეთი ექსცესების მიუხედავად, არჩევნები, როგორც უკვე ვთქვით, მშვიდ ვითარებაში წარიმართა. რაც შეეხება დამკვირვებლების მიერ აღმოჩენილ დარღვევებს, როგორც "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" წარმომადგენელმა მაგდა პოპიაშვილმა ჩვენთან საუბარში განაცხადა, საარჩევნო უბნებზე საკმაოდ ბევრ ამომრჩეველს ბიულეტენები ყოველგვარი პირადობის დამადასტურებელი მოწმობის გარეშე ეძლეოდა. საუბნო საარჩევნო კომისიას ისინი მხოლოდ ადგილობრივი საკრებულოს მიერ გაცემულ ცნობებს წარუდგენდნენ, რომლის შემდეგაც მათ საარჩევნო ბიულეტენები უპრობლემოდ ურიგდებოდათ.

არასამთავრობო ორგანიზაციების ადგილობრივმა დამკირვებლებმა სხვა ტიპის დარღვევებზეც ისაუბრეს. ასე, მაგალითად, იმავე "ახალგაზრდა იურისტთა" წარმომადგენლების განცხადებით, აჭარის რაიონებში მოძრაობდნენ მიკროავტობუსები, რომლებზეც ნაციონალების მხარდასაჭერი სააგიტაციო პლაკატები იყო გამოკრული.

მოკლედ, აჭარაში გამოვლენილი დარღვევები ქართული არჩევნებისთვის ტრადიციული აღმოჩნდა. მეტიც – შეგნებული თუ უნებლიე შეცდომები აჭარაში მოსალოდნელზე ნაკლები იყო.




ამომრჩეველთა აქტივობა აჭარაში საკმაოდ დიდი იყო.

# დარღვევები

*აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნებზე ადგილობრივი დამკვირვებლები გარკვეულ დარღვევებს დილიდანვე აფიქსირებენ.*

■ ■ ■

**ხულოს 84/1 ოლქში, 25 უბანში** დამკვირვებლის მიერ "ნაცმოძრაობის" საარჩევნო სააგიტაციო პლაკატთან დაკავშირებით დაწერილია საჩივარი.

პირადობის მოწმობები გაცემულია მახინჯაურში და რეგისტაციის ადგილად მითითებულია მახინჯაურის საკრებულო, რაც ქმნის იმის საშუალებას, რომ რამდენიმე უბანზე, მათ შორის, მაგალითად, განთიადში იმავე ხალხმა მიიღოს მონაწილეობა.

■ ■ ■

**მახინჯაურის მე-2, მახინჯაურის მე-3 და განთიადის მე-4 საარჩევნო უბნებზე** დაფიქსირდა ერთი და იგივე სამარშრუტო ტაქსები. ისინი მოძრაობდნენ ამ უბნებზე. ჩვენმა დამკვირვებლებმა მოახერხეს, დაეფიქსირებინათ მანქანის ნომრები: BBC 320, თეთრი ფერის ფორდი; BAQ 899, ცისფერი ფორდი; EEG 807, თეთრი, ლურჯი სახურავით.

■ ■ ■

**ხულო, სტეფანაშვილები.** დასტებად ყრიდნენ ბიულეტენებს. უბანზე იმყოფებოდა "სამართლიანი არჩევნების" დამკვირვებელი, რომელმაც ინფორმაცია დაადასტურა და განაცხადა, რომ უბანზე ერთი და იგივე ხალხი შემოდის და აძლევს ხმას.

■ ■ ■

**ქობულეთის 81-3 ოლქის სოფელ ალამბარის მე-13 უბანზე** მასობრივად უსაბუთოდ აძლევდნენ ხმას, მოხდა ბიულეტენების ჩაყრა. უბანზე მოძრაობდა დიდი ოდენობით უცნობი ხალხი. ამის თაობაზე "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" დამკვირვებელმა დაწერა საჩივარი, რომელსაც "სამართლიანი არჩევნების" დამკვირვებელმაც მოუწერა ხელი. ამის შემდეგ "სამართლიანი არჩევნების" დამკვირვებელი უბნიდან გაიყვანეს და დაემუქრნენ.

შუახევის ერთ-ერთ უბანზე საუბნო კომისიას ჰქონდა სოფლის საკრებულოს მიერ დამოწმებული სია, სადაც შეყვანილი იყო ხალხი, რომელსაც არ ჰქონდათ პირადობის დამადასტურებელი მოწმობები.

■ ■ ■

**ქობულეთის 81-3 2-ე უბანზე** "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" დამკვირვებელს არ აძლევდნენ უბანზე გადაადგილების საშუალებას.

■ ■ ■

**ხულოს 84-12. უბანი N26** - გამოკრული იყო "ნაციონალური მოძრაობის" პლაკატი. "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" დამკვირვებელმა რამდენჯერმე მოითხოვა ამ პლაკატის ჩამოხსნა (ვინაიდან პლაკატის უბანზე დატოვება აგიტაციად ითვლება), თუმცა პლაკატი მაინც არ ჩამოხსნეს.

■ ■ ■

**ქობულეთის 81-3. უბანი N12** - კომისიის წევრებს შორის ფუნქციები წილისყრით არ განაწილებულა. თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ყველა წევრი ერთი პოლიტიკური პარტიის წევრია და მათ პრობლემა არა აქვთ.

■ ■ ■

**ბათუმის 79/2 ოლქის მე-3 უბანში** კენჭისყრა ცხრის ნახევარზე დაიწყო. ვერ იპოვეს ერთ-ერთი კომისიის წევრი და ამის გამო ალოდინეს ამომრჩეველი. საინტერესო ის იყო, რომ ხმის მიცემის ინსტრუქციების მაგივრად საკონტროლო ფურცელი იყო გამოკრული.

■ ■ ■

**ბათუმის 79/2 ოლქის მე-12 უბანზე** წილისყრა საერთოდ არ ჩატარებულა. ასევე დიდი პრობლემები შეიქმნა გადასატან ყუთთან დაკავშირებით. ბევრ უბანში კომისიის წევრებმა არ იცოდნენ რომელ საათზე უნდა გაეტანათ გადასატანი ყუთი, იგი ყველგან დროზე ადრე გაიტანეს. ამასთანავე გადასატანი ყუთის სია არ უნდა აღემატებოდეს ამომრჩეველთა 2%-ზე მეტს, ქედაში კი ყუთის სია ამომრჩეველთა 10-15%-ს აღემატებოდა.

რაც შეეხება ჯარისკაცებს, ისინი პირადობის დამადასტურებელი მოწმობის გარეშე აძლევდნენ ხმას და ეს უბანი საერთოდ გასაუქმებელია.

■ ■ ■

**ბათუმის 79/1 ოლქის 21-ე უბანში** კი 11 საათზე 71-მა კაცმა ისე მისცა ხმა, რომ ხელმოწერები საერთოდ არ გაუკეთებიათ, ეს უბანიც გასაუქმებელია".

■ ■ ■

**ხულოს 84/12** ოლქი დაგვიანებით გაიხსნა.

■ ■ ■

**ხულოს 84/12** ოლქის 21-ე უბანში კომისიის წევრებს შორის წილისყრა არ ჩატარებულა.

■ ■ ■

**მე-18 უბანი.** 8 საათზე უბანი ჯერ კიდევ არ იყო გახსნილი - ამომრჩევლებმა დაბლოკეს უბანი. უბანი გაიხსნა 8 საათსა რომ 45 წუთზე, ოლქისა და ადგილობრივი გამგეობის ჩარევით.

■ ■ ■

**ბათუმის 79/2 ოლქის 29-ე უბანი.** ეს არის სამხედრო უბანი, გაიხსნა 8 საათსა და 10 წუთზე და გახსნა კომისიის 4 წევრმა. აქედან 2 სამხედრო მოსამსახურეა და ისინი კომისიის წევრის ფუნქციებს ასრულებდენ. ჯარისკაცებს რომლებიც ხმას აძლევდენ ამ უბანში, არ ჰქონდათ პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, სამხედრო ბილეთი ანუ მათი იდენტიფიკაცია ხდებოდა მხოლოდ სიების მეშვეობით.

■ ■ ■

**79/2 ბათუმის ოლქი, მე-12-ე უბანში,** კომისიის წევრებს შორის მოხდა გარკვეული უთანხმოება. რამაც ქაოსი გამოიწვია. უბანზე იყო ბიულეტენები რომელსაც არ არტყამდნენ ბეჭედს და ისე აძლევდნენ ამომრჩევლებს. ხმის მიცემის გარკვეული პროცედურები დაირღვა. კომისიის თავმჯდომარე უარს აცხადებდა საჩივრის დარეგისტრირებაზე, შევატყობინეთ საოლქო კომისიას - რის შემდეგაც სიტუაცია ცოტათი გამოსწორდა.

■ ■ ■

**ხელვაჩაურის 83/5 ოლქის მე-6 უბანში** არ ჩატარებულა წილისყრა. დამკვირვებლის შენიშვნა ამის შესახებ არ გაითვალისწინეს.

■ ■ ■

**ბათუმის 79/2 ოლქის 11-ე უბანში** საარჩევნო ყუთი არ იყო კარგად დალუქული. ეს ხარვეზი მოგვიანებით საოლქო კომისიის ჩარევით გამოსწორდა.

■ ■ ■

**ქობულეთის რაიონში 81/4 ოლქის მე-9 უბანში** შეცდომით გაუგზავნეს 81/3 ოლქის ბიულეტენები. შესაბამისად მაჟორიტარი ბიულეტენები იყო სხვა, ამის გამო შეწყვეტილი იყო კენჭისყრა. პროცესი 9 საათსა და 30 წუთზე აღდგა.

■ ■ ■

**ხულოს 84/12 ოლქის 17 უბანში** ამომრჩეველთა სიები არ იყო გამოკრული. უბანში გამოკრული იყო სააგიტაციო მასალა. დამკვირვებლის შენიშვნები გაითვალისწინეს და მასალა ჩამოხსნეს. ხოლო პოლიციის შესახებ ოლქის კომისიას ვაცნობეთ და ველოდებით რეაქციას.

■ ■ ■

**ხელვაჩაურის 83/5 ოლქის მე-3 უბანში** 10 საათსა და 15 წუთზე ამომრჩეველთა დიდი ნაკადი შევიდა. რის გამოც უბანში სიტუაცია უკონტროლო გახდა და შეიქმნა ქაოსი. დაახლოებით ერთი საათის შემდეგ იქ მივიდა ჩვენი ორგანიზაციის მობილური ჯგუფი და სიტუაცია დარეგულირდა.

■ ■ ■

**ხულოს 84/12 ოლქის მე-15 უბანზე** ხმის მიცემა ხდებოდა გამგეობის მიერ გაცემული ცნობით, რომელიც არ არის დამოწმებული კომისიის ბეჭდით და რომელზეც არ არის მითითებული ასაკი.

■ ■ ■

**ბათუმის 79/2 ოლქის მე-12 უბანზე** 11 საათსა და 30 წუთზე რეგისტრირებულ ამომრჩევლებს ბიულეტენების აღების დროს არ აწერინებდნენ ხელს. ამ პრობლემაზე შენიშვნა მიეცა კომისიას, რომელიც მუშაობს თუ როგორ გამოასწოროს აღნიშნული დარღვევა.

■ ■ ■

**ქობულეთში პირველ უბანზე** არ იყო გადასატანი ყუთის სია. მე-10 უბანში კი წილის ყრით არ გადანაწილებულა ფუნქციები. კომისიის თავმჯდომარე არ არეგისტრირებდა საჩივარს, ჩანაწერთა წიგნში შენიშვნის ჩაწერის უფლებას არ აძლევდა დამკვირვებლებს, რაც საოლქოს ჩარევით გამოსწორდა.

■ ■ ■

**მე-13-ე უბანში** "მრეწველების" კომისიის წევრს არ უშვებდნენ უბანში. საოლქო კომისიის ჩარევის შემდეგ იგი უბანში შეუშვეს.

ძირითადი ტენდენცია

# ევროპის შუაგულში

ნიკა იმნაიშვილი

ბრიუსელში, საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და მინისტრთა კაბინეტის ვიზიტისას გამართული კონფერენციის შედეგად, როგორც ცნობილია, დასავლეთმა, ფაქტობრივად, ახალი "მარშალის გეგმა" შეიმუშავა საქართველოს დასახმარებლად.

"დონორთა კონფერენციის" გადაწყვეტილებით გათვალისწინებულია 1 მილიარდი დოლარის გამოყოფა სხვადასხვა პროგრამათა დასაფინანსებლად.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ თვით კონფერენცია და მიღწეული შედეგი მმართველი გუნდის ყველაზე სერიოზული წარმატებაა აჭარაში ასლან აბაშიძის შუასაუკუნეობრივი, პარანოიდულ-სეპარატისტული რეჟიმის უმსხვერპლოდ(!) დამხობასთან ერთად.

მაგრამ ისევე, როგორც ნებისმიერი რევოლუციისას, აქაც გამარჯვების მოპოვება არ არის საკმარისი. მთავარია მისი შენარჩუნება. ამ მხრივ კი, ტრადიციულად, სერიოზული პრობლემები გვაქვს.

თანაც, ხსენებულ პრობლემებს მხოლოდ ხელისუფლებას ნუ დავაბრალებთ. მთლიანად, ქართულმა საზოგადოებამ უნდა განვლოს ევროპული ტრანსფორმაციის ძალზე რთული და მტკივნეული გზა, რაც არა მხოლოდ ეკონომიკურ რეფორმებს, არამედ (ნურავინ გაიკვირვებს) გარკვეულ ტრადიციულ ღირებულებათა გადაფასებასაც მოითხოვს, რაც ბევრად უფრო რთულია, ვიდრე კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლა ან ენერგეტიკული პრობლემის გადაწყვეტა.

მაგრამ ამის გარეშე, ევროპის "სამეზობლო ინიციატივას" ნამდვილად ვერ გავცდებით და ევროპული ცივილიზაციისათვის "მარადის მეზობლად" დავრჩებით.

თავისთავად მისასალმებელია ახალგაზრდა ხელისუფლების ძალისხმევა და მისი კეთილშობილური მიზანსწრაფვა ევროპისაკენ, მაგრამ აუცილებელია ყველამ ერთად გავაცნობიეროთ, რომ თანამედროვე ევროპა "ჯოჯოხეთური შრომითა და მტანჯველი რეფლექსიით შექმნილი სამოთხეა". მის აგებას საუკუნეები დასჭირდა და მწარედ ცდება, თუ ვინმეს ჰგონია, რომ საუკუნეთა ტოლფასი შრომისა და რეფლექსიის გარეშე (თუნდაც რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში) საქართველო შეძლებს სანუკვარი ოცნების ასრულებას, ანუ იმ გზის ბოლომდე გავლას, რაც ევროპულმა ცივილიზაციამ განვლო თომა აკვინელის ეპოქიდან – დღემდე.

ამ ცივილიზაციის მთელი ისტორია, როგორც "ოკეანე-წვეთში", აისახება ბრიუსელის ულამაზეს ცენტრალურ მოედანზე, რომელსაც ფრანგულად GRAND-PLACE, ხოლო ინგლისურად MARKET PLACE ეწოდება.

International Finance Corporationa Member of the World Bank Group

**სააქციო საზოგადოებების ხელმძღვანელობის საყურადღებოდ!**

**საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის საქართველოში ბიზნესის განვითარების პროექტი** აცხადებს კონკურსს სააქციო საზოგადოებებისათვის, კორპორაციული მართვის დანერგვის პილოტურ პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად.

კორპორაციული მართვა ესაა სისტემა, რომლის მეშვეობითაც კომპანიის მართვა და კონტროლი ხორციელდება. საქართველოში ბიზნესის განვითარების პროექტის კორპორაციული მართვის გაუმჯობესების კომპონენტი მიმართულია ქართული საწარმოების გაჯანსაღებასა და მათ მიერ დამატებითი ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობის შექმნაზე. პირველ ეტაპზე შეირჩევა 5 სააქციო საზოგადოება. შერჩეული სააქციო საზოგადოებები პილოტურ პროგრამაში მონაწილეობის შემდეგ შეძლებენ:

კომპანიის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებას;
გაზრდილი ქონების ღირებულების, გუდვილის, საზოგადოების აქციების ღირებულების ხარჯზე სარგებლის მიღებას;
დივიდენდების გაზრდას / გაცემას;
გარეშე ფინანსირებაზე გასვლას (კაპიტალის ბაზრები);
შრომითი რესურსების მოზიდვას (მმართველები და თანამშრომლები);
სამუშაო ადგილების ზრდასა და ზოგადად ეკონომიკურ განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანას.

მსურველი სააქციო საზოგადოება უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:
1. კომპანია უნდა იყოს რეგისტრირებული სააქციო საზოგადოებად;
2. კომპანიაში სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობა არ უნდა აღემატებოდეს 25%-ს.

დამატებითი ინფორმაციისათვის, გთხოვთ დაუკავშირდეთ საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის საქართველოში ბიზნესის განვითარების პროექტს შემდეგ მისამართზე:
თბილისი, ი. ჭავჭავაძის I ჩიხი, 5ა.
ტელ.: 91 26 89, 91 29 58, 91 30 96
ფაქსი: 91 34 80
პილოტური პროგრამის პირველი ეტაპის დახურვის თარიღია ა.წ. 16 ივლისი.

**"ს/ს თელასის" განცხადება**

ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:

**22 ივნისს, 10.00-დან 18.00-სთ-მდე:**
ვაჟა-ფშაველას I კვარტლის, 1 ჩიხის, დელისის, ნუცუბიძის(ნაწილობრივ), ვახტანგ ჩიქოვანის, ბუდაპეშტის ქუჩების მაცხოვრებლებს.

**22 ივნისს, 11.00-დან 17.00-სთ-მდე:**
ჭავჭავაძის გამზირის(ნაწილობრივ), ირაკლი აბაშიძის(ნაწილობრივ), არეშიძის, ატენის, ბაზალეთის, ფალიაშვილის(ნაწილობრივ), მცხეთის, ქობულეთის, შროშის ქუჩების მაცხოვრებლებს.

**22 ივნისს, 11.00-დან 15.00-სთ-მდე:**
სოფელ ტაბახმელას და ბიოკომბინატის დასახლების მაცხოვრებლებს.

**23 ივნისს, 11.00-დან 15.00-სთ-მდე:**
სოფელ წავკისის(ნაწილობრივ) მაცხოვრებლებს.

**ქალაქ თბილისის მერის ინიციატივა საქალაქო სამსახური - თბილისის კორპუსი**

**იწვევს მოხალისეებს**
სამეზობლო ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობისათვის.

თქვენი დახმარებით და სახელმწიფო რესურსების მინიმალური გამოყენებით, მნიშვნელოვან ადგილობრივ პრობლემებს გადავჭრით.

ჩვენი მიზანია:

საზოგადოების ფართო ფენების ჩაბმა თბილისის მერიის მიერ განსახორციელებელ საქმიანობაში;
მოსახლეობისა და ქალაქის ადმინისტრაციის თანამშრომლობის განმტკიცება ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტისას;
მოსახლეობის ჩართვა გადაწყვეტილებების მიღებაში;
სამეზობლო ამხანაგობების განვითაების ხელშეწყობა;

**გახდი თბილისის კორპუსის მოხალისე!**
**შექმენი ამხანაგობა, მიხედე შენს უბანს შენ თვითონ!**
დაგვიკავშიდით შემდეგ ტელეფონის ნომერზე: 93-36-32
ელ-ფოსტა: tbilisi-corps@hotmail.com

# საქართველოს ხელისუფლების ეკონომიკური პრიორიტეტები

*საქართველოში თანდათან გამოიკვეთა ხელისუფლების ძირითადი ეკონომიკური პრიორიტეტები და ნათელი ხდება, ქვეყნის საით და სადამდე წაყვანას აპირებს ხელისუფლება, რომელსაც გასული კვირა საკმაოდ წარმატებული ჰქონდა.*

თამარ ხორბალაძე

საქართველოს ხელისუფლების წარმატების "გასაღები" გასულ კვირას ბრიუსელში "იმალებოდა", სადაც საქართველოსთვის გრძელვადიანი კრედიტები გამოიმეტეს, ჯამში მილიარდი დოლარის მოცულობით.

საგულისხმოა, რომ 2004 წლის 31 მაისის მონაცემებით, საქართველოს სახელმწიფოს მიერ და სახელმწიფო გარანტიით აღებული კრედიტების საერთო რაოდენობა - 1 მილიარდ 816 მილიონ 508 ათას აშშ დოლარს შეადგენდა.

ანუ ბრიუსელში მიღებული გადაწყვეტილება, ერთი მხრივ, ნიშნავს, რომ საქართველოს საგარეო ვალის რაოდენობა უახლოეს სამ წელიწადში (რომლის განმავლობაშიც უნდა აითვისოს საქართველომ ეს თანხა სათანადო დონის პროექტების წარმოდგენის შემთხვევაში) გაიზრდება თავისუფლების წლებში მიღებული კრედიტების საერთო ჯამის ნახევარზე მეტი თანხით;

მეორე მხრივ, მილიარდიანი ნდობა, საკმაოდ მოკლე დროზე - სამ წელიწადზე "გაწერილი", ნიშნავს იმას, რომ დასავლეთი რეალურად მზადაა საქართველოში კარდინალური ცვლილებებისა და რეფორმების მხარდასაჭერად, საქართველოს ეკონომიკური წინსვლის ხელშესაწყობად და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ამ მხარდაჭერას არა მხოლოდ დეკლარირების დონეზე, არამედ სერიოზული ფინანსური ნაკადების გახსნის ფორმით ადასტურებენ.

თუმცა, ზემოთ მოხსენიებული ციფრებიც ცხადყოფენ, რომ ფინანსები გადამწყვეტი ყოველთვის არ არის - საქართველოს ძველმა ხელისუფლებამ 2 მილიარდამდე კრედიტის და საკმაოდ დიდი ოდენობით გრანტების მიღების მიუხედავად, ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანა, აღარაფერს ვამბობთ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე, ვერ შეძლო.

ახლა მთავარი ისაა, რამდენად არის მზად თავად საქართველოს მთავრობა იმ ცვლილებების განსახორციელებლად, რომლის მთავარი შედეგი კორუფციის მასშტაბების შემცირება, სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, საქართველოს ეკონომიკის ფეხზე დადგომა უნდა გახდეს, რაც, თავის მხრივ, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის წინაპირობადაც უნდა იქცეს.

დღეს ბევრს საუბრობენ იმაზე, თუ რაში დაიხარჯება ერთი მილიარდი აშშ დოლარი, რომელზეც საქართველოში უკვე ბევრმა "აილესა კბილი". ამ ფულის ხარჯვაზე მონიტორინგის" გაწევის მსურველიც ბევრი გამოჩნდა, რაც, ზოგ შემთხვევაში "დიდი საქმის" მიღმა დარჩენის შიშით არის გაპირობებული, შედარებით იშვიათად კი - თანხების მიზნობრივად დახარჯვის კონტროლის რეალური სურვილით.

ამ დღეებში ზოგადად ითქვა, რომ ამ ფულით ენერგეტიკის, ინფრასტრუქტურის სფეროს განვითარება, სიღარიბის დაძლევა და რეგიონალური პროექტები, აჭარის, და, სავარაუდოდ, არა მხოლოდ ამ რეგიონის ეკონომიკური აღორძინება დაფინანსდება. ანუ, სავარაუდოა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ მიღებული კრედიტები კონფლიქტურ რეგიონებში სოციალური და ეკონომიკური პროექტების განხორციელებისთვისაც გამოიყენოს, რისი წინაპირობებიც უკანასკნელ თვეებში აშკარად გამოიკვეთა.

თუმცა, უდავოდ აღსანიშნავია ერთი დეტალი - მილიარდის რეალურად ასათვისებლად საქართველომ დონორებისთვის სერიოზული პროექტების წარდგენა უნდა შეძლოს, ამისთვის კი საქართველოს ხელისუფლებაში, დღევანდელი მდგომარეობით, საკმაოდ ცოტა ეკონომიკურპროფილიანი რესურსია.

ამიტომ, ექსპერტების აზრით, ხელისუფლებას მოუხდება დასავლური გამოცდილების გამოყენება და სახელისუფლებო სტრუქტურების მიღმა არსებული ეკონომიკური ანალიტიკური ინსტიტუტების მომსახურებით სარგებლობა.

ამასთან ხელისუფლებას, პირველ რიგში, სტრუქტურული რეფორმების განხორციელება მოუწევს - სწორედ ასეთი იყო დონორების წინაშე წარდგენილი შეპირება. ამას კი გარკვეული სოციალური პრობლემებიც მოსდევს - გარკვეული სოციალური პროგრამებიც შესაბამისად დაფინანსდება.

საქართველოს ხელისუფლების ამ პრიორიტეტებს, ნაწილობრივ, თავად დონორების პოზიციაც განსაზღვრავს.

დონორთა კეთილგანწყობის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად, როგორც ცნობილია, კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულებთან ბრძოლის მიმართულებით გადადგმული ნაბიჯებიც იქცა. თუმცა, ერთია დონორთა კეთილგანწყობა, მეორე კი ის ფაქტი, რომ ყოველდღიური ბიზნეს-ურთიერთობის დონეზე საქმიანი ადამიანები, ჯერჯერობით, საკუთარ თავზე სასიკეთო ცვლილებებს ვერ გრძნობენ.

საგულისხმოა ისიც, რომ საქართველოს მთავრობამ, რომელმაც დონორებისთვის რეფორმისტული განწყობის ჩვენება შეძლო, სიტუაციის ბიზნესის სასიკეთოდ შეცვლის სურვილი აშკარად ვერ დაანახა საქართველოს ბიზნესმენებს, რომელთაც ერთი კვირის წინ შემოთავაზებული საგადასახადო ლიბერალიზაციის მონახაზით იმედები გაუცრუა. მიუხედავად იმისა, რომ მომავალი წლისთვის სოციალური და საშემოსავლო გადასახადების სერიოზულად შემცირებაა დაგეგმილი, საქართველოში ჯერ კიდევ აშკარად არ არის უზრუნველყოფილი ყველა ბიზნესმენის თანასწორად დაბეგვრა, რაც "დარჩენილი" გადასახადების ფონზეც საეჭვოს ხდის ბიზნესის გათეთრებას. ხოლო, თუ იმასაც დავუმატებთ, რომ "საფინანსო ამინისტიის" ვადამ ახლა უკვე ახალი კოდექსის მიღებამდე ანუ, მინიმუმ, მომავალ წლამდე გადაიწია, ეს ნიშნავს, რომ საქართველოს ხელისუფლება ბიზნესზე "ზენოლის" ბერკეტებს, ისევე, როგორც საკმაოდ მძიმე საგადასახადო ტვირთს, მინიმუმ, ექვსი თვით ინარჩუნებს. ექვს თვეში კი ბევრის მოსწრება რომ შეიძლება, ამას თუნდაც გასულ ექვს თვეში საქართველოს პროკურატურისა და ფინანსური პოლიციის მოღვაწეობაც მოწმობს.

ანუ, მარტივად ეს ნიშნავს, რომ საქართველოს ხელისუფლების ერთ-ერთ მთავარ ეკონომიკურ პრიორიტეტად წელს ბიუჯეტში მაქსიმალური თანხის მობილიზება შედის ბიზნესმენთა "მაქსიმალური გაკონტროლების", ანუ "შიში შეიქმს სიყვარულსა"-ს ხარჯზე.

თუმცა, მეორე მხრივ, ეს ნიშნავს უცხოელი ინვესტორისთვის მეტ-ნაკლებად მისაღები საგადასახადო გარემოს შექმნასაც, რადგან, როგორც "24 საათი" უკვე წერდა, შემოთავაზებული პრინციპების განხორციელების შემდეგ საქართველოში, მეზობელ ქვეყნებთან შედარებით, ყველაზე დაბალი ოფიციალური (!) საგადასახადო წნეხი იარსებებს, რამაც ქვეყანაში სერიოზული ინვესტორების შემოსვლას, შესაძლოა, ხელი მართლაც შეუწყოს.

ამ ფონზე საინტერესოა, რომ გასულ კვირას კიდევ ერთი მთავარი პრიორიტეტი გამოიკვეთა - ანუ განისაზღვრა "ნამუსის" ის ზღვარი, რომლის იქით საქართველოში პრივატიზაცია არ განხორციელდება: არ გაიყიდება რკინიგზა, არ გაიყიდება მაგისტრალური გაზსადენი (მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი ამას დღესაც დაჟინებით მოითხოვს), ენერგოობიექტები გაიყიდება მხოლოდ მას შემდეგ, როცა ამის ობიექტური წინაპირობები შეიქმნება. თუმცა, ჯერ კიდევ გასარკვევია, როგორ აპირებს ხელისუფლება გაყიდოს ფოთის პორტი და ბევრი სხვა "სტრატეგიული" ობიექტი, რომელთაც, მინიმუმ, 10 წლის ვადით ან მოიჯარე ჰყავს, ან უკვე გაყიდულია.

რაც შეეხება ისეთ პრიორიტეტებს, როგორიცაა საქართველოში ტურიზმის, კომუნიკაციების, ინფრასტრუქტურის განვითარება - ჯერჯერობით, ეს პრიორიტეტები ისევე ზოგადია, როგორც წინასაარჩევნო დაპირებები იყო და კონკრეტულ სახეს მხოლოდ კონკრეტული პროექტების წარმოდგენის შემდეგ შეიძენს.

# შესაძლოა "თელასს" ტარიფის შემცირება მოსთხოვონ

"თელასმა მადლობა უნდა თქვას, თუ მის წილად სამომხმარებლო ტარიფში 5 თეთრს დაიგულებს,"- აცხადებენ ექსპერტები

მაია ურუშაძე

*მას შემდეგ, რაც "თელასმა" ტარიფის გაზრდა მოითხოვა, ენერგეტიკის მარეგულირებელმა სტრუქტურებმა კომპანიის მიმართ ყურადღება გააორმაგეს. თავად კომპანიის მიერ წარმოდგენილი სატარიფო განაცხადი კი მისი მოთხოვნის დასასაბუთებლად საკმარისი არ აღმოჩნდა. ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობენ ექსპერტები. ამიტომ, მათ "რაო ეეს როსიის" საკუთრებაში გადასული "თელასის" საქმიანობის ანგარიშების მოძიება სცადეს, მაგრამ ამაოდ (სხვათა შორის, კომპანიის საქმიანობის ყოველწლიური ანგარიში – საჯარო ინფორმაციაა). ერთი სიტყვით, "თელასის" თავზე ღრუბლები იქუფრება: ზედმეტმა ინიციატივამ მას შეიძლება ის ტარიფიც დააკარგვინოს, რომლის დაკანონებაც, სხვათა შორის, არცთუ დიდი ძალისხმევის ფასად დაუჯდა.*



*ებრალიძე "თელასს" დღის ტარიფში ჭარბ ინვესტიციებს უთვლის.*

ლევან ხერხეულიძის ფოტო

დღეს "თელასის" მაღალი ტარიფის წინააღმდეგ გალაშქრება უკვე რამდენიმე ექსპერტმა გარისკა, ზოგმა – მხოლოდ ნიადაგი მოსინჯა, ზოგმა კი – საკუთარი აზრი ღიად გამოხატა. მაგალითად, ენერგეტიკის მომხმარებელთა უფლებების საზოგადოებრივი დამცველი დავით ებრალიძე მიიჩნევს, რომ დღეისათვის "თელასს" არათუ ტარიფის გაზრდის მოთხოვნის უფლება არა აქვს, არამედ მისი შენარჩუნებაც გაუჭირდება, თუ სახელმწიფო სტრუქტურები მის საქმიანობას გულდასმით შეისწავლიან. **"თუ საქმეში ჩავიხედავთ, აშკარა გახდება, რომ "თელასისთვის" მაქსიმალური წარმატება იქნება ტარიფის დღეისათვის არსებულ ნიშნულზე დარჩენა. ვფიქრობ, ეს კომპანია ახლა "გაღმა შეედავე – გამოღმა შეგრჩებას" პოლიტიკას ახორციელებს, ამ დროს კი საკუთარი ტარიფი აქვს "გაბერილი". მომხმარებელთა დაცვის მხარისთვის ნამდვილად მარცხი იქნება, თუ მისი ტარიფი დღევანდელ ნიშნულზე დარჩება და არსებითად არ შემცირდება."**

ამ მოსაზრების გამოთქმის საფუძველი კი ისაა, რომ წესით, ელექტროენერგიის ტარიფის გაანგარიშება საქართველოში "ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ" კანონის 43-ე მუხლის მიხედვით უნდა ხდებოდეს. თუმცა, დღემდე, "თელასის" ტარიფის დადგენისას, საქართველოს ელექტროენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია (სემეკ) "თელასის" საპრივატიზაციო ხელშეკრულებით ხელმძღვანელობდა. **"თელასის სატარიფო მოთხოვნების იდეოლოგიურ საფუძვლებს წარმოადგენს საპრივატიზაციო ხელშეკრულების მე-20 მუხლის მე-7, მე-9 და მე-11 დანართების არასწორი ინტერპრეტაცია. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული მიდგომა სხვა არაფერია, თუ არა "სიტყვაში გამოდევნება" – მას რეალობასა და სამართლიანობასთან არაფერი აქვს საერთო,"** – მიიჩნევს ებრალიძე.

დღემდე, "თელასის" მხრიდან ტარიფის გაზრდის ყოველი მოთხოვნა მთავრობის დაუყოვნებელ მხარდაჭერას იწვევდა: **"ამ ხელშეკრულების პირობები "თელასს" უფლებას აძლევს, ტარიფის გაზრდა მოითხოვოს,"** – აცხადებდნენ ოფიციალური პირები და არასოდეს დასძენდნენ, რომ მოთხოვნა ერთია, ამ მოთხოვნის შესრულება კი – მეორე. ბოლოს და ბოლოს, ამ მოთხოვნების დაკმაყოფილების ან იგნორირების უფლებას კი ქვეყნის უმაღლეს ხელისუფლებას ვერავითარი ხელშეკრულება ვერ წაართმევს.

საქმე ისაა, რომ მიუხედავად იმისა, საქართველოს კანონის თანახმად დაითვლება ტარიფი თუ თავის დროზე "ეი-ი-ეს სილკ როუდ ჰოლდინგს ბი-ვი"-სთან გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების შესაბამისად, ვითარება არ იცვლება: "თელასის" მოთხოვნები ტარიფის გაზრდის თაობაზე ორივე შემთხვევაში შეიძლება, კრიტიკის ქარცეცხლში მოექცეს.

ებრალიძე მიიჩნევს, რომ ამისათვის ერთობ მარტივი რამაა საჭირო: უბრალოდ, სემეკ-მა ხელშეკრულების ტექსტი - **"ჭარბი ინვესტირების შემთხვევაში, "თელასს" უფლება აქვს სემეკ-ს ტარიფის მომატება მოსთხოვოს"** – აღიქვას როგორც მოთხოვნის უფლება და არა ვალდებულება იმისა, რომ აუცილებლად დააკმაყოფილოს ეს მოთხოვნა.

გარდა ამისა, ხელშეკრულებაში არის მუხლი, სადაც "თელასს" ტარიფის ზრდის ინიცირება მაშინაც შეუძლია, როცა ქვეყანაში საკანონმდებლო ბაზა მისთვის არახელსაყრელი ხდება. ებრალიძე მიიჩნევს, რომ ამ შემთხვევაშიც, **"თუ საკითხს სწორად მივუდგებით, თელასის ტარიფი 4.585 თეთრს ქვემოთ ჩამოვა."** ამის უმთავრესი მიზეზი კი ისაა, რომ როცა "ეი-ი-ესი" თავისი შვილობილი კომპანიების სახით საქართველოში შემოდიოდა, ბიზნეს-პირობები მისთვის ისეთი ხელსაყრელი არ იყო, როგორიც ახლაა.

დაბოლოს, მთავარი საკითხი, რომელიც ებრალიძის ვარაუდით, შესაძლოა, "თელასისთვის" ტარიფის შემცირების მოთხოვნის საფუძვლად იქცეს. რასაკვირველია, იმ შემთხვევაში, თუ გამართლდა ვარაუდი, რომ **როცა "ეი-ი-ესმა" "ეი-ი-ეს სილკ როუდ ჰოლდინგს ბი-ვი" "რაოს" მიჰყიდა, მას "თელასის" ძველი ვალები უკვე გასტუმრებული ჰქონდა.**

საქმე ისა, რომ სანამ "რაო" თელასის მეპატრონეს, "ეი-ი-ეს ჰოლდინგს ბი-ვი-ს" შეიძენდა, კომპანიას EBRD-ისა (ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი) და IFC-ის (საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია) 60-მილიონდოლარიანი სესხი ჰქონდა გასასტუმრებელი. ასევე, "თელასს" "ეი-ი-ეს კორპორაციისგან" აღებული ჰქონდა 170-მილიონდოლარიანი სესხი, რაზეც, პროცენტების სახით, 100 მილიონ დოლარზე მეტი დაერიცხა. ებრალიძე ვარაუდობს, რომ მოგვიანებით, როცა "რაომ" "თელასი" "თბილსრესის" მე-9-მე-10 ბლოკები და "ხრამჰესების" კასკადი, სულ რაღაც, 23 მილიონ დოლარად იყიდა, ამ თანხაშივე გაქვითა ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სესხი, თავის პროცენტებიანად. **"სწორედ ამიტომ გაახარა ასე "რაოს" თავკაცი ანატოლი ჩუბაისი "ეი-ი-ეს"-თან დადებულმა გარიგებამ,"** – აცხადებს ებრალიძე.

მართლაც, თუ "თელასის" ამჟამინდელ ტარიფში ასახული სესხები უკვე გაქვითულია, მაშინ ერთ კილოვატსაათზე 4 თეთრს ზემოთ ამოღებული თანხები "რაოს" წმინდა მოგებად რჩება.

**"რაოს" დღეს ერთადერთი მოტივი ამოძრავებს – ზემოგების მიღების სურვილი. მას რომ ჰკითხო, ეს მოგება ეკუთვნის, თუმცა "რაოს" ამ სარფიანი გარიგების მიზეზი ჩუბაისის გენიალურობა კი არა, საქართველოს ენერგოსექტორში ხელოვნურად შექმნილი უარყოფითი ბიზნეს-გარემო და თბილისელი მომხმარებელი იყო. შესაბამისად, "ეი-ი-ეს ჰოლდინგ ბივის" გაკოტრების შედეგად მიღებული ფინანსური ეფექტით, "რაოსთან" ერთად, თბილისის მომხმარებელმაც უნდა იხეიროს,"** – მიიჩნევს ებრალიძე.

ენერგეტიკის მომხმარებელთა ომბუდსმენს თანამოაზრეები დღეს ოფიციალურ უწყებებშიც გამოუჩნდნენ. მაგალითად, ეკონომიკის სამინისტროში მიიჩნევენ, რომ საკითხი სწორადაა დასმული, მაგრამ დღეს ტარიფის თემა მხოლოდ სემეკ-ის კომპეტენციაა.

ეკონომიკის სამინისტროს ფასების სამმართველოს უფროსი დავით ჩლაიძე აცხადებს, რომ თუ შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურები საკითხს პრინციპულად მოეკიდებიან, "თელასის" ტარიფიდან ჭარბი ინვესტიციების ამოგდების საქმე პრობლემა არ იქნება.

# გრიგალაშვილი ბორჯომის წყლით სარგებლობის გადასახადის გაზრდის ინიციატივით გამოდის

ბორჯომის წყლით სარგებლობის გადასახადის გაზრდის ინიციატივით ბორჯომის მაჟორიტარი დეპუტატი ნოდარ გრიგალაშვილი გამოდის. მან განაცხადა, რომ ორ თვეში მოამზადებს საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტს, რომელიც ერთი ლიტრი ბორჯომის წყლით სარგებლობისთვის ერთი თეთრის ოდენობის გადასახადის გაზრდას ითვალისწინებს. გრიგალაშვილს მიაჩნია, რომ ადგილობრივი ბიუჯეტის შევსების ძირითადი რეზერვი გამოუყენებელია.

ბორჯომის წყლის ლიცენზიის მფლობელ, "მინისა და მინერალური წყლების კომპანიის" ვიცე-პრეზიდენტს ბადრი ჯაფარიძეს საგადასახადო კოდექსის ლიბერალიზების ფონზე აღნიშნული გადასახადის გაზრდა გაუმართლებლად მიაჩნია.

ბადრი ჯაფარიძემ პრაიმ-ნიუსთან ინტერვიუში განაცხადა, რომ წიაღით სარგებლობის ვალდებულების გაძვირება ავტომატურად გააძვირებს "ბორჯომის" მზა პროდუქციას. მისი ვარაუდით, მთავრობა ამას მხარს არ დაუჭერს. თუმცა, ნოდარ გრიგალაშვილი მიიჩნევს, რომ ადგილობრივ ბიუჯეტების ხარჯზე გამარტივებული საგადასახადო რეჟიმი რეალურ ეფექტს ვერ უზრუნველყოფს. მისი განცხადებით, ადგილობრივი ბიუჯეტების გაღარიბება აკნინებს ქვეყნის რეგიონებს, ხოლო "დემოკრატიული ქვეყანა თავკომბალის ცენტრალიზებული მოდელით არ შენდება". ამას გარდა, გრიგალაშვილი აცხადებს, რომ მაჟორიტარი დეპუტატები პარლამენტში ახალი საგადასახადო კოდექსის ძირითად მიმართულებებს მხარს არ დაუჭერენ, რადგან მათთვის მიუღებელია გაუქმებულ გადასახადთა ნუსხა, რომელთა უმეტესობა რეგიონის დაფინანსების ძირითადი წყაროა.

ახალი კოდექსის ძირითადი პარამეტრებით 2005 წლიდან უქმდება: მავნე ნივთიერებათა დაბინძურების, ავტოტრანსპორტის მესაკუთრეთა, ქონების გადაცემის, ეკონომიკური საქმიანობის, ავტოტრანსპორტის ზენორმატიული დაცვის, მცირე ბიზნესის, ფიქსირებული, საკურორტო, სასტუმრო, რეკლამის, ადგილობრივი სიმბოლიკის და გზით სარგებლობის გადასახადები.

*პრაიმ-ნიუსი*



# ძიან ძემინი გავლენას ინარჩუნებს

გუშინ ჩინეთში 15 სამხედრო დააწინაურეს, მათ შორის, ყოფილი პრეზიდენტის ძიან ძემინის დაცვის უფროსი, რაც ბევრმა ანალიტიკოსმა ყოფილი პრეზიდენტის პოზიციების გამყარებად აღიქვა.

ანალიტიკოსების თქმით, სახალხო განმათავისუფლებელი არმიისა და სახალხო პოლიციის ოფიცრების ოთხვარსკვლავიან გენერლობამდე დაწინაურება აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ ძიანი სამხედრო უწყებაში თავის პოზიციებს ამყარებს.

77 ძიან ძემინმა კომუნისტური პარტიის თავმჯდომარის პოსტი მასზე ახალგაზრდა ხუ ძინთაოს 2002 წელს გადააბარა, ხოლო სახელმწიფოს მეთაურისა - 2003 წელს. თუმცა, ძიანმა პარტიის ცენტრალური სამხედრო კომისიის თავმჯდომარის პოსტი შეინარჩუნა, რომელიც ჩინეთში ყველა სამხედრო უწყებას აკონტროლებს.

ძიან ძემინის დაცვის უფროსის გენერალ-ლეიტენანტ იუ სიკუის დაწინაურებამ ცხადყო, რომ ყოფილი პრეზიდენტი შემოდგომაზე დაგეგმილ პლენუმზე დაკავებული თანამდებობიდან არ გადადგება, როგორც ეს ბევრს ეგონა.

პირადი მცველების ბიურო, სადაც გენერალ-ლეიტენანტი მსახურობდა, ქვეყნის უმაღლესი თანამდებობის პირების უსაფრთხოებას უზრუნველყოფს და ერთ-ერთ საკვანძო უწყებად ითვლება. 1976 წელს, ამ ბიუროს მაშინდელმა ხელმძღვანელმა ვან ტუნსინმა მაო ძედუნის ქვრივის ძიან ცინის დაპატიმრება ბრძანა.


REUTERS

*ძიან ძემინი გავლენას ინარჩუნებს. მან პარტიის ცენტრალური სამხედრო კომისიის თავმჯდომარის პოსტი შეინარჩუნა, რომელიც ჩინეთში ყველა სამხედრო უწყებას აკონტროლებს.*

"ძიანი ამ წელს თავის თანამდებობას ნამდვილად არ დატოვებს," - აღნიშნა სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ექსპერტმა ენდრიუ იანმა. "იუს დაწინაურების არანაირი საჭიროება არ არსებობს, თუ თანამდებობაზე მის დიდხანს დატოვებას არ აპირებენ. ეს უსარგებლო კონკურენციას შექმნის," - თქვა იანმა. მისი აზრით, ძიანი აქცენტს ტაივანზე გააკეთებს. ახლა, ბრძოლა შეურიგებელი კურსისა და შედარებით ლიბერალური მიდგომის მომხრეებს შორის მიმდინარეობს.

თუმცა, ერთ-ერთი ჩინელი პოლიტიკური ექსპერტის თქმით, იუმ, შესაძლოა, იგივე ბედი გაიზიაროს, რაც მისმა წინამორბედმა, რომელიც 1994 წელს დააწინაურეს, მაგრამ რამდენიმე თვეში პენსიაზე გაუშვეს.

იუ სახალხო განმათავისუფლებელ არმიას 1958 წელს შეუერთდა, ხოლო პარტიაში ორი წლის შემდეგ გაწევრიანდა. 1990 წელს მას გენერლის ჩინი მიანიჭეს, ხოლო 1997 წელს იგი გენერალ-ლეიტენანტი გახდა.

მთავრობასთან დაახლოებული წყაროს ცნობით, ძიან ძემინმა იუ მას შემდეგ გამოარჩია, რაც მან 1990 წელს ძიანის ლიმუზინიდან საეჭვო ფუთა საკუთარი ხელით გამოიღო. "ძიანზე ამან შთაბეჭდილება მოახდინა, იგი იუს ერთგულებით და სიმამაცით მოიხიბლა," - "როიტერთან" საუბრისას აღნიშნა ანონიმმა რესპონდენტმა. თუმცა, იმ ფუთაში დოკუმენტების შეკვრა აღმოჩნდა, რომლის მთავრობისთვის გადაცემას რიგითი მოქალაქე ცდილობდა.

# ევროკავშირმა კონსტიტუცია მიიღო

შაბათს ევროკავშირის სამიტზე წევრმა სახელმწიფოებმა გაერთიანების კონსტიტუციის საბოლოო ვარიანტი მოიწონეს, რომლის ბედი უკანასკნელ წუთამდე გარკვეული არ იყო. წევრ სახელმწიფოებს გადაწყვეტილების მიღების მექანიზმებზე განსხვავებული შეხედულებები ჰქონდათ.

ახალი კონსტიტუციის თანახმად, ევროკავშირს პრეზიდენტი ეყოლება, რომელსაც ორწლინახევრით საბჭოს უმრავლესობა აირჩევს.

2014 წლიდან ევროკომისიის წევრთა რაოდენობა 18-მდე შემცირდება, რაც წევრი სახელმწიფოების რაოდენობის 2/3-ს შეესაბამება. მანამდე, ევროკავშირის აღმასრულებელ ორგანოში ყველა წევრ სახელმწიფოს თითო წარმომადგენელი ეყოლება.

2009 წლიდან ევროკავშირის მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს კვალიფიცირებული უმრავლესობა მიიღებს. ახლა, გადაწყვეტილებების მიღებას ყველა წევრი სახელმწიფოს თანხმობა სჭირდება, რაც ხშირად გაერთიანების მუშაობის პარალიზებას ახდენს. ამჟერად, კვალიფიცირებული უმრავლესობა აირჩევს ევროპის საგარეო საქმეთა მინისტრს, რომელიც გაერთიანების საერთო საგარეო პოლიტიკას განსაზღვრავს.

კომპრომისული გეგმა ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის ირლანდიის პრემიერ-მინისტრმა წარმოადგინა. პრემიერ-მინისტრ ბერტი აჰერნის წინადადების თანახმად, გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა წევრი სახელმწიფოების 55 პროცენტი, რომლის მოსახლეობა გაერთიანების 65 პროცენტს შეადგენს. ვეტოს უფლება 4 სახელმწიფოს გაერთიანებას ექნება.

თუმცა, საგარეოპოლიტიკური გადაწყვეტილების მისაღებად კვლავ ყველა სახელმწიფოს თანხმობა იქნება აუცილებელი.

კონსტიტუციის ძალაში შესვლამდე, ყველა წევრმა სახელმწიფომ ეს დოკუმენტი ან რეფერენდუმზე უნდა გაიტანოს, ან ეროვნულმა პარლამენტებმა უნდა გაუკეთონ რატიფიცირება. ამ ორი ვარიანტიდან არჩევანს ქვეყნები დამოუკიდებლად გააკეთებენ.

ახალი კონსტიტუციის თანახმად, კიდევ უფრო ფართოვდება ევროპარლამენტის უფლებები, რომელიც ევროკავშირის 100-მილიარდიანი ბიუჯეტის ხარჯვას მთლიანად გააკონტროლებს.

დაბოლოს, იტალიისა და პოლონეთის დაჟინებული მოთხოვნის მიუხედავად, კონსტიტუციის ტექსტში ქრისტიანობის როლი ევროპის ცივილიზაციის ჩამოყალიბებაში ნახსენები არ არის. კონსტიტუციის გარშემო მიმდინარე დებატებისას, დაპირისპირების ერთ-ერთ ძირითად საგანს აღნიშნული საკითხი წარმოადგენდა.

# „ცხელი ხაზი" დელიდან ისლამაბადამდე

ინდოეთისა და პაკისტანის საგარეო საქმეთა მინისტრებს სატელეფონო ცხელი ხაზი დააკავშირებთ. ასეთი ნაბიჯი მეზობელმა ქვეყნებმა ბირთვული კატასტროფის თავიდან ასაცილებლად გადადგეს, რომელიც ორივე ქვეყნის არსენალში საკმარისად არის წარმოდგენილი.

ერთობლივ განცხადებაში, რომლითაც კვირას, ბირთვული პრობლემებისადმი მიძღვნილ პირველ მოლაპარაკებაზე შეკრებილი დელისა და ისლამაბადის წარმომადგენლები გამოვიდნენ, ნათქვამია, რომ "ცხელი ხაზი" ორ ქვეყანას შორის კომუნიკაციის ყველაზე უსაფრთხო საშუალება იქნება. ასეთივე "ცხელი ხაზი" უკვე არსებობს ორი ქვეყნის სამხედრო შტაბების მეთაურებს შორის, თუმცა გუშინ მხარეებმა მისი გაუმჯობესების სურვილიც გაამჟღავნეს.

დღემდე უპრეცედენტო მოლაპარაკებებს პირველი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მოჰყვა. დაპირისპირებულმა მხარეებმა განაცხადეს, რომ ახალი ბირთვული გამოცდების ჩატარებაზე უარს ამბობენ, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ეს მათი ქვეყნების სუვერენიტეტის დაცვის აუცილებლობით იქნება ნაკარნახევი.

ჯერ კიდევ სამი წლის წინ მხარეები შეთანხმდნენ, ატომური იარაღის გამოცდების ჩატარების შესახებ ერთმანეთისთვის წინასწარ ეცნობებინათ. თუმცა, 2001 წელს ინდოეთის პარლამენტზე მომხდარი თავდასხმის შემდეგ, მოლაპარაკებათა პროცესი გაურკვეველი ვადით გადაიდო.

აღსანიშნავია, რომ 1947 წლამდე ორი ქვეყანა, ბანგლადეშთან ერთად, დიდი ბრიტანეთის ყველაზე დიდ კოლონიაში შედიოდა და ამ ტერიტორიას ერთი გუბერნატორი მართავდა. ყოფილი კოლონია დამოუკიდებლობის მინიჭების შემდეგ სამ ნაწილად დაიყო, უმთავრესად - რელიგიური ნიშნით, და სამი სუვერენული სახელმწიფო – ინდოეთი, პაკისტანი და ბანგლადეში ჩამოყალიბდა. თუმცა, ხელოვნურად გავლებულ საზღვრებში ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობისაგან განსხვავებული რელიგიის ტომებიც მოხვდნენ. სწორედ ასეთი შემთხვევაა ინდოეთის შემადგენლობაში შემავალ ქაშმირში, სადაც უპირატესად მუსლიმები ცხოვრობენ.

ქაშმირის გამო მეზობელი ქვეყნები სამჯერ იმყოფებოდნენ ერთმანეთთან საომარ მდგომარეობაში. სიტუაცია გაცილებით გართულდა 1998 წლის შემდეგ, როდესაც ინდოეთმაც და პაკისტანმაც, თითქმის ერთდროულად, წარმატებით განახორციელეს ბირთვული იარაღის გამოცდები და მსოფლიოს ბირთვულ კლუბს შეუერთდნენ. თუმცა, სამხედრო თვალსაზრისით ასეთმა გაძლიერებამ ქვეყნებს, უარყოფითის გარდა, არაფერი მოუტანა.

ამ დროიდან, ახლა უკვე ბირთვული სახელმწიფოები ორჯერ იდგნენ ომის წინაშე – 1999 წელს, როდესაც ორი ქვეყნის არმიებს შორის შეტაკება მოხდა ჰიმალაებში და 2002 წელს, როდესაც ინდოეთმა პაკისტანი პარლამენტზე თავდასხმის ორგანიზატორთა მხარდაჭერაში დაადანაშაულა.

მიუხედავად ამისა, დაპირისპირებული ქვეყნების მეთაურებმა მაინც მოახერხეს თითქოს გარდაუვალი კატასტროფის თავიდან აცილება და მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგეს დაძაბულობის შესანელებლად. ურთიერთნდობის განსამტკიცებლად ორივე მხრიდან მთელი რიგი ინიციატივები განხორციელდა. კერძოდ, აღსდგა საჰაერო, სარკინიგზო და საავტომობილო მიმოსვლა, გააქტიურდა დიპლომატიური კონტაქტები და ა.შ.

ამჟამინდელი მოლაპარაკებები ინდოეთისა და პაკისტანის ატომურ პროგრამებთან დაკავშირებული დიალოგის მხოლოდ პირველი ეტაპია - ერთგვარი სასინჯი ქვა, რომელმაც უნდა აჩვენოს, თუ რამდენად სერიოზული იქნება მხარეთა დამოკიდებულება ურთიერთობების ნორმალურ კალაპოტში გადაყვანის გზაზე. ამისათვის "ცხელი ხაზი", ალბათ, ყველაზე საიმედო საშუალებაა. "ცხელი ხაზით" სარგებლობის პოზიტიური შედეგების მსოფლიოში ყველაზე ცნობილი მაგალითი საბჭოთა კავშირისა და აშშ-ს შორის არსებული "ცხელი ხაზია", რომელმაც ორი ზესახელმწიფო პირდაპირ დაპირისპირებას ცივი ომის პერიოდში მართლაც ააცილა.

ძვირფასო აბონენტებო!

ჯეოსელი გილოცავთ ზაფხულის დადგომას და შეგახსენებთ, რომ თუ საკრედიტო ან საავანსო სისტემის აბონენტი ბრძანდებით, თქვენ შეგიძლიათ ისარგებლოთ შემდეგი ფასდაკლებებით:

ჯეოსელი



GEOCELL

-50% – ღამის საათებში (24:00–08:00) განხორციელებულ ლოკალურ ზარებზე

-10% – დღის საათებში (08:00–24:00) ჯეოსელსა და ლაი-ლაიზე განხორციელებულ ზარებზე

1 ივლისიდან ღამის ფასდაკლება გავრცელდება მხოლოდ ჯეოსელსა და ლაი-ლაი-ზე განხორციელებულ ზარებზე.

www.geocell.ge

# გარდაბნის ცნობილი რეკეტიორი უშიშროების სამინისტროს იზოლატორშია



*უშიშროების სამინისტროს ყურადღების ცენტრში "რეკეტიორთა ინსტიტუტიც" მოექცა. ქვემო ქართლის უშიშროების სამსახურმა და უშიშროების სამინისტროს კონსტიტუციური წყობილების დაცვის დეპარტამენტმა გარდაბნის რაიონის სოფელ ბირლიკში სპეცოპერაცია ჩაატარა.*

ინგა ალავიძე

მართალია, სპეცოპერაციას ბირლიკის მოსახლეობის ნაწილის პროტესტი მოჰყვა - მათ გზა გადაკეტეს და დაკავებულის გათავისუფლებას ითხოვდნენ, მაგრამ საბოლოოდ ყველაფერი იმით დასრულდა, რომ ბირლიკის "ავტორიტეტი" - შახმარდამ გასანოვი, რომლის დასაკავებლადაც სპეცოპერაცია გახდა საჭირო, ქვემო ქართლის უშიშროების სამსახურის თანამშრომლებმა თბილისში, უშიშროების სამინისტროს იზოლატორში გადმოიყვანეს.

**"ღონისძიება ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარდა, შახმარდამ გასანოვი წლების მანძილზე ბირლიკის "ავტორიტეტის" სტატუსით სარგებლობდა, წლების მანძილზე არეკეტებდა სოფელს. მისი დაკავების ოპერაცია კანონის სრული დაცვით ჩატარდა,"** – ჩვენთან საუბრისას განაცხადა უშიშროების სამინისტროს კონსტიტუციური წყობილების დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ სოსო თოფურიძემ.

ქვემო ქართლის უშიშროების სამსახურის უფროსის ვალის სანოძის განცხადებით, შახმარდამ გასანოვი, მართალია, "შავი სამყაროს" ავტორიტეტის სტატუსით არ სარგებლობდა, მაგრამ მისი ოჯახის გავლენის გამო, მართვის სერიოზული ბერკეტები გააჩნდა და სოფელ ბირლიკში არეკეტებდა ყველას და ყველაფერს. **"ბირლიკში მას ყველა წილს უხდიდა. საუბარი აღარ არის სუპერმარკეტის ან ჯიხურის მეპატრონეებზე, მისთვის წილის გადახდის გარეშე ბირლიკიდანაც ვერ გადიოდნენ,"** – აცხადებს ვასილ სანოძე, რომელიც ბირლიკელი რეკეტიორის დაკავებისას მომხდარ ინციდენტს ასე აფასებს: **"გზა გადაკეტეს მხოლოდ გასანოვის ახლობლებმა, მისმა ოჯახის წევრებმა და იმ პირებმა, ვისაც ის წილს უყოფდა. საერთოდ, ბირლიკის მოსახლეობამ მისი დაკავების შემდეგ, ფაქტობრივად, ამოისუნთქა,"** – ამბობს ვასილ სანოძე.

ქვემო ქართლის უშიშროების სამსახურის უფროსის ინფორმაციით, შახმარდამ გასანოვის ძმა ხანლარ გასანოვი გარდაბნის რაიონის სოფელ კალინინის გამგებელია, გასანოვების მამა კი გარდაბნის რაიონში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი პირი იყო. პრეზიდენტ შევარდნაძესთან დაახლოებული უფროსი გასანოვი, შევარდნაძის დიდი ნდობით სარგებლობდა და პოლიტიკური საჭიროებისას პრეზიდენტ შევარდნაძის მითითებებს საფუძველს უყრიდა და ახორციელებდა კიდეც. შესაბამისად, უფროსი გასანოვი გარდაბანის არაოფიციალური "მმართველის" სტატუსით სარგებლობდა. რა თქმა უნდა, შახმარდამ გასანოვის რეკეტიორად ჩამოყალიბებას მამის გავლენამ შეუწყო ხელი.

ბირლიკის რეკეტიორის დაკავებისას, მის ერთ-ერთ სამუშაო ობიექტზე – სასაფლაოს ქვის დამამზადებელ საამქროში (ვასილ სანოძის განცხადებით, იგი ამ სფეროს მონოპოლისტიც იყო), ქვემო ქართლის უშიშროების სამსახურმა სამხედრო შეიარაღება ამოიღო: ავტომატი, აირწინაღები, ავტომატისა და სანადირო თოფის ტყვიები, სხვადასხვა სისტემის ორი ხელყუმბარა, ხელბორკილები და სამი ძვირადღირებული სამხედრო დანიშნულების გადამცემი.

ქვემო ქართლის უშიშროების სამსახურმა შახმარდამ გასანოვს ბრალდება იარაღის უკანონო შენახვა-ტარების მუხლით წაუყენა. გასანოვის საქმე ანუ ქვემო ქართლის უშიშროების სამსახურის მიერ მოკვლეული მასალები გუშინ ზედამხედველ პროკურორს გადაეცა და მის მიერ გაცემული დასტურის შემდეგ, გამოძიება გარდაბნის მსხვილი რეკეტიორისთვის სამთვიანი წინასწარი პატიმრობის მოთხოვნით სასამართლოს შუამდგომლობით მიმართავს.

# აფხაზურმა მილიციამ კიდევ ორი ქართველი დააპატიმრა

გალის რაიონის სოფელ საბერიოში აფხაზური მილიციის თანამშრომლებმა კიდევ ორი ქართველი - ჯომიდავა და კეკუა დააკავეს. დაკავებულები უკვე სოხუმის იზოლატორში იმ ოთხი ქართველის გვერდით მოათავსეს, რომლებიც აფხაზურმა მილიციამ ათი დღის წინ დააკავა.

საქმე ისაა, რომ ექვსივე დაკავებულ ქართველს აფხაზები გალის რაიონის სოფელ საბერიოში მდებარე აფხაზური მილიციის საგუშაგოს ტერიტორიის დანაღმვაში ადანაშაულებენ. ქართული მხარისთვის, ჯერჯერობით, უცნობია, რა ჩვენებებს აძლევენ აფხაზებს დაკავებული ქართველები. სეპარატისტები კი აცხადებენ, რომ გარდა საბერიოს ტერიტორიაზე მდებარე აფხაზური მილიციის საგუშაგოს დანაღმვა-აფეთქებისა, დაკავებულები სხვადასხვა სახის დანაშაულშიც არიან ეჭვმიტანილები.

როგორც ქართული მხარე აცხადებს, დაკავებულ ექვს ქართველთან დაკავშირებით აფხაზებს, ჯერჯერობით, პრეტენზიებს ვერ წაუყენებენ.

"აფხაზური მილიციის მიმართ პროტესტს მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოვთქვამთ, თუკი დაკავებული ქართველების უდანაშაულობა დამტკიცდება. შესაძლოა, მათ მართლაც ჩაიდინეს დანაშაული. ჩვენ მათ ხელს ვერ დავაფარებთ, მიმდინარეობს გამოძიება და ყველაფერი გაირკვევა", - აცხადებენ ქართველი სამართალდამცველები.

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** შინაგან საქმეთა მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის გადაწყვეტილებით, პოსტი დატოვა ხაშურის პოლიციის უფროსმა რობიზონ ხარშილაძემ. მისი თანამდებობიდან წასვლის მიზეზად ხაშურში ბოლო პერიოდში შექმნილი რთული კრიმინოგენული ვითარება დასახელდა. ხაშურის პოლიციის უფროსის თანამდებობა მეორედ დაიკავა ნუგზარ კურტანიძემ, მეტსახელად „რემბო". მისი თანამდებობიდან პირველად წასვლის მიზეზი "ვარდების რევოლუციის" შემდეგ განვითარებული მოვლენები გახდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამოსამართლო სწავლების ცენტრში 22 ივნისს მოსამართლის თანაშემწეების საკვალიფიკაციო გამოცდა ჩატარდება. ცენტრის ინფორმაციით, ტესტირებას 90 იურისტი გაივლის, რომლებმაც მოსამართლის თანაშემწის პრეტენდენტთა სამთვიანი კურსი გაიარეს. სასწავლო პროგრამის მიხედვით, ტესტები 100 კითხვისგან შედგება. გამოცდა ჩაბარებულად 70 კითხვაზე სწორი პასუხის გაცემის შემთხვევაში ჩაითვლება.

სამოსამართლო სწავლების ცენტრში 90-მა იურისტმა მომზადება სისხლის, სამოქალაქო, ადმინისტრაციულ, საერთაშორისო და საკონსტიტუციო სამართალში გაიარა.

გამოცდას მეთვალყურეებად იუსტიციის საბჭოს წარმომადგენლები დაესწრებიან. ის იურისტები, რომლებიც ტესტირებას გაივლიან, სამოსამართლო სწავლების ცენტრის სერტიფიკატს მიიღებენ და მათ მოსამართლის თანაშემწის თანამდებობაზე მუშაობის უფლებამოსილება მიენიჭებათ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საკონსტიტუციო სასამართლო 22 ივნისს გადაწყვეტს, დარჩება თუ არა დისციპლინარული საბჭო მოსამართლეთა სადამსჯელო ერთადერთ ორგანოდ.

როგორც არასამთავრობო ორგანიზაციის "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" წარმომადგენლები აცხადებენ, საკონსტიტუციო სასამართლო რუსთავის ყოფილი მოსამართლის ქეთევან ბახტაძის სარჩელზე, რომელიც "მოსამართლეთა დისციპლინარული პასუხისმგებლობისა და დისციპლინარული სამართალწარმოების შესახებ" კანონის რამდენიმე მუხლის (30-ე, 74-2, 75-ე) არაკონსტიტუციურად ცნობას მოითხოვს, საბოლოო გადაწყვეტილებას გამოაცხადებს. სადავო ნორმების თანახმად, დისციპლინარული საბჭო წარმოადგენს ორგანოს, რომლის გადაწყვეტილება გასაჩივრებას არ ექვემდებარება. როგორც მოსარჩელე მხარე განმარტავს, საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, მართლმსაჯულების განხორციელების უფლება მხოლოდ საერთო სასამართლოებსა და საკონსტიტუციო სასამართლოს გააჩნია. რუსთავის ყოფილი მოსამართლე ქეთევან ბახტაძე 2003 წელს სწორედ დისციპლინარული საბჭოს მიერ იქნა გათავისუფლებული. **ინტერ-პრესი**


საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

ილია ჭავჭავაძე

## საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო საქართველოს განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტი

### აცხადებს კონკურსს ვაკანტურ თანამდებობაზე

**სახელმძღვანელოების გაქირავების სისტემის კონსულტანტი**

**შესავალი**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სკოლების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის სისტემის საუკეთესო მოდელის შესაქმნელად საქართველოს მასშტაბით დაახლოებით 50 ექსპერიმენტულ სკოლაში ახორციელებს ექსპერიმენტს. კონსულტანტმა უნდა უხელმძღვანელოს და წარმართოს ყველა სახის საქმიანობა.

**ძირითადი მოვალეობები და პასუხისმგებლობები:**

კონსულტანტი

- გააცნობს 50 ექსპერიმენტულ სკოლას ნახმარი სახელმძღვანელოებით სარგებლობის 4-5 ალტერნატიულ მოდელს;
- წარმართავს ყველა ამ საქმიანობასთან დაკავშირებულ წლიური ხარჯთაღრიცხვის შედგენასა და კონტროლთან დაკავშირებულ საქმიანობას;
- მოამზადებს ყოველგვარ დოკუმენტაციას, რომელიც აუცილებელია სკოლებში ჩასატარებელი ექსპერიმენტების კონტროლის, მონიტორინგისა და შეფასებისთვის; მათ შორის ინსტრუქციებს ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა სახელმძღვანელოების ქირის ადგილობრივ საბანკო ანგარიშებზე განთავსება. აგრეთვე, სკოლებში, განათლების რაიონულ განყოფილებებსა და ადგილობრივ ბანკებში ტრეინინგის, კონტროლის, კონსულტაციებისა და წლიური შედეგების შეჯამების მიზნით ვიზიტების განხორცილება;
- მოამზადებს მასალებს თბილისში და ექსპერიმენტულ სკოლებში ჩასატარებელი საინფორმაციო შეხვედრებისათვის და საჭიროებისამებრ ჩაატარებს ასეთ შეხვედრებს;
- ინსტრუქციებს მისცემს კონტროლის განმახორციელებელ პირებს (მონიტორებს); ზედამხედველობას გაუწევს მათ საქმიანობას; დაგეგმავს მათ ვიზიტებს სკოლებში; მოამზადებს სკოლებში განხორციელებელი ვიზიტების ანგარიშის ფორმას და მეთვალყურეობას გაუწევს ამგვარ საანგარიშო საქმიანობას;
- ყოველი წლის ნოემბრის თვის შემდგომ მოამზადებს წლიური კონტროლის ანგარიშს სკოლებში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით, ხოლო ყოველი სასკოლო წლის დასრულების შემდეგ - შემაჯამებელ ანგარიშს. ასეთი ანგარიშები, სხვა საკითხებთან ერთად, უნდა მოიცავდეს პროექტის განხორციელების გეგმის მონახაზს მოცემულ კომპონენტთან დაკავშირებით;
- შეაჯერებს სახელმძღვანელოებთან დაკავშირებულ მოსაზრებებსა და წინადადებებს; მიღებული ინფორმაციის საფუძველზე მოთხოვნის მიხედვით შეიმუშავებს სამუშაო გეგმას სახელმძღვანელოების გამოცემის დარეგულირების მიზნით;
- განახორციელებს სახელმძღვანელოების გაქირავების სისტემის საექსპერიმენტო პროგრამას მთელი საქართველოს მასშტაბით, რაც დაწყებულია 2001 წლის სექტემბრიდან საექსპერიმენტო სკოლებში; არსებული შედეგებისა და სამომავლო დაკვირვების საფუძველზე, გამოავლენს აღნიშნული სისტემის საუკეთესო მოდელს საქართველოს სკოლებისათვის სახელმძღვანელოების მიწოდების თვალსაზრისით;
- მოამზადებს ყველა სახის დოკუმენტაციას და ინსტრუქციებს სახელმძღვანელოების გაქირავების სისტემის ექსპერიმენტის ჩატარების, კონტროლისა და შეფასებისათვის; ისეთი საკითხების ჩათვლით, როგორიცაა სახელმძღვანელობის გაქირავებიდან შემოსული თანხის განთავსება ადგილობრივ საბანკო ანგარიშებზე; ასევე, განხორციელებს ვიზიტებს წლიური შედეგების შეჯამებისა და ასევე, სკოლების, რეგიონალური განათლების განყოფილებებისა და ადგილობრივ ბანკებში ტრენინგის, კონტროლისა და კონსულტაციების მიზნით; იმ პიროვნებებისათვის მითითებების მიცემა, ვინც წარმართავს აღნიშნულ სისტემას (მონიტორები); ზედამხედველობას უწევს მათ მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს და ამზადებს საბოლოო ანგარიშებს.

**კვალიფიკაცია და მოთხოვნები:**

- უმაღლესი განათლება
- სამუშაო გამოცდილება საერთაშორისო პროექტებში
- კომპიუტერთან მუშაობის უნარი (Word, Excel, MS Power Point)
- საქართველოს განათლების სისტემის ცოდნა
- გუნდური პრინციპით მუშაობის უნარი
- კარგი წერილობითი და ზეპირი კომუნიკაციების უნარი
- ინსტრუქციებისა და ანგარიშების წერის უნარი
- სასურველია ინგლისური ენის ცოდნა

**ანგარიშგება**

კონსულტანტი ანგარიშვალდებულია განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრის დირექტორის წინაშე.

კონსულტანტი ვალდებულია იქონიოს ქმედითი საქმიანი ურთიერთობები და ითანამშრომლოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ყველა მოხელესთან და თანამშრომელთან, რომელთანაც ურთიერთობასაც მისგან მისი პროფესიული საქმიანობა მოითხოვს.

**შრომითი ხელშეკრულების ვადა**

აღნიშნული თანამდებობა სრულგანაკვეთიანია.

თავდაპირველად ხელშეკრულება დაიდება 3 თვის საგამოცდო ვადით და დამაკმაყოფილებელი შედეგის შემთხვევაში გაგრძელდება ყოველწლიურად.

თქვენთვის საინტერესო ვაკანტური ადგილის დასაკავებლად გთხოვთ წარმოადგინოთ განაცხადები ქართულ და ინგლისურ ენებზე (ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსია) შემდეგ მისამართზე:

**საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი**

0102 თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52, ოთახი N102.

ტელეფონები: **95-98-37; 95-83-13 F**

**ელ.-ფოსტა: GEP@wanex.net**

საკონტაქტო პირი: ქ-ნი **ეკა ეზუგბაია**

წარმოსადგენი განაცხადების ფორმების ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ მიიღოთ ზემოთ მითითებულ მისამართზე.

**განაცხადებების წარდგენის საბოლოო ვადაა 2004 წლის 5 ივლისი**

**შენიშვნა:**

საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად და მსოფლიო ბანკის მოთხოვნით კონკურსში მონაწილეობას ვერ მიიღებენ:

ა) განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკების ოჯახის წევრები და ახლო ნათესავები;

ბ) ის პირები, რომელთაც მჭიდრო კავშირი აქვთ ისეთ ფირმასთან ან ასოციაციასთან, რომელმაც პროექტის მომზადების ან განხორციელების პერიოდში, შესაძლოა, შეასრულოს საიჯარო სამუშაოები.



## სამშენებლო კოპანია "ბურჯი" აცხადებს კონკურსს შემდეგ სპეციალისტებზე

გვესაჭიროება ენერგიული, კომუნიკაბელური კადრები საპროექტო ჯგუფში, საწარმოო ტექნიკურ განყოფილებაში და სამშენებლო ობიექტებზე სამუშაოდ, მაღალი ანაზღაურებით. სამშენბლო ობიექტები განთავსებულია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

**საპროექტო ჯგუფი:**

1. ელექტო ინჟინერი (პროექტანტი);
2. წყალმომარაგება კანალიზაციის ინჟინერი (პროექტანტი);
3. თბოაირმომარაგება, ვენტილაცია, კონდენცირების ინჟინერი (პროექტანტი).

**საწარმო ტექნიკური განყოფილება:**

1. მშენებელ ინჟინერი (სტგ-ში მუშაობის გამოცდილებით);
2. ელექტო ინჟინერი (საწარმოო გამოცდილება);
3. წყალმომარაგება კანალიზაციის ინჟინერი (საწარმოო გამოცდილება);
4. თბოაირმომარაგება, ვენტილაცია, კონდენცირების ინჟინერი (საწარმოო გამოცდილება).

**სამუშაოთა მწარმოებელი:**

1. ინჟინერ მშენებელი;
2. ელექტო სამონტაჟო;
3. წყალმომარაგება კანალიზაციის;
4. თბოაირმომარაგება, ვენტილაცია, კონდენცირების.

**მოთხოვნები:**

1. უმაღლესი ტექნიკური განათლება (შესაბამისი სპეციალობით);
2. საწარმოო და საპროექტო (მოთხოვნის შესაბამისად) გამოცდილება არანაკლებ 5 წელი;
3. დარგში თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მასალების ღრმა ცოდნა;
4. სათანადო კომპიუტერული პროგრამების ცოდნა (საპროექტო ნაწილისთვის);
5. სასურველია საერთაშორისო და საზღვარგარეთის ორგანიზაციებში მუშაობის გამოცდილება.

**წარმოსადგენი საბუთები:**

1. CV
2. განხორციელებული პროექტების დეტალური აღწერა.

საბუთები მიიღება 2004 წლის 15 ივლისამდე შემდეგ მისამართზე:

ქ.თბილისი ჭავჭავაძის გამზ.N39ა მისაღები (მიანიშნეთ შპს "ბურჯი" კონკურსისათვის)

ტელ.: 25-34-86, 25-34-87

FAX: 25-34-93

E-mail:office@inter-servise.com.ge

ორგანიზაცია არ გასცემს ახსნა-განმარტებებს კონკურსის შედეგების შესახებ

მთავარი სპეციალისტი (ელექტო ინჟინერი; წყალმომარაგება კანალიზაციის ინჟინერი; თბოაირმომარაგება, ვენტილაცია, კონდენცირების ინჟინერი, ავტო ტრანსპორტისა და მექანიზმების ინჟინერი)

გვესაჭიროება ენერგიული, კომუნიკაბელური კადრები მაღალ ანაზღაურებად სამუშაოზე. სამშენბლო ობიექტები განთავსებულია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

**საკვალიფიკაციო მონაცემები:**

1. უმაღლესი ტექნიკური განათლება - ელექტო ინჟინერი; წყალმომარაგება კანალიზაციის ინჟინერი; თბოაირმომარაგება, ვენტილაცია, კონდენცირების ინჟინერი, ავტო-მექანიკოსი (შესაბამისი სპეციალობით);
2. საპროექტო და საწარმოო მუშაობის გამოცდილება სპეციალისტად ან ხელმძღვანელად არანაკლებ 5 წელი;
3. დარგში თანამედროვე ტექნოლოგიების, საპროექტო გადაწყვეტების და მასალების ღრმა ცოდნა;
4. უცხოურ ფირმებში მუშაობის ან თანამშრომლობის გამოცდილება 1999წ.-დან 2004წ.-მდე;
5. სათანადო კომპიუტერულ პროგრამების ცოდნა Windows XP, MS Office, MS Internet Explorer, AutoCAD;
6. ინგლისური და რუსული ენების კარგი ცოდნა;

**სამუშაოს შინაარსი:**

პროექტის შესაბამის ნაწილში პრინციპული სქემების შემოწმება და გადაწყვეტილებების მიღება, საპროექტო დავალებების გაცემა შესაბამისი სპეცილაობების პროექტანტებისთვის და მათი ხელმძღვანელობა. მონაწილეობის მიღება მომარაგების სამსახურთან ერთად საჭირო მასალების და დანადგარების მოძიებაში. მიღებული მასალების და დანადგარების კომპლექტაციის და ხარისხის შემოწმება. სამუშაოთა მწარმოებლებზე საჭირო რეკომენდაციების, სამონტაჟო სქემების გაცემა და სამუშაოების შესრულებაზე ზედამხედველობა. პირადი პასუხისმგებლობა მთელი ტექნიკური ციკლის ხარისხიან და დროულ შესრულებაზე.

ავტო ტრანსპორტისა და მექანიზმების ინჟინერისათვის: ავტო ტრანსპორტისა და მექანიზმების მომსახურებისა და ექსპლოატაციის კოორდინირება და მათი ხელმძღვანელობა მონაწილეობის მიღება მომარაგების სამსახურთან ერთად საჭირო მექანიზმებისა და სათადარიგო ნაწილების მოძიებაში. მიღებული მექანიზმებისა და სათადარიგო ნაწილების კომპლექტაციის და ხარისხის შემოწმება.

**წარმოსადგენი საბუთები:**

1. CV
2. განხორციელებული პროექტების დეტალური აღწერა.

საბუთები მიიღება 2004 წლის 15 ივლისამდე შემდეგ მისამართზე:

ქ.თბილისი ჭავჭავაძის გამზ.N39ა მისაღები (მიანიშნეთ შპს "ბურჯი" კონკურსისათვის)

ტელ.: 25-34-86, 25-34-87 ("ქართუ ჯგუფის" შენობა)

FAX: 25-34-93

E-mail:office@inter-servise.com.ge

ორგანიზაცია არ გასცემს ახსნა-განმარტებებს კონკურსის შედეგების შესახებ

# განცხადება

## საპატრულო პოლიციის დაკომპლექტების მიზნით გასამართი შესარჩევი კონკურსის თაობაზე

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში მიმდინარე სტრუქტურული რეორგანიზაციის ფარგლებში გათვალისწინებულია საგზაო პოლიციის ნაცვლად საპატრულო პოლიციის ჩამოყალიბება. აღნიშნული სამსახურის უმთავრეს ფუნქციად განისაზღვრება მობილური ოპერატიული ჯგუფების მეშვეობით საგზაო მაგისტრალებისა და დასახლებულ პუნქტებში საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვა, დანაშაულის პროფილაქტიკა და მისი თავიდან აცილება.

თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად სამსახურის ფუნქციონირებისა და მისი კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტების მიზნით შინაგან საქმეთა სამინისტრო აცხადებს კონკურსს მოსამზადებელი კურსების მსმენელთა შესარჩევად.

**კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დაიშვება საქართველოს მოქალაქე 23-დან 37 წლამდე, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:**

1. ფლობს სახელმწიფო ენას (სასურველია ასევე უცხოენის ცოდნა);
2. აქვს უმაღლესი ან არასრული უმაღლესი განათლება;
3. ფლობს საქართველოს კონსტიტუციური სამართლის საფუძვლებს;
4. აქვს სატრანსპორტო საშუალების მართვის დამადასტურებელი მოწმობა;

**შერჩევისას უპირატესობა მიენიჭება პოლიციის აკადემის კურსდამთავრებულებს.**

მოსასამზადებელი კურსების მსმენელთა შესარჩევად ჩატარდება გასაუბრება კომისიასთან, რა დროსაც მოხდება კანდიდატთა ზოგადი განათლებისა და პიროვნული თვისებების შეფასება - კომისიის დადებითი შეფასების შემთხვევაში კანდიდატებს ჩაუტარდებათ შემოწმება ფიზიკურ მომზადებაში.

**კომისიის მიერ შერჩეული კანდიდატები გაივლიან მოსამზადებელ კურსებს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის ბაზაზე, სადაც მიმდინარე წლის 25 ივნისიდან ორ ეტაპად ჩატარდება ორკვირიანი სწავლება შემდეგ დისციპლინებში:**

1. საპატრულო სამსახურის შესრულების ტაქტიკა;
2. პოლიცია და ადამიანის უფლებების დაცვა;
3. სისხლის სამართლის საფუძვლები;
4. ადმინისტრაციული სამართლის საფუძვლები;
5. ოპერატიული ტექნიკა და საკომუნიკაციო საშუალებები;
6. დოკუმენტებთან მუშაობა;
7. პირველადი სამედიცინო დახმარება;
8. საბრძოლო მომზადება;
9. საგზაო მოძრაობის წესები;
10. ეთიკის საფუძვლები.

**კონკურსში მონაწილეობის მისაღებად სავალდებულოა შემდეგი დოკუმენტების წარმოდგენა:**

1. განცხადება მიღების შესახებ;
2. ხელნაწერი ავტობიოგრაფია;
3. განათლების ან შესაბამისი კვლიფიკაციის მოწმობა;
4. პირადობის დამადასტურებელი მოწმობა;
5. 4 ფოტოსურათი ზომით 3X4 სმ.

**ქალაქ თბილისში საპატრულო პოლიციელთა რაოდენობა განისაზღვრება 650 ერთეულით;**

ქუთაისში - 70 ერთეულით; ბათუმში - 65; გორში - 35;

ფოთში, ზუგდიდში, ქობულეთში და რუსთავში - 25-25; თელავში - 20;

მარნეულში და გარდაბანში - 17-17;

წალენჯიხაში, ოზურგეთში, სამტრედიაში, ზესტაფონში, ბორჯომში, ლაგოდეხში, დედოფლისწყაროში, გურჯაანში, ახალციხეში და ხელვაჩაურში - 11-11;

ლანჩხუთში -9.

ამასთანავე განსაზღვრულია შემდეგი ტრასები: I. წითელი ხიდი-თბილისი - 45 ერთეული, II. წეროვანი-როკის გვირაბი - 70 ერთეული, III. როკის გვირაბი-სოფელი საჯავახო - 75 ერთეული; IV. სამტრედია-ჩოლოქი - 18; V. სამტრედია-ზუგდიდი - 18; VI. ნატახტარი-ყაზბეგი - 24; VII. ხაშური-ვალე - 18; VIII. თბილისი-ლაგოდეხი - 42;

**განცხადებებისა და საბუთების მიღება იწარმოებს 2004 წლის 21 ივნისიდან - 24 ივნისის ჩათვლით 9-დან 21 საათამდე შემდეგ მისამართებზე:**

- თბილისი, გენერალ გია გულუას ქუჩა N 10, შინაგან საქმეთა სამინისტროს საშვთა ბიურო;

აჭარის შინაგან საქმეთა სამინისტრო (ქ. ბათუმი),

იმერეთის შს მთავარი სამმართველო (ქ. ქუთაისი),

გურიის შს სამმართველო (ქ. ოზურგეთი),

სამეგრელოსა და ზემო სვანეთის შს მთავარი სამმართველო (ქ. ზუგდიდი),

სამცხე-ჯავახეთის შს მთავარი სამმართველო (ქ. ახალციხე),

შიდა ქართლის შს მთავარი სამმართველო (ქ. გორი),

ქვემო ქართლის შს მთავარი სამმართველო (ქ. რუსთავი),

მცხეთა-მთიანეთის შს მთავარი სამმართველო (ქ. მცხეთა),

კახეთის შს მთავარი სამმართველო (ქ. თელავი),

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის შს მთავარი სამმართველო (ქ. ამბროლაური),

გასაუბრება და სპორტული ნორმატივების ჩაბარება დაიწყება 2004 წლის 25 ივნისიდან პოლიციის აკადემიაში (თბილისი, გლდანის მასივი, პლატონოვ-ივანოვის ქუჩა N 15)

*საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო*

# საბანკო ანაბრების დაზღვევა - აქტუალური თემა საქართველოსთვის

სპს "ქავთარაძე და პარტნიორები" საკონსულტაციო ჯგუფი "დვნქ"

საქართველოს ახალგაზრდა ბანკირთა ასოციაცია

ავთო გოგოლი

### მოსახლეობის ნდობა ბანკებისადმი

საქართველოში ცალსახად დადებითი ტენდენცია ფიქსირდება კომერციული ბანკებისადმი ნდობის თვალსაზრისით. საზოგადოების ბანკებისადმი ნდობის ერთ-ერთი მთავარი ინდიკატორი არის ბანკებში განთავსებული დეპოზიტების მოცულობა და მათი ვადიანობა. 1999 წლიდან 2004 წლის პირველი კვარტლის ბოლომდე ბანკებში განთავსებული დეპოზიტების მოცულობა თითქმის სამჯერ გაიზრდა. ამასთანავე გაიზარდა დეპოზიტების ვადიანობა: 1999 წლისთვის ვადიანი დეპოზიტების საშუალო ვადიანობა ექვსი თვე იყო, 2004 წლის პირველი კვარტლისათვის აღნიშნული მაჩვენებელი თითქმის თორმეტ თვეს შეადგენდა. ეს მონაცემები იძლევა საფუძველს, რომ ვთქვათ - საზოგადოების ნდობა კომერციული ბანკებისადმი იზრდება, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს კომერციული ბანკების ინტეგრაციას ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში. დიაგრამაზე მოცემულია კომერციულ ბანკებში ფიზიკური და იურიდიული პირების ანაბრების (მიმდინარე ანგარიშები, ყველა სახის ვადიანი და მოთხოვნამდე დეპოზიტები) მოცულობა და დინამიკა ბოლო ხუთი წლის განმავლობაში.




### მეანაბრის უმთავრესი მოტივაცია

ბანკის მეანაბრეთათვის, როგორც წესი, თანხის ბანკში განთავსებისას დამახასიათებელია კონსერვატიული, ნაკლებად რისკიანი და, შესაბამისად, ნაკლებად სარფიანი გადაწყვეტილებები მაქსიმალური უსაფრთხოებისა და გარანტიის სანაცვლოდ.

მეანაბრე თანხის საბანკო დეპოზიტზე განთავსებით უარს ამბობს მრავალ ალტერნატივაზე, რომელიც მოგების მიღების თვალსაზრისით გაცილებით სარფიანი შეიძლება იყოს, ვიდრე საბანკო დეპოზიტი. მეანაბრის რიგით პირველი კრიტერიუმი, რომლის მიხედვითაც ის ღებულობს გადაწყვეტილებას გარკვეული თანხა განათავსოს ბანკში, ბანკის სანდოობა და სტაბილურობაა. მნიშვნელობით მეორე კრიტერიუმი არის სარგებელი (დარიცხული პროცენტი), რომელსაც ბანკები სთავაზობენ პოტენციურ მეანაბრეებს მათთან განთავსებულ თანხებზე. ამდენად, მეანაბრის უმთავრესი და ძირითადი მოტივაცია არის ქონების (ანაბრის) საიმედოდ შენახვა და მხოლოდ ამ პირობის დაკმაყოფილების შემთხვევაში სარგებლის მიღება.

### რა მექანიზმებით არის დაცული საქართველოს მოსახლეობის ანაბრები კომერციულ ბანკებში?

ზოგადად, საბანკო საქმიანობა სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებით მკაცრ კონტროლსა და ზედამხედველობას ექვემდებარება. როგორც წესი, ზედამხედველობისა და კონტროლის ფუნქციები ეკისრებათ სახელმწიფოს ცენტრალურ ბანკებს. საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ (რომელებიც მონიტორინგს უკეთებენ საქართველოს ეროვნული ბანკის საქმიანობას კონკრეტული მიმართულებებით) ბოლო წლების განმავლობაში გაკეთებული ანგარიშების მიხედვით, საქართველოს ეროვნული ბანკის საქმიანობა მხოლოდ დადებითად არის შეფასებული. ეს არსებული და პოტენციური მეანაბრეებისთვის მარტივად ნიშნავს იმას, რომ ეროვნულ ბანკს შესწევს უნარი, აკონტროლოს კომერციულ ბანკები და, შესაბამისად, დაიცვას მოსახლეობა ამ ბანკებში განთავსებული ანაბრების დაკარგვისგან.

ისმის კითხვა, რამდენად საკმარისია თუნდაც იდეალურად მკაცრი და გამართული საბანკო ზედამხედველობა და რა შემთხვევაში არის ის არაეფექტრური, უძლური მოსახლეობის ანაბრების დაცვისათვის? მაგალითისთვის, 1980-1997 წლებში დაფიქსირდა 40 საბანკო კრიზისი, რომელმაც ასახვა ჰპოვა საერთაშორისო სავალუტო ფონდის 61 წევრქვეყნაზე. ამ კრიზისების შედეგები გამოიხატა იმაში, რომ მოხდა ბანკების გაკოტრება და მეანაბრეთა უზარმაზარი ქონების დაკარგვა. რა თქმა უნდა, ყველა ამ კრიზისის მიზეზი არ იყო სისტემური ხასიათის, ანუ კრიზისის მიზეზი არ იდო საბანკო სისტემაში. უმრავლეს შემთხვევაში საბანკო კრიზისები გამოიწვია საბანკო სისტემის გარეთ მიმდინარე პროცესებმა: პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა, საზოგადოებრივმა და ა.შ. კარგი მაგალითი იმისა, თუ რა შემთხვევაში არის ბანკების მხოლოდ ზედამხდველობა, რეგულირება და კონტროლი არასაკმარისი და არაეფექტური მეანაბრეთა ინტერესების დაცვისას, არის ე.წ. საბანკო პანიკა.

### საბანკო პანიკა

კონკრეტულმა გარემოებამ ან გარემოებებმა მოსახლეობაში შესაძლებელია დაბადოს ბანკებში განთავსებული ანაბრების დაკარგვის შიში მიუხედავად იმისა, ამა თუ იმ მოვლენას რეალურად შეუძლია თუ არა საფრთხე შეუქმნას მოქალაქის მიერ ბანკში განთავსებულ თანხას და კითხვის ქვეშ დააყენოს ამ თანხის დაბრუნება. როგორც წესი, თითოეული მეანაბრის სუბიექტური და ირაციონალური მოსაზრებებიდან გამომდინარე, ამ დროს იბადება შიშის ფაქტორი, რაც ბანკებში განთავსებული თანხების დაკარგვას უკავშირდება. აღსანიშნავია, რომ ასეთ საბანკო პანიკებს უმრავლეს შემთხვევაში საფუძვლად უდევს მეანაბრეთა ვარაუდები ერთმანეთის მოქმედებებთან დაკავშირებით: კონკრეტული მეანაბრე ვარაუდობს, რომ ესა თუ ის გარემოება სხვა მეანაბრეებში გამოიწვევს შიშს, რის გამოც ისინი დაიწყებენ ბანკებიდან თანხების გამოტანას; ამ შემთხვევაში ის, ვინც დაგვიანებით მიმართავს ბანკს, აღმოჩნდება დაზარალებული. სწორედ სხვა მეანაბრეების ქმედებების მიმართ ასეთი ვარაუდი აიძულებს ყოველ მეანაბრეს თვითონაც მიმართოს ბანკს და დაუყოვნებლივ მოითხოვოს თავისი ანაბარი. ამ სახის ვარაუდები და ქმედებები იწვევს საზოგადო პანიკას, რასაც მოსდევს ბანკებიდან ანაბრების მასიური ამოღება და, შესაბამისად, საბანკო კრიზისები. ეს მოვლენა იყო ერთ-ერთი უმთავრესი, რამაც 1998 წელს, სხვა ფაქტორებთან ერთად, რუსეთის ფინანსური კრიზისი განაპირობა.

**საზოგადოების ნდობა კომერციული ბანკებისადმი იზრდება, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს კომერციული ბანკების ინტეგრაციას ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში.**

**ყველა ამ კრიზისის მიზეზი არ იყო სისტემური ხასიათის, ანუ კრიზისის მიზეზი არ იდო თვით საბანკო სისტემაში. უმრავლეს შემთხვევაში საბანკო კრიზისები გამოიწვია თვით საბანკო სისტემის გარეთ მიმდინარე პროცესებმა: პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა, საზოგადოებრივმა და ა.შ.**

**მასიური საბანკო პანიკა არის საშიშროება, რომელიც შეიძლება გაჩნდეს ნებისმიერ ქვეყანაში ნებისმიერ დროს. ამავე დროს, სწორედ ის საბანკო პანიკა ქმნის პრობლემას, რომელსაც ცენტრალური ბანკის მხრიდან კომერციული ბანკების მკაცრი ზედამხედველობა და კონტროლი ვერ უმკლავდება.**

**თითოეული მეანაბრის მხრიდან ანაბრის დაბრუნების მოთხოვნა სავსებით გასაგებია ნებისმიერ შემთხვევაში, რა მოტივაციაც არ უნდა ჰქონდეს ამ მოთხოვნას საფუძვლად. მაგრამ ცხადია, ნებისმიერ წარმატებულ, მდგრად კომერციულ ბანკს არ შეუძლია დააკმაყოფილოს ყველა მეანაბრის ერთდროული მოთხოვნა კუთვნილი ანაბრების დაუყოვნებლივ უკან დაბრუნებაზე.**

**მოსახლეობაში ჯერ კიდევ არასაკმარისია ეროვნული ვალუტის სიმყარისადმი ნდობა და არსებობს მისი გაუფასურების შიშიც. აღსანიშნავია, რომ ქართველი მეანაბრეები ამ შემთხვევაშიც საკუთარი გამოცდილებით ხელმძღვანელობენ, რაც ოთხმოცდაათიანი წლების პირველ ნახევარში კუპონის გაუფასურებასთან არის დაკავშირებული.**

თითოეული მეანაბრის მხრიდან ანაბრის დაბრუნების მოთხოვნა სავსებით გასაგებია ნებისმიერ შემთხვევაში, რა მოტივაციაც არ უნდა ჰქონდეს ამ მოთხოვნას საფუძვლად. ბანკი მოქალაქის ანაბრის მიღებასთან ერთად კისრულობს ვალდებულებას, დაუბრუნოს მეანაბრეს კუთვნილი თანხა დაუყოვნებლივ, მისი მოთხოვნის შესაბამისად. მაგრამ ცხადია, ნებისმიერ წარმატებულ, მდგრად კომერციულ ბანკს არ შეუძლია დააკმაყოფილოს ყველა მეანაბრის ერთდროული მოთხოვნა კუთვნილი ანაბრების დაუყოვნებლივ უკან დაბრუნებაზე.

მეანაბრეთა მიერ ერთმანეთის მოქმედებების ვარაუდსა და ამ ვარაუდების შესაბამისად მოქმედებას თეორეტიკოსები მეანაბრეთა შორის "კოორდინაციის არარსებობას" უწოდებენ - თუ მეანაბრეები ერთმანეთს მოელაპარაკებოდნენ და კოორდინირებულად იმოქმედებდნენ, თავიდან აიცილებდნენ პანიკას, ბანკებიდან ანაბრების მასიურ ამოღებასა და, შესაბამისად, თოთოეული მათგანის კუთვნილი საბანკო ანაბრის დაკარგვას.

რა თქმა უნდა, ამის პრაქტიკული განხორციელება შეუძლებელია და სწორედ ეს მეტყველებს ზოგადად საბანკო სისტემის არაეფექტურობაზე. კერძოდ, ეფექტური საბანკო სისტემა კონკრეტულ მომენტში არალიკვიდურ, მაგრამ გადახდისუნარიან ბანკებს უნდა აძლევდეს საშუალებას, დაუყოვნებვლივ დააკმაყოფილოს ყველა მეანაბრის მოთხოვნა.

მასიური საბანკო პანიკა არის საშიშროება, რომელიც შეიძლება გაჩნდეს ნებისმიერ ქვეყანაში ნებისმიერ დროს. ამავე დროს სწორედ ის არის პრობლემა, რომელსაც ცენტრალური ბანკის მხრიდან კომერციული ბანკების მკაცრი ზედამხედველობა და კონტროლი ვერ უმკლავდება.

### ანაბრების დაზღვევის სისტემა

პრაქტიკულად ყველა განვითარებულ ქვეყანაში შექმნილია საბანკო დეპოზიტების დაზღვევის სისტემები მეანაბრეთა ინტერესების დაცვის მიზნით. ამ სისტემების ძირითადი არსი მგომარეობს შემდეგში: იქმნება სადაზღვევო ფონდი (ეს ფონდი შეიძლება იყოს სახელმწიფო, კერძო ან შერეული), რომელშიც კომერციული ბანკები აზღვევენ თავიანთი მეანაბრეების თანხებს რეგულარული სადაზღვევო გადასახადების სახით (როგორც წესი, ერთი მეანაბრის მიერ ერთ ბანკში განთავსებული დაზღვევით გარანტირებული თანხა ლიმიტირებულია - მაგალითად, საქართველოს ეროვნული ბანკის გეგმის მიხედვით, ერთი მეანაბრის მიერ ერთ ბანკში განთავსებული პირველი 10.000 ლარი უნდა დაეზღვიოს). კომერციული ბანკის გაკოტრების შემთხვევაში სადაზღვევო ფონდიდან ხდება მეანაბრეთათვის კუთვნილი ანაბრების ანაზღაურება.

ნიშანდობლივია, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში დეპოზიტების დაზღვევის სისტემები, როგორც წესი, იმ პერიოდებშია შექმნილი, როდესაც ამ ქვეყნებში ადგილი ჰქონდა ეკონომიკურ თუ ფინანსურ კრიზისებს. 1933 წელს პირველად აშშ-ში შეიქმნა ცნობილი დეპოზიტების დაზღვევის ფედერალური კომპანია, სადაც ანაბრების მიმღებ საბანკო და არასაბანკო დაწესებულებებს დაევალათ, დაეზღვიათ მოქალაქეთა მათთან განთავსებული ანაბრები. ეს იყო საპასუხო რეაქცია იმ საბანკო კრიზისებზე, რომელიც მოხდა აშშ-ში დიდი დეპრესიის დროს, 1920-იან წლებში, რასაც მოჰყვა ათასობით კომერციული ბანკისა და შემნახველი სალაროს გაკოტრება და მოსახლეობის კუთვნილი ანაბრების მასიური დაკარგვა.

როგორც აღმოჩნდა ანაბრების სავალდებულო დაზღვევას ჰქონდა აბსოლუტური წარმატება - მას შემდეგ არ შექმნილა არც ერთი საბანკო პანიკა. ამან კი, თავის მხრივ, ფინანსური სისტემის სტაბილურობასა და ეკონომიკური სისტემის მყარ ზრდას შეუწყო ხელი.

ეს სისტემა მოქმედებს არა მარტო ყველა განვითარებულ ქვეყანაში, არამედ უკვე გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების პირველი ნახევრიდან დეპოზიტების დაზღვევის სისტემები მოქმედებს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებშიც (პოლონეთი, ჩეხეთი, ბულგარეთი, უნგრეთი). გასული წლის ბოლოს რუსეთის სახელმწიფო დუმამ მიიღო კანონი კერძო პირთა ანაბრების დაზღვევის შესახებ, რომელიც მიმდინარე წლიდან შევიდა ძალაში.

საბანკო ანაბრების დაზღვევის სისტემის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს კომერციული ბანკების მეანაბრეთა ინტერესების დაცვა, საბანკო სისტემის მიმართ საზოგადოებრივი ნდობის ამაღლება, შესაბამისად, საბანკო არხებში ფულის მასის ზრდა და თვით კომერციული ბანკების დაცვა საბანკო პანიკებისა და მეანაბრეთა "არაკოორდინირებული" ქმედებებისაგან. მსოფლიოს უმრავლესი ქვეყნების გამოცდილება და პრაქტიკა ამტკიცებს, რომ დეპოზიტების დაზღვევის სისტემა არის ძალიან ეფექტური ინსტრუმენტი ზემოხსენებული მიზნების მისაღწევად.

### არსებული სიტუაცია საქართველოში

2003 წლის ბოლოს საქართველოს ეროვნული ბანკმა შეიმუშავა დეპოზიტების დაზღვევის სისტემის მოწყობისა და ფუნქციონირების ძირითადი პრინციპები. მიმდინარე წლის მაისში პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა დადგენილება "საქართველოს 2004 წლის ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ", რომლის მიხედვითაც უნდა დაიწყოს მუშაობა დეპოზიტების დაზღვევის სისტემის საკანონმდებლო ბაზის შესაქმნელად. რა თქმა უნდა, სასურველია ეს კანონი უკვე არსებობდეს საქართველოში.

ეროვნული ბანკის ზემოხსნებულ სახელმძღვანელო პრინციპებში აღსანიშნავია ერთი ძალიან პოზიტიური მიდგომა იმის თაობაზე, რომ უნდა დაიზღვეს როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირების ყველა სახის ანაბრები. სხვადასხვა ქვეყნებში არსებული კანონების მიხედვით ხდება მხოლოდ ფიზიკური პირების ანაბრების დაზღვევა მიუხედავად იმისა, რომ იურიდიულ პირებს ამ სახის გარანტიები არანაკლებ ესაჭიროებათ, განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო საწარმოებს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ბოლო წლების განმავლობაში როგორც თანხობრივად, ასევე სტრუქტურულად (ვადიანობის თვალსაზრისით) პოზიტიური დინამიკა ფიქსირდება კომერციულ ბანკებში განთავსებული ანაბრების თვალსაზრისით. მიუხედავდ ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში საკმაოდ დაბალია საბანკო არხებში ფულის მიმოქცევის დონე (ე.წ. ფულის სტრუქტურული პრობლემა). კერძოდ, 2003 წლისათვის ფართო ფულის თანაფარდობამ მთლიან შიდა პროდუქტთან 12 პროცენტი შეადგინა, როცა განვითარებულ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 40-90 პროცენტია. როგორც წესი, ანაბრების დაზღვევის შედეგია მოსახლეობის ნდობის ამაღლება ბანკებისადმი, რაც გამოიხატება ბანკებში არსებული ფულის მასის ზრდაში. ამდენად, დეპოზიტების დაზღვევის სისტემა განიხილება როგორც საქართველოს ეროვნული ბანკის დამატებით, ე.წ. არაპირდაპირ მონეტარულ ინსტრუმენტად, ზემოხსენებული ფულის სტრუქტურული პრობლემის გადასაწყვეტად.

აქვე აღსანიშნავია, რომ საქართველოსთვის დეპოზიტების დაზღვევა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემის მოგვარების საშუალებად განიხილება. მიმდინარე წლის პირველი კვარტლის ბოლოს ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ კომერციულ ბანკებში ანაბრების სახით სულ განთავსებული იყო თითქმის 750 მილიონი ლარი (იგულისხმება მიმდინარე ანგარიში, ვადიანი ანაბარი, სხვა დეპოზიტები მოთხოვნამდე). როგორც დიაგრამიდან ჩანს, ამ თანხის მხოლოდ 17 პროცენტია განთავსებული ლარში, დანარჩენი კი უცხოურ ვალუტაში.

ეს მიუთითებს იმას, რომ მოსახლეობაში ჯერ კიდევ არასაკმარისია ეროვნული ვალუტის სიმყარისადმი ნდობა და არსებობს მისი გაუფასურების შიშიც. აღსანიშნავია, რომ ქართველი მეანაბრეები ამ შემთხვევაშიც საკუთარი გამოცდილებით ხელმძღვანელობენ, რაც ოთხმოცდაათიანი წლების პირველ ნახევარში კუპონის გაუფასურებასთან არის დაკავშირებული. უცხოური ვალუტის პოპულარობის პრობლემა საქართველოში, რომელსაც თეორიულად დოლარიზაციას უწოდებენ, ძალიან აქტუალურია ბოლო წლების განმავლობაში.

თითქმის გამონაკლისის გარეშე ყველა ქვეყანაში მხოლოდ ქვეყნის ეროვნულ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების დაზღვევა ხდება. სალარე ანაბრების დაზღვევის სისტემის შემოღება კი იქნება დოლარიზაციის დონის შემცირების კიდევ ერთი ინსტრუმენტი ლარის - როგორც დაგროვების საშუალების ფუნქციის გაძლიერების, ეროვნული ვალუტით საბანკო შუამავლობის გაუმჯობესებისა და ლარზე მოთხოვნის გაზრდის თვალსაზრისით.

ბანკებისადმი მოსახლეობის ნდობის გაზრდა, კომერციული ბანკე-




ბის დაცვა შესაძლო საბანკო პანიკებისაგან, ფულის სტრუქტურული პრობლემის გადაწყვეტა, ლარის პოზიციების გამაგრება ვალუტასთან მიმართებაში - საქართველოს საბანკო სისტემისთვის ამ აქტუალური საკითხების დადებითად გადაწყვეტას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საბანკო ანაბრების დაზღვევის სისტემის შემოღება. ამდენად, სასურველია, რომ მიმდინარე წელს კი არ დაიწყოს მუშაობა შესაბამისი კანონპრექტის შემუშავებაზე, არამედ მაქსიმალურად სწრაფად დასრულდეს და მიღებულ იქნეს კანონის სახით.

## სებასტიან სმიტი



საქართველოს ახალი მოგზაური მწერალი გამოუჩნდა, რომელიც თბილისში იცხოვრებს.

B2

## კვირის მიმოხილვა



ფილარმონიაში "ვეფხისტყაოსანს" ძვირადღირებულიუცხოური ლიტერატურის ფონზე კითხულობდნენ

B3

## ლეჟავა საქართველოს დაატრიალებს



*ცხრა მთა და ცხრა ზღვა გადავლახე, ქვეყანა შემოვიარეო, ჯუმბერ ლეჟავამ უნდა თქვას.*

B4

ნოდარ ლადარია

დიდი ხანია მიგვავიწყდა პრეს-ომბუდსმენის სადისკუსიო კლუბი. ადრე კი როგორ ჩქეფდა სიცოცხლე! რას იზამ, ყველაფერს მუდმივი განახლება სჭირდება და მათ შორის არა მარტო პრეს-ომბუდსმენის საქმიანობას, არამედ, საზოგადოდ, მედიასაც. ამიტომაც გადავწყვიტე ჩემი დღევანდელი გვერდი არა მხოლოდ "24 საათის", არამედ სრულიად საქართველოს მედიისათვის მიმეძღვნა და რადგანაც ეს ამოცანა ერთი ადამიანისთვის ძნელი დასაძლევია, დახმარება ვთხოვე სალომე ასათიანს — კულტუროლოგს, რომელიც სწორედ მედიის პრობლემებზე მუშაობს. თავიდანვე გავაფრთხილე სტუმარი, რომ ეს ინტერვიუ კი არა, ჩვენი საუბარი იქნებოდა...

**ნ. ლ.:** საბჭოთა დროს, მოსახლეობის იმ ჯგუფს, რომელსაც ინტელიგენციას უწოდებდნენ, უფრო ზუსტად კი დისიდენტურ ინტელიგენციად წოდებულ ქვეჯგუფს შემუშავებული ჰქონდა გარკვეული მეთოდიკა, რომლის წყალობითაც ხდებოდა საბჭოთა პრესის, ასე ვთქვათ, "სტრიქონთშორისი" წაკითხვა, ან ტელე თუ რადიოდიქტორის მიერ წარმოთქმულ სიტყვებს მიღმა ხერხდებოდა საქმის ჭეშმარიტი ვითარების გარკვევა.

შემიძლია ვთქვა, რომ დღევანდელ საქართველოში ამ უნარს მნიშვნელობა არ დაუკარგავს. მაგალითად, რამდენიმე დღის წინ ტელეკომპანია "მზის" საინფორმაციო გამოშვება დაიწყო ცნობით იმის შესახებ, რომ **შალვა ნათელაშვილმა** და სომხეთის ელჩმა ქართული და სომხური პოლიტიკური პარტიების რაღაც ერთობლივი ინიციატივა წამოაყენეს. საკმარისია გავიხსენოთ, რომ იმავე დროს საქართველოში მიმდინარეობდა აზერბაიჯანის პრეზიდენტის ვიზიტი, ამას დავამატოთ ყარაბახის გაჭიანურებული კონფლიქტი, გავითვალისწინოთ რუსეთის ინტერესები სამხრეთ კავკასიაში და მაშინვე მივხვდებით, ვინაა ფარდის უკან დამალული მეთოჯინე... საინტერესოა, სიტყვის თავისუფლების იდეალურ პირობებში ადამიანებს თუ უხდებათ ამ უნარის გამომუშავება და გამოყენება?

**ს. ა.:** სიტყვის თავისუფლების იდეალური პირობები ალბათ მხოლოდ თეორიაში თუ არსებობს. ახლა ჩვენი პარლამენტი სიტყვის თავისუფლების კანონს განიხილავს, რომელიც მაქსიმალურად დაიცავს ჟურნალისტებს ხელისუფლების მხრიდან ზეწოლისგან. ასეთი ქმედებები, ცხადია, ერთმნიშვნელოვნად ზრდის სიტყვის თავისუფლების ხარისხს, მაგრამ მედიის ნებისმიერი საშუალება ყველა ქვეყანაში მაინც სამთავრობო, იურიდიული, კომერციული და იდეოლოგიური რეგულაციების პირობებში მუშაობს, რომლებსაც ხელისუფლება, მედიის მფლობელები, სხვადასხვა სოციალური დაჯგუფებები და ე.წ. მორალის დამცველები აწესებენ. ამასთან, ყველგან არსებობს უფრო ღრმა, იდეოლოგიური და სოციო-კულტურული ფაქტორები, რომლებიც აგრეთვე ახდენენ გავლენას მედიის ტექსტების შინაარსზე. ამდენად, განვითარებულ დემოკრატიად მიჩნეულ ქვეყნებშიც კი მედიის აუდიტორიას ინტერპრეტაციის საკმაო უნარი მოეთხოვება. შეიძლება მედიის მიღმა არსებული ინტრიგები იქ ისე მკვეთრად არ ჩანდეს, როგორც ჩვენთან ხდება ხოლმე, მაგრამ, მაგალითად, ამერიკის მთავრობის ბოლოდროინდელი საგარეო პოლიტიკის ღრმა და კრიტიკულ ანალიზს იშვიათად თუ ვინმე მოელის CNN-სგან. ამასთან, სხვა თუ არაფერი, ტექსტი ხომ არ არსებობს თავისთავად, მისი ინტერპრეტაციის გარეშე. თუ ინტერპრეტაცია არ მოხდა, ესე იგი, ინფორმირებაც ვერ მოხერხდა.

**ნ. ლ.:** კეთილი. მოკლედ ჩამოვაყალიბოთ საქართველოში მოქმედი სოციო-კულტურული ფაქტორები, რომლებიც ჩვენში გავრცელებული იდეოლოგიის ზოგად სახეს ქმნის.

**ს. ა.:** ვფიქრობ, მათი რაოდენობა სამი ან ოთხია. ისინი ერთდროულად მოქმედებენ, ხდება მათი ზედდება და სწორედ ამ ფაქტორთა კომბინირების ვარიანტებით განსხვავდება ერთმანეთისგან ჩვენი ტელევიზიები.

პირველია **ნაციონალიზმი**: ქართველთა რჩეულობა, მათი ღვთისგან დალოცვილობა.

**ნ. ლ.:** მართალია: რელიგიური დისკურსი თითქოს თავისთავად აღარც არსებობს, ის მთლიანად დაემორჩილა ნაციონალისტურს და მის გამოხატვას ემსახურება...

**ს. ა.:** ამის შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვანია **გარდამავლობის** თემა: უკვე უზომოდ დიდი ხნის განმავლობაში გრძელდება ჩვენში გარდამავალი პერიოდი.

**ნ. ლ.:** რამდენჯერმე მივაქციე ყურადღება იმ გარემოებას, რომ ეს ორი თემა პარადოქსულად ერწყმის ერთმანეთს: ჩვენ რჩეულები და განსაკუთრებულები ვართ, მაგრამ ამავე დროს საზოგადოება მზად არ არის. ჩვენ შეგვიძლია ვასწავლოთ მთელს მსოფლიოს, მაგრამ საზოგადოებრივი მოწყობის უბრალო პირობების მისაღებად მზად არა ვართ. რაციონალური არგუმენტები იდეოლოგიის შემთხვევაში მართლაც უძლურია.

**ს. ა.:** კიდევ ორი დაგვრჩა: **დასავლეთისკენ სწრაფვის** თემა, რომელიც თავისთავად გარდამავლობის თემასაც უკავშირდება და ნაციონალისტურ ელფერსაც იძენს — აღმოჩნდება, რომ ჩვენ უძველესი ევროპელები ვართ. და ბოლოს, **ლიბერალური ღირებულებების** თემა, რომელიც ასევე გარდამავალი პერიოდის განწყობებიდან მომდინარეობს.

**ნ. ლ.:** ერთი წამით მივიჩნიოთ, რომ ლიბერალიზმი არაა უპირობო სიკეთე და ვნახოთ, რა გამოვა. დასავლური ინფორმაციული პროგრამებისათვის ძალიან ჩვეულია მესამე სამყაროს საშინელებათა ჩვენება — მშიერი ბავშვები, დანგრეული სახლები, გვამები და ა. შ. ეს, რა თქმა უნდა, ახსენებს ადამიანს, რომ ის მარტო არაა დედამიწაზე, რომ აქ მისი თანამოძმეები იტანჯებიან, მაგრამ ამავე დროს ეუბნება: მადლობა თქვი, რომ აქ დაიბადე და არა იქ! კეთილ ინებე და ნუ ჯიუტობ, შეზღუდე შენი პრეტენზიები! რა შეიძლება ვიგულისხმოთ საქართველოში ამ "მშიერი აფრიკელი ბიჭის" ეკვივალენტად?

**ს. ა.:** "სხვის", "ჩამორჩენილის" და "განუვითარებლის" სტერეოტიპის შექმნა და მასთან მიმართებაში საკუთარი უპირატესობის წარმოჩინება ალბათ ყველა კულტურას ახასიათებს. ბოლო პერიოდში საქართველოს პოლიტიკურ სივრცეში ხშირად ისმოდა ფრაზები, რომ ჩვენ ქართველები ვართ და არა აფრიკელები, ჩუქჩები და უზბეკები (იგულისხმება ის, რომ ჩვენ უფრო რაციონალურები, ჩამოყალიბებულები, ცივილიზებულები ვართ, ვიდრე ეს ხალხები). ასეთი არაეთიკური და ორიენტალისტური შედარებები ყველა ქვეყანას ახასიათებს, და რა გასაკვირია რომ ცივილიზაციის მწვერვალად მიჩნეულ დასავლეთში ეს ყველაზე ინტენსიურად იყოს გამოვლენილი. ამ სტერეოტიპების შექმნაში მედიის, და განსაკუთრებით ტელევიზიის, როლი, გადამწყვეტია. დასავლეთის მედიაში უკვე რა ხანია ჩვეულ პრაქტიკად იქცა ყოველი საღამოს ახალი ამბების გამოშვებებში მეორე და მესამე სამყაროდ მიჩნეული ქვეყნების უბედურებების ჩვენება; თუ ერთ დღეს მთავარი თემა თურქეთის მიწისძვრაა, მეორე დღეს ეს უკვე ძველდება და მას სხვაგან მომხდარი კიდევ უფრო საშინელი ტრაგედია ენაცვლება. სიუჟეტები კალეიდოსკოპურად იცვლება და პერვერსიის მაგვარად ვითარდება — იგივე მიზნის მისაღწევად სულ უფრო ძლიერი და ეფექტური საშუალებაა საჭირო. მედია იქცევა სტერეოტიპების მწარმოებელ მანქანად, სადაც მესამე სამყარო მხოლოდ უბედურებებით, შიმშილით და იშვიათ შემთხვევებში არჩევნების გამო იპყრობს ყურადღებას. ამით კიდევ უფრო ძლიერდება მათი ჩამორჩენილობის სტერეოტიპი — რაც, მეორე მხრივ, ასეთ ქვეყნებს დასავლეთისთვის ეგზოტიკისკენ სწრაფვის და ნოსტალგიური სურვილების დაოკების წყაროდ აქცევს.

**ნ. ლ.:** ერთი წუთით დავაკონკრეტოთ ჩვენი საუბარი. ამ რამდენიმე დღის წინ აფხაზეთის არასამთავრობო ორგანიზაციებმა გაავრცელეს მიმართვა, სადაც საკმაოდ უხეში ტონით გვსაყვედურობდნენ მოუზომავ პოლიტიკას აფხაზეთის მიმართ. კერძოდ, ნათქვამი იყო, რომ 1 ივნისს საქართველოს მხრიდან ენგურის ხიდი გადაჭრა 200 ბავშვმა. ხუთიოდე წლის პატარებს სათამაშო ავტომატები ეკიდათ და უფროსების ბრძანებებს მხედრულად ასრულებდნენ. შესაძლოა, ეს მართლაც ასე იყო — ჩვენს მედიას არაფერი უთქვამს. ასევე, ცოტა ხნის წინათ წყნეთში მომხდარი ორმაგი მკვლელობის შესახებ მხოლოდ ის ვიცით, რომ უბედურების საბაბი მობილურის წართმევა იყო, მაშინ როცა თვით წყნეთში მიზეზად ადამიანის გატაცებას ასახელებენ, რის შესახებ, როგორც ამბობენ, პოლიციამაც იცის... არ ვიცი, რამდენად მართალია ეს ცნობები, დარწმუნებული ვარ, ჟურნალისტებმა ამომწურავი ინფორმაცია უნდა მოგვაწოდონ. მაგრამ, რატომ უნდა შეიწუხოს ჟურნალისტმა თავი მის მოსაპოვებლად?

**ს. ა.:** ინფორმაციის არჩევას და მისი გაშუქების ხარისხს ორი რამ განსაზღვრავს: პოლიტიკური კონიუნქტურა და იდეოლოგიური ველი. აბსოლუტურ ობიექტურობაზე ვერასოდეს ვილაპარაკებთ. ყოველთვის იქნება არჩევითობა.

**ნ. ლ.:** გარდა ამისა, ორი ფაქტორი კიდევ შეიძლება დავასახელოთ. ჯერ ერთი, არ არსებობს რაიმეს შეცვლის ნება. არც ამ ცვლილებების მიმართულებაა დადგენილი. მეორეც: რას მოიგებს ჟურნალისტი, თუ ყველა სიძნელეს გადალახავს და დინების საწინააღმდეგოდ იმოძრავებს? როგორი იქნება მისი მატერიალური თუ მორალური ანაზღაურება?

**ს. ა.:** ყველაფერს ცალკეულ ჟურნალისტს ვერ დავაბრალებთ. ის ხომ ინფორმაციის მომპოვებელ და გადამმუშავებელ აგრეგატში მოქმედებს. მთავარი ნაკლი, ვფიქრობ, ისაა, რომ ჩვენთან მედიის თავისუფლების ხარისხი ერთადერთი კრიტერიუმით იზომება: რამდენად შეუძლია მას აკრიტიკოს მთავრობა. ეს გადმონაშთია...

**ნ. ლ.:** ანუ გორბაჩოვის "გლასნოსტის" გაუმჯობესებული ვარიანტი...

**ს. ა.:** მართლაც. მთავრობის კრიტიკის გარდა მრავალი სხვა ტაბუც არსებობს, რომელსაც შესაძლოა ოფიციალური ცენზურა არ ეხებოდეს მაგრამ საქართველოს დღევანდელი კონტექსტის მახასიათებელი კულტურული, იდეოლოგიური ფაქტორები იყოს მისი რეგულაციის წყარო. თუმცა ამ ბოლო დროს რამოდენიმე ასეთი ტაბუს რღვევის ტენდენციაც შეინიშნება - მაგალითად, პარასკევის "ღამის კურიერში" დაწყებული ინიციატივა, სადაც დაიწყო ღია საუბარი მართლმადიდებელი ეკლესიის შესახებ. ეს ინიციატივა ეკლესიის ზოგიერთი წარმომადგენლის მხრიდან ძალაუფლებით და ირაციონალური კაპიტალით სპეკულირების შესუსტებას ემსახურება.

**ნ. ლ.:** ირაციონალური კაპიტალით?

**ს. ა.:** ჰო, ზოგჯერ მას სიმბოლურ კაპიტალსაც უწოდებენ.

**ნ. ლ.:** ტაბუს დაძლევის გარდა კიდევ არის სხვა საქმეც. "24 საათის" ფოტომასალას რომ დავაკვირდეთ, ყველაზე ხშირი მოტივია ვიღაც მოხელეების ან არასამთავრობოების მიერ გამართული პრესკონფერენციები თუ ბრიფინგები. მაგრამ, ამ ბრიფინგების თემა არ აისახება.

**ს. ა.:** ეს ტენდენციაც ბევრ მედიას ახასიათებს. როგორც წესი, მსოფლიოში არსებული ბეჭდვითი და სამაუწყებლო მედია, ძირითადად, საზოგადოების შუა და მაღალი ფენების რეპრეზენტაციას ახდენს, რომლებიც ზოგჯერ უფრო დაბალი ფენების პრობლემებს და ინტერესებს "ახმოვანებენ" - შეიძლება ითქვას, საუბრობენ მათ მაგიერ. თანაც ეს დაყოფა თუ იერარქია მარტო, ასე ვთქვათ, კლასობრივი არ არის: შეიძლება იყოს სქესობრივი, რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური და თუნდაც ასაკობრივი. რეალური მოქმედი პირის, მაგალითად, ქუჩის მოვაჭრის თვალსაზრისი ყურადღების მიღმა რჩება. ის მხოლოდ მაშინ ჩნდება ეკრანზე, როცა მედიას შემთხვევა ეძლევა, მისი განსაკუთრებული აღშფოთება აჩვენოს, ან ჩვენში გამოიწვიოს რაღაც ემოცია. ხდება ნაკლები სოციალური და კულტურული კაპიტალის მქონე ადამიანების რომანტიზაცია, სენტიმენტალიზაცია ან ზოგჯერ დემონიზაცია, მაგრამ მათ, როგორც წესი, იშვიათად თუ ეძლევათ საკუთარი ინტერესების უშუალოდ გამოთქმის შესაძლებლობა.

**ნ. ლ.:** ეს ბუნებრივია ჩვენს მდგომარეობაში, როცა მედია, ფაქტობრივად, პოლიტიკური ისტებლიშმენტის წარმომადგენლებს შორის ურთიერთობის საშუალებაა, და მისი საზოგადოებასთან კავშირი სუსტია. ეს ყველაფერში აისახება. მაგალითად "ღამის შოუ" კვირაში ორჯერ დაჟინებულად მთავაზობს გავიცინო იმაზე, თუ როგორ ავადმყოფურად არ ეთანხმება კობა დავითაშვილი ზურაბ ჟვანიას. ერთხელ გავიცინე. მეორეჯერ აღარ მინდა. მაგრამ მაინც მთავაზობენ, რადგან ეს უკვე ჩემზე კი არაა გათვლილი, არამედ მათზე. ასევე "იმედის" ტელეეთერიდან გამუდმებით კბენენ ეროსი კიწმარიშვილს. საზოგადოება კი იმავე მდგომარეობაშია, როგორც პუშკინის "ბორის გოდუნოვში" ტაძრის წინ შეკრებილი ბრბო: "царевичу плевать, что Гришку проклинают" — საზოგადოებას არ სცხელა ელიტარული "რაზბორკებისთვის".

თითქოს არსებობს მდუმარე შეთანხმება ჩვენი პოლიტიკური და საზოგადოებრივი რეალობის საჯარო პერსონაჟებს შორის: გამოიყენონ მედია ერთმანეთთან საქმის გასარჩევად. მაგრამ ამის მოწმე, ხალხი, მოტყუებული რჩება, რადგან რეალურად ვერაფერს გააკეთებს.

**ს. ა.:** ბოლომდე ვერ გავიზიარებ ამას. ჯერ ერთი ადამიანები გაცილებით უფრო დამოუკიდებელნი არიან ინტერპრეტაციისას, ვიდრე ეს ზოგიერთ მედიის მკვლევარს ჰგონია. არსებობს ტენდენცია, რომელიც მაგალითად ფრანკფურტის სკოლის ტრადიციებს ემყარება, რომელიც მიიჩნევს, რომ მედიის საშუალებით ხდება ხალხით მანიპულირება, რომ ხალხი პასიურად ყლაპავს და იჯერებს ყველაფერს, რასაც მას მედია ეუბნება. მაგრამ უშუალოდ აუდიტორიასთან ჩატარებული კვლევები აჩვენებს, რომ მედიის პროდუქციის რეცეპცია აქტიური პროცესია, რომ ადამიანები ერთმნიშვნელოვნად არ ემორჩილებიან იდეოლოგიურ წნეხს და ხშირად ინტერპრეტაციას მიმართავენ. ამდენად, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ მედიის აუდიტორია საქართველოშიც ახერხებს იმ ფაქტორების და ინტრიგების ამოცნობას, რაც კონკრეტული პიროვნების გამუდმებულ კრიტიკას იწვევს მოცემულ არხზე. თუმცა, საქართველოში არსებული სიტუაცია, განსაკუთრებით რევოლუციის წინ, ალბათ მართლაც პარადოქსული ხდებოდა მაყურებლისთვის, რომელიც, მაგალითად, ჟურნალისტური გამოძიებით მოპოვებულ და ამა თუ იმ ხელისუფლების წარმომადგენლის მაკომპრომეტირებელ მასალებს უყურებდა, რაზეც მთავრობა პერმანენტულად გულგრილი იყო.

მაგრამ, მე ისევ დავუბრუნდები იმ მოსაზრებას, რომ მედია უნდა გასცდეს პოლიტიკოსების და მაგნატების ქების ან კრიტიკის პრაქტიკას. ჩვენში მედია ნაკლებად რეაგირებს იდეოლოგიურ ფაქტორებზე; არ ხდება, მაგალითად, შოვინიზმის კრიტიკა. სრულიად მოულოდნელი ადამიანებისაგან გვესმის აზრები, რომლებიც შეიძლება მივიჩნიოთ კლასიკურ ფაშიზმად, მაგრამ მედია ასეთი ფაქტების მიმართ ან გულგრილი რჩება, ან კიდევ უარესი - მას მეტ-ნაკლებად დადებით კონტექსტში წარმოაჩენს ხოლმე. კრიტიკა უნდა დამკვიდრდეს, ვინაიდან, შესაძლოა, ბევრს ფაშიზმი მხოლოდ ის ჰგონია, რასაც "შინდლერის სიაში" ხედავს. ვარდების რევოლუციის შემდეგ ჩემი უმთავრესი იმედგაცრუება ის იყო, რომ ცვლილებები, ძირითადად, სტრუქტურულ დონეზე გატარდა. ეს, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, მაგრამ თან უნდა ახლდეს იდეოლოგიურ დონეზე დიდი მუშაობა, რასაც ვერ ვხედავ. უნდა დაინერგოს მულტიკულტურული ხედვა, დამკვიდრდეს თვალსაზრისი, რომ მრავალფეროვნება სიკეთეა. ნამდვილი რევოლუცია ხომ ფასეულობების ცვლაა და არა ხელისუფლებისა.

რა თქმა უნდა, "იდეოლოგიურ მუშაობაში" საბჭოთა სტერეოტიპს კი არ ვგულისხმობ, არამედ მრავალფეროვანი, პლურალისტური მოსაზრებების დანერგვას. სამწუხაროდ, საზოგადოება და ხელისუფლება ამისთვის ჯერჯერობით ცოტა რამეს აკეთებს.

**ნ. ლ.:** იქნებ, აზრად არ მოსდის?

**ს. ა.:** უნდა მოუვიდეს. პირიქით კი ხდება, მაგალითად, **ზაზა შენგელიას** მაგალითი: მას მოუწონეს ის, რომ შევარდნაძეს განუდგა, როცა ამ უკანასკნელს გაუჭირდა. ისე გამოვიდა, რომ ხელისუფლებამ პრინციპულობად მიიჩნია ტიპიური მედროვის ინტუიცია.

თუმცა აზროვნებაში მომხდარი ცვლილებების გარკვეული ნიშნები მაინც შეინიშნება. მაგალითად, დღეს ბევრს ლაპარაკობენ განათლების რეფორმის აუცილებლობაზე. თუ აღმოიფხვრება ტრაფარეტული თემების ზუთხვის ტრადიცია ("ქალთა სახეები ვეფხისტყაოსანში", "პატრიოტული მოტივი" და ა. შ.) და მოსწავლეებს სკოლის პერიოდიდანვე გაუძლიერდებათ დამოუკიდებელი, კრიტიკული და ორიგინალური აზროვნება, მაშინ შეიძლება ბევრად უფრო გახსნილი თაობა მოვიდეს.

**ნ. ლ.:** ეს საშუალებას მოგვცემს, ავამოქმედოთ ერთადერთი დასაშვები ცენზურა: გემოვნება. მე, მაგალითად, არ გამოვაქვეყნებდი არც პრესით და არც ტელევიზიით ძალიან ბევრი ადამიანის თვალსაზრისს, მაგრამ არა იმიტომ, რომ, როგორც ახლა უყვართ თქმა, "განსხვავებულ აზრს ვერ ვიტან", არამედ იმიტომ, რომ ვერ ვიტან იდიოტობას. სხვათა შორის, ცხონებული "მეცხრე არხი" უნაკლო იყო ამ თვალსაზრისით: იქ გამოსული არც ერთი ოდიოზური ან კარიკატურული ფიგურა არ მინახავს — არც ნათელაშვილი, არც შარაძე და არც მკალავიშვილი. შეიძლება თუ არა გავარკვიოთ, რომელია საქართველოში მედიის "ძირითადი ნაკადი" და რომელი — მარგინალური.

**ს. ა.:** ამის დასადგენად მარტო ერთი კრიტერიუმი არ კმარა. საერთოდ, მარგინალური ელემენტები ხშირად რადიკალურად და პროგრესულად გვევლინება ხოლმე ბევრ საზოგადოებაში, მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველოში მარგინალური უმრავლეს შემთხვევაში რეაქციულს ნიშნავს. აშკარაა, რომ მიუხედავად პრინციპული განსხვავებებისა, "ძირითადი ნაკადია" "რუსთავი 2" და "პირველი სტერეო", ხოლო მარგინალურია "კავკასია" და "ევრიკა".

**ნ. ლ.:** და რადიო "არ დაიდარდო" — რაც ეს გაიხსნა, თბილისის "მარშრუტკებში" მგზავრობა ფსიქოლოგიურ კოშმარად იქცა.

**ს. ა.:** მართალია. მაგრამ თუ ამ რადიოს უმეტეს მარშრუტკებში უსმენენ, მას მარგინალურის კატეგორიას ვერ მივაკუთვნებთ. პირადად მე, როგორც ამ შემთხვევაში რადიომსმენელს, ეს რადიო არ მომწონს და ვთვლი, რომ ის გემოვნების დეგრადირებას იწვევს. თუმცა, ასეთი მოსაზრებების გამოთქმისას ალბათ სიფრთხილე და ახსნა გვმართებს, რათა სხვების გემოვნების კრიტიკამ ის სნობურ-ელიტარული და ქედმაღლური ელფერი არ შეიძინოს, რომელიც მაგალითად "24 საათის" ერთ გვერდს დაჰკრავს ხოლმე, შაბათობით რომ იბეჭდება. მაგრამ 24 საათს ხშირად ვკითხულობ და ბევრი რამ ძალიან მომწონს - მაგალითად, **ნინია კაკაბაძის** სვეტი, რომელმაც ბოლო პერიოდში სწორედ სნობიზმს შეუტია...

წერტილის დასმა ამ საუბარში არ გამოვა: კიდევ ბევრი დაგვრჩა განსახილველი და ამ განხილვაში სხვებიც უნდა ჩაერთონ. მაგრამ, მართლწერის ნორმათა პატივისცემის გამო საგაზეთო პუბლიკაციას ბოლოში დასმული მძიმითაც ვერ დავასრულებთ. ისევ მრავალწერტილი ავირჩიეთ არა როგორც ნათქვამის ნაკლულობის, არამედ როგორც სათქმელის უსასრულობის სიმბოლო...



ბესო გულაშვილის ფოტო

**ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge**



# ფესტივალი დაიხურა - რას ამბობენ გამომცემლები

თამარ სუხიშვილი

**მოვლენა:** თბილისის წიგნის VI ფესტივალი
**დრო:** 2004 წლის 16-19 ივნისი
**ადგილი:** თბილისი, ფილარმონიის ფოიე
მონაწილეთა რაოდენობა: 64 (წიგნით მოვაჭრე და გამომცემელი)
გაყიდული წიგნების რაოდენობა: ჯერჯერობით უცნობია
**სიახლე:** ფესტივალი პირველად ჩატარდა სახელმწიფო პატრონატით. ფესტივალის დაწყებამდე რამდენიმე ხნით ადრე ყველა გამომცემელი ერთ ორგანიზაციაში – "საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციაში" გაერთიანდა.
**განწყობილება:** საზეიმო
**შედეგი:** ამაზე თავად ფესტივალის მონაწილეები ისაუბრებენ.

**ლევან თითმერია ("საარი", "საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის" პრეზიდენტი):** პირადად კმაყოფილი ვარ, მაგრამ ჩემი კმაყოფილება ბევრს არაფერს ნიშნავს, მთავარია, სხვა იყოს კმაყოფილი. მე მგონი, ეს ასეც იყო. შარშანდელთან შედარებით უფრო მეტმა გამომცემლობამ მიიღო მონაწილეობა. წლევანდელი ფესტივალი ამითაც გამოირჩეოდა. მართალია, 2003 წელს მონაწილეების რაოდენობამ 75-ს მიაღწია, მაგრამ მონაწილეთა ერთი ნაწილი გამომცემლები არ ყოფილან, იყვნენ ფონდები, სხვადასხვა ორგანიზაციები...

მთლიანობაში რომ შევხედოთ, დღეს საქართველოში წიგნის სექტორი მაინც ჩამოუყალიბებელია, ჭოჭინით მოსიარულე ბავშვს შევადარებდი. აქედან გამომდინარე, ამ ფესტივალს, წიგნის პოპულარიზაციისა და გამოფენის გარდა, უშუალოდ სავაჭრო დანიშნულება აქვს, ძალიან მცირე დროში – ოთხ დღეში ძალიან ბევრი წიგნი იყიდება.

მომავალში გვინდა, რომ ამ ფესტივალში უცხოურმა გამომცემლობებმაც მიიღონ მონაწილეობა, რაც ჩვენი კულტურის უცხოეთში გასვლას შეუწყობს ხელს. წელს ეს დროის სიმცირის გამო ვერ მოხერხდა. არცთუ დიდი ხნის წინ საერთოდ ფესტივალის ჩატარება-არჩატარების საკითხიც იდგა და კულტურის სამინისტრო რომ არ დაგვხმარებოდა...

**ნუგზარ წიკლაური ("ლიტერა"):** კმაყოფილი ვარ. წლევანდელი ფესტივალი პროფესიული დონით გამოირჩეოდა. ერთიც უნდა ითქვას, მიუხედავად იმისა, რომ თბილისში უკვე რამდენიმე წიგნის მაღაზიაა გახსნილი, ფესტივალისადმი მკითხველის ინტერესი მაინც არ განელებულა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ წიგნის ფესტივალი ჩვენში უკვე ტრადიციად დამკვიდრდა.

**კახა დავითური ("პირველი ქართული ელექტრონული გამომცემლობა"):** პირადად მე მომსწრე ვარ რამდენიმე პროექტისა, რომელიც სწორედ ამ ფესტივალზე ჩაისახა და რომელიც, დარწმუნებული ვარ - აუცილებლად განხორციელდება. გამომცემლობები ცდილობენ ერთობლივი პროექტები შეიმუშავონ, ანუ გარკვეული კორპორაციული ერთობის ჩანასახები უკვე შეინიშნება, თუმცა იმის თქმა, რომ ამას ძალიან სერიოზული მასშტაბები აქვს და ვინმე უცხოეთის გამომცემლობებთან ურთიერთობებზე გადის, სიმართლე არ იქნება. სამომავლოდ, ვფიქრობ, ძალიან კარგი იქნება, თუ ორგანიზატორები მოახერხებენ უცხოური გამომცემლობების წარმომადგენელთა დაპატიჟებას, ან საკუთარი წარმომადგენლების გაგზავნას სხვა ქვეყნების ფესტივალებზე...

**გია დარსალია (ფესტივალის დირექტორი):** ვფიქრობ, წლევანდელი გამოფენა ბევრად უფრო შეესაბამებოდა წიგნის ფესტივალის ზოგად სტანდარტებს. შეიძლება ითქვას, რომ წლევანდელი ღონისძიება უფრო ბიზნეს-გამოფენა იყო, მიუხედავად იმისა, რომ აქ ბევრი სტუმარი და ბევრი მყიდველი მოვიდა.



მარიკა ამურველაშვილის ფოტო

*საქართველოში წიგნის სექტორი მაინც ჩამოუყალიბებელია, ჭოჭინით მოსიარულე ბავშვს შევადარებდი.*

წიგნის ფესტივალის ძირითადი დანიშნულება წიგნის გაყიდვა კი არა (ეს მაღაზიების ძირითადი ფუნქციაა), ახალი წიგნების წარდგენა და ბიზნეს-ურთიერთობების დამყარებაა ავტორებს, წიგნის გამომცემლობებს, წიგნის გამავრცელებლებს შორის. წლევანდელ ფესტივალზე, მე მგონი, გარკვეულწილად შედგა ასეთი კონტაქტები. ფესტივალის ეს ფუნქცია კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდება, როდესაც გამოფენა საერთაშორისო ხასიათს მიიღებს. ამასთან, თანდათანობით მოიშლება წიგნის გაყიდვის ფუნქცია. ეს ბუნებრივიცაა. თუ დღეს ჩვენში რამდენიმე წიგნის მაღაზია არსებობს, ხვალ და ზეგ კიდევ უფრო მეტი იარსებებს. ბევრი იმასაც ამბობს, ახალი წიგნის მაღაზიების გახსნამ ის შედეგი მოგვიტანა, რომ ფესტივალზე გაყიდვები შედარებით დაბალია, ყოველ შემთხვევაში, ისეთი მატება არ შეიმჩნევა, როგორიც უნდა შეიმჩნეოდესო. მაგრამ, წიგნის ბაზრის ზრდის პროცესს თუ გადავხედავთ, ეს სულაც არ არის იმის ბრალი, რომ ფესტივალზე ნაკლები ხალხი მოვიდა, ან ფესტივალს მნიშვნელობა დაეკარგა; ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ მკითხველი მარტო ამ ოთხი დღის განმავლობაში კი არ ყიდულობს წიგნს, არამედ ახალი წიგნები მთელი წლის განმავლობაში რეგულარულად იყიდება.

**ლაშა ბერაია ("ლოგოს პრესი"):** წლევანდელ ფესტივალზე, შარშანდელთან და შარშანწინდელთან შედარებით, გაცილებით მეტი პროფესიონალია წარმოდგენილი. წელს აქ ოცამდე ახალი მონაწილე გამოჩნდა, პროფესიონალი გამომცემელი. ამასთან, წლევანდელ ფესტივალზე გაცილებით მეტი ხარისხიანი გამოცემაა წარმოდგენილი. სასიხარულოა ისიც, რომ, ფესტივალის დამთვალიერებელთა და მყიდველთა რაოდენობის თვალსაზრისით, წლევანდელმა მაჩვენებლებმა შარშანწინდელ მაჩვენებელს გადაჭარბა (შარშანწინ ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალი იყო). ეს კი იმას ნიშნავს, რომ, გარკვეული ეკონომიკური სტაგნაციის მიუხედავად, წიგნისადმი ინტერესი მატულობს. ფესტივალს ჩვენში ერთგვარი ზეიმის სახე აქვს. წელს რამდენიმე გამომცემელი უკვე ვსაუბრობდით იმაზე, რომ მომავალ წელს ფესტივალის ხანგრძლივობა გაიზარდოს, შესაძლოა, ის ხუთ-ექვს დღეს გაგრძელდეს.

**თამარ ლებანიძე ("დიოგენე"):** ჩემთვის, უპირველეს ყოვლისა, ფესტივალი ყურადღების მიქცევის საშუალებაა. ეს არის რამდენიმე დღე, როცა ქართული წიგნი საყოველთაო ყურადღების ცენტრშია. ჩვენ ხმამაღლა ვამბობთ, რომ წიგნი არსებობს, და აქტიურად ვთავაზობთ ყველას ამ წიგნს. სწორედ ეს პროცესი არის ყველაზე ღირებული. წიგნის ფესტივალი ქვეყნის კულტურული ცხოვრების მნიშვნელოვანი ყოველწლიური მოვლენაა. ჩემი აზრით, ფესტივალის სიახლე და მნიშვნელობა წიგნის სიახლეზეა დამოკიდებული. სანამ იარსებებს ახალი წიგნის ცნება, მანამ იარსებებს ფესტივალი.

ყველაფერი წინ მიდის და ჩვენი ფესტივალიც ვითარდება. მე ვფიქრობ, წლევანდელი ფორმატი უფრო საინტერესო და დახვეწილია. წლევანდელი წელი იმითაც იყო ღირსშესანიშნავი, რომ ქართული საგამომცემლო სექტორი გაერთიანების გზას დაადგა. ეს იქნება ძალა, რომელიც შეძლებს ეფექტიანი ურთიერთობები დაამყაროს როგორც აღმასრულებელ, ისე საკანონმდებლო ხელისუფლებასთან.

**ბაკურ სულაკაური ("ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა"):** წიგნის ფესტივალი ერთადერთი პროფესიული ღონისძიებაა, სადაც თავს იყრიან გამომცემლები, ავტორები, მკითხველები... მათ აქვთ აზრის გაზიარების, ძირითადი ტენდენციების გაცნობის, თავიანთი საქმიანობის დაგეგმვის საშუალება. ერთ მაგალითს გეტყვით. ორი დღის წინ ზუგდიდიდან ჩამოვიდა კაცი, რომელსაც წიგნის მაღაზიის გახსნა სურს. უამრავ ადამიანს შეხვდა, ბევრი რამ გაიგო; მოკლედ, ის, რასაც სხვა დროს ერთ თვეს მოანდომებდა, ორ დღეში გააკეთა. და კიდევ, წელს სპეციალურად ფესტივალზე დასასწრებად ჩამოვიდნენ თბილისში რაიონების მაცხოვრებლები. ამაზე მნიშვნელოვანი რა უნდა იყოს...

თუ წლევანდელ ფესტივალს მკითხველისა და მყიდველის ინტერესის მიხედვით შევაფასებთ, მაშინ, შეიძლება ითქვას, 2004 წელი ყველაზე წარმატებული იყო ჩვენი გამომცემლობისთვის (მაგალითად, შარშან, შარშანწინდელთან შედარებით, არანაირი მატება არ ყოფილა, მაჩვენებელი სტაბილური იყო), ალბათ – სხვებისთვისაც.

# ლიპუც დისკო

დალი კუპრავა

გუშინ და გუშინწინ ცირკი ტელეღიპუცების მაყურებლით იყო სავსე. მართალია, მსურველი მეტი იყო, მაგრამ ზოგს ბილეთი არ შეხვდა, ნაწილმა კი უსახსრობის გამო ვერ შეიძინა. არენაზე მუსიკალური წარმოდგენა "ღიპუც დისკო" იმიჯ-ცენტრმა, "ლაილაიმ", "ნესტლემ" და "ერნსტ ენდ იანგმა" შექმნეს.

სატელევიზიო ღიპუცების პოპულარობა სკოლამდელი ასაკის ბავშვებში კონკურსგარეშეა და ეს გუშინაც კარგად გამოჩნდა - ცირკში ძირითადად ამ ასაკის მაყურებელი იყო. უნდა აღინიშნოს ტელესერიალის მხატვრული და საგანმანათლებლო პარამეტრით ასაკთან შესაბამისობა. უფროსებს კი თუ არ მოსწონთ, მხოლოდ იმიტომ, რომ მათი ასაკისთვის არ არის გათვლილი და მიხვედრა უჭირთ.

ბავშვები სრული შესაბამისობით იღებენ სერიალის, როგორც სიმბოლურ, ასევე რეალისტურ ნაწილს - ბავშვისსახიანი მზით დაწყებული, ღიპუცების პრიმიტიული საქციელით, მისალმება-დამშვიდობებითა და ყოველ სერიაში ახალი ინფორმაციით დამთავრებული. ამასთან უნდა აღინიშნოს სათაურის ძალიან კარგი ქართული თარგმანი - შესანიშნავია, რომ ინგლისური tub (კასრი, ყუთი, კოლოფი...) ქართულად "ღიპუცად" რომ თარგმნეს და ძალიან გამომსახველი სახელი მივიღეთ: ტინკი-ვინკი, დიპსი, ლალა და პო ორიდან ხუთ წლამდე ბავშვების საყვარელი პერსონაჟები არიან. ღიპუცები ფართოდ გაღებული თვალებით, გაღიმებული სახით, დიდი ყურებითა და თავზე ანტენებით ბავშვები არიან, ყველაფერს რომ ხედავენ და ყველაფერი ესმით... ტინკი ვინკი არენაზეც ისეთივე კომუნიკაბელური და გულწრფელი იყო, როგორც ფილმში, ყვითელსამოსიანი ლალა - მხიარული და ლაღი, დიპსი - ცოტა სევდიანი და ფიქრიანი, პატარა პო კი მთელ სამყაროს გუშინაც გულღიად იღებდა.



იური ლობოდინის ფოტო

*სატელევიზიო ღიპუცების პოპულარობა სკოლამდელი ასაკის ბავშვებში კონკურსგარეშეა.*

ბავშვებს ერთი სული ჰქონდათ ღიპუცებისთვის ხელი ჩამოერთმიათ.

არენაზე კი "იმიჯ ცენტრის" აღსაზრდელები ყველანაირად ცდილობდნენ, რომ ღიპუცებისთვის და მათი თაყვანისმცემლებისთვის მხიარული განწყობა შეექმნათ.

"ფისოების ცეკვა", "წვიმა", "გაზაფხული", "კანკანი"... წარმოდგენა ძალიან კარგი ნომრებით იყო აწყობილი - მოზარდების კარგი პლასტიკა და ვოკალური შესაძლებლობები გემოვნებიანი მუსიკალური ანტურაჟი იყო ღიპუცებისთვის.

"იმიჯ ცენტრის" მსახიობების კიდევ ერთი თვისება უნდა აღინიშნოს - ცეკვავდნენ ღიმილიანი სახეებით და კარგ განწყობას, უპირველესად, საკუთარი გამომეტყველებით ქმნიდნენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ისინი უკვე მსახიობები არიან და იციან რა არის სცენა.

# სებასტიან სმიტი

## საქართველოს ახალი მოგზაური მწერალი გამოუჩნდა, რომელიც თბილისში იცხოვრებს

სებასტიან სმიტი ინგლისელი ჟურნალისტია. მან საერთაშორისო აღიარება ბოლო რამდენიმე წელიწადში მოიპოვა და სახელი თავისი ორიგინალური სტილით გაითქვა. მრავალფეროვანი ვოიაჟების შემდეგ თბილისი სმიტის მორიგი გაჩერება იქნება. ხოლო მისი ბოლო წიგნის პრეზენტაცია "პროსპეროს ბუქსში" სამშაბათს შედგება.

"პინგვინის" მიერ დაბეჭდილი "სამხრეთული ქარები" ერთგვარი ლირიკული ანგარიშია, რომელიც სმიტმა მეუღლესთან ერთად ხმელთაშუა ზღვაში პატარა გემით მოგზაურობის შემდეგ დაწერა – მათ ერთად მოიარეს საფრანგეთი, კორსიკა, სარდინია, სიცილია, მალტა, ტუნისი, საბერძნეთის კუნძულები.

რა ქარმა გადმოაგდო ეს წარმატებული ახალგაზრდა ზღვის კაცი თბილისში, უახლოესი მარილიანი ტალღიდან 300 კმ-ის დაშორებით? "ჩემი პირველი წიგნი "ალაჰის მთა" ჩეჩნეთის ომს ეხებოდა. როგორც ჟურნალისტმა იქ რამდენიმე წელიწადი გავატარე. ვიჯექი კავკასიის ჩრდილოეთში და ყოველთვის მაინტერესებდა, რა ხდებოდა სამხრეთით. ერთ დღესაც იქაურობას თვითმფრინავიდან მოვკარი თვალი და მივხვდი, რომ საქართველოში დაუყოვნებლივ უნდა ჩამოვსულიყავი, როგორც კი ამის საშუალება გამიჩნდებოდა. მართლაც, შემომთავაზეს თუ არა სამსახური, მაშინვე დავთანხმდი, უყოყმანოდ".

თუმცა, მწერალი ამა თუ იმ ადგილთან გაცილებით უფრო ღრმა კავშირს ამყარებს ხოლმე. იგივე "სამხრეთული ქარები" რომ ავიღოთ, ავტორი არ კმაყოფილდება თითოეული ქვეყნის სულის გადმოცემით, და წიგნს აჯერებს ჰაერის, ღრუბლების, ტალღებისა და ცის ორნამენტებით. იმისთვის, რომ შეძლო საკუთარი თავის დაცვა, უნდა შეგეძლოს ცის განწყობის გამოცნობა. და ამ მჭიდრო, თითქმის სპირიტუალური კავშირის დამყარება ბუნებასთან მეცნიერების ფორმასაც კი იღებს. სწორედ ამ შინაგანი განწყობის გამოა, რომ ქარის მიმართულებით მოძრავი პატარა გემი, რომელიც 2 ათასი მეტრი სიღრმის მქონე ზღვის ზედაპირზე წყნარად მისრიალებს, ასოციაციურად მაინც ემსგავსება მოგზაურობას კავკასიის მაღალ მთებში – ქარბუქისა და შტორმის თანხლებით. თითქმის ყველა ვერტმფრენის პილოტისთვის ხომ ღრუბელთან უეცარი გადაყრა ისეთივე საშიშია, როგორც – მეზღვაურისთვის.

ასე რომ, საინტერესოა, იკვეთება თუ არა თანდათან ახალი წიგნის შტრიხები სებასტიან სმიტის წარმოსახვაში კავკასიის შესახებ? სავარაუდოდ, ასეა. "როდესაც მოგზაურობ ზღვაზე, ისეთი განცდა გსდევს თან, რომ, თითქოს, აკრძალულ საზღვარს გადასცდი, არადა ეს არ უნდა გაგეკეთებინა. იგივე შეიძლება, ითქვას მწვერვალებზეც. ზღვის და მთის ხალხიც იმავე, მათზე უფრო გრანდიოზული წესებით თამაშობს, განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ მთები შენს ზევითაა, ზღვა – ქვევით. ადამიანები, რომლებიც მაღალ მთებში ცხოვრობენ ჯერაც ინარჩუნებენ იმ სადა კავშირს ბუნებასთან, რომელიც დანარჩენი კაცობრიობის უმრავლესობამ დიდი ხანია, დაკარგა. მათ იციან თავიანთი მცენარეების, ბალახების ან თოვლის შესახებ ისე, როგორც მეზღვაურები იცნობენ ზეპირად თავიანთ ქარებს".



*სებასტიან სმიტი ინგლისელი ჟურნალისტია და სახელი ორიგინალური სტილით გაითქვა.*

ეს ფრაზაც მეტყველებს იმაზე, რომ კავკასიის მთებში ექვსი თვის განმავლობაში ცხოვრებამ და დაგროვებულმა შთაბეჭდილებებმა თავისი გაიტანა – მწერალი ზღვიდან ხმელეთზე უკვე მთელი შეგნებით გადმოერთო. რეგიონის შესახებ მისი წერილების წაკითხვა შეგიძლიათ "ომისა და მშვიდობის ინსტიტუტის" ძალიან ინფორმატიულ ვებ-გვერდზე – www.iwpr.net. თუმცა, ეს მხოლოდ ჟურნალისტური რეპორტაჟები გახლავთ მიმდინარე მოვლენების შესახებ. ხოლო სებასტიან სმიტის უფრო მასშტაბური, ლირიკული და ციური ანგარიში კავკასიის შესახებ თანდათან უნდა შლიდეს ფრთებს თბილისში.

**P.S.** სებასტიან სმიტის წიგნის "სამხრეთული ქარების" პრეზენტაცია Prospero's Books-ში, რუსთაველის 34 ნომერში, სამშაბათს, 22 ივნისს, 18:00 საათზე გაიმართება.

# კარმენი ხოზეს წინააღმდეგ - პირველის სასარგებლოდ

## ოპერამ მზია ნიორაძისა და იური ალექსეევის გასტროლებს უმასპინძლა

მადი სერებრიაკოვა

შინაურ მღვდელს რომ ჩვენში შენდობა არა აქვს – ცნობილი ამბავია. პეტერბურგის მარიას თეატრში მოღვაწე ქართველი მომღერალი მზია ნიორაძე 1991/92 წლებში თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი იყო. თუმცა, აქამდე მას ცნობილი დის, ბალერინა ირმა ნიორაძის გამო უფრო ვიცნობდით. თითქმის ათი წლის მანძილზე უცხოეთში მოღვაწე მეცო-სოპრანო გუშინ თბილისში ცოცხალი, ენერგიული და ვნებიანი "კარმენით" დაბრუნდა. ხოზეს პარტიით მას პარტნიორობას ასევე გასტროლიორი იური ალექსეევი უწევდა.

"კარმენი" ოპერის ისტორიაში საოპერო ჟარგონით რომ ვთქვათ - ალბათ ერთ-ერთი ყველაზე "გადამღერებული" ნაწარმოებია. "კარმენი" სცენაზე, ეკრანზე, როგორც გაირკვა, თურმე – ყინულზეც. მიუხედავად ამისა, იგი დღემდე მეცო-სოპრანოების ერთ-ერთ უსაყვარლეს პარტიად რჩება და სრულიად სამართლიანადაც. ცეცხლისა და ვნებების ზღვა, რომელიც სცენაზე უნდა გათამაშდეს – შესაფერისი ხმისა და ვოკალური მომზადების გარდა, იშვიათ სამსახიობო ოსტატობასა და, რაც მთავარია, თანდაყოლილ ტემპერამენტს საჭიროებს. კარმენს შეჭიდებულ მომღერლებს ინტელექტიც არ აწყენდათ, რათა საკუთარი გმირი ვულგარული, იაფფასიანი ინტერპრეტაციებისგან დაიცვან. მზია ნიორაძემ თავი ყოველმხრივ გამოიჩინა: ლამაზი, ხავერდოვანი ტემბრი, დახვეწილი მუსიკალობა, ენერგიული, ტემპერამენტიანი შესრულების მანერა, ეფექტური გარეგნობა. თბილისში "კარმენი" არცთუ დიდი ხნის წინათ, 1999 წელს დაიდგა, თუმცა მზია ნიორაძის წყალობით, გუშინ ახალი, ბევრად დინამიკური სპექტაკლი ვიხილეთ. ცოტა არ იყოს, შელახული, თეატრის ეკონომიკური პირობებიდან გამომდინარე – საკმაოდ ღარიბული დეკორაციებისა და კოსტიუმების მიღმა კი ნიჭიერი და ენთუზიაზმით სავსე მუსიკოსები დავინახეთ.

მზია ნიორაძემ თბილისის კონსერვატორია, შემდეგ კი იტალიაში ოზიმოს აკადემია დაამთავრა. გამარჯვება მოიპოვა ხულიო გაიგრეს, ელენა ობრაზცოვას სახელობის ვოკალისტთა საერთაშორისო კონკურსებზე, გახდა რიმსკი-კორსაკოვის და ბელვედერის კონკურსების დიპლომანტი. თბილისის ოპერაში იგი ებოლის ("დონ კარლოსი"), აზუჩენა ("ტრუბადური"), მადალენა ("რიგოლეტო"), ნანო ("დაისი") პარტიებზე მუშაობდა. თუმცა, ნამდვილ წარმატებას მხოლოდ მარიას თეატრში მიაღწია, სადაც მისი დებიუტი სწორედ ბიზეს "კარმენში" შედგა. მარიას თეატრის დასთან ერთად მან გასტროლები ისრაელში გამართა. სოლისტის სტატუსით იგი პარიზის ნაციონალურ ოპერაში, ჰიუსტონის, ლიონის, სან-ფრანცისკოს საოპერო თეატრებში გამოდიოდა. ცოტა ხნის წინათ, მისი დებიუტი საოპერო მუსიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ცენტრში "მეტროპოლიტენ ოპერაშიც" შედგა, სადაც მან "ომსა და მშვიდობაში", ასევე "რიგოლეტოში" მიიღო მონაწილეობა.

მზია ნიორაძის აღმავალ კარიერას, ძირითადად, დასავლური პრესის წყალობით ვადევნებდით თვალყურს. ეს უკანასკნელი ძალზედ მაღალ შეფასებას აძლევს ახალგაზრდა ქართველ მეცო-სოპრანოს. ჯერ კიდევ ამომავალი ვარსკლავი თბილისში დიდი სიამოვნებით დაბრუნდა სპექტაკლის გასამართად. ხოზეს პარტიის შესასრულებლად კი მას მარიას თეატრის სოლისტი იური ალექსეევი ჩამოჰყვა. სამწუხაროდ, ამ უკანასკნელზე იგივე ენთუზიაზმით ვერ ვისაუბრებთ. ავადმყოფობის, თუ რაიმე სხვა მიზეზის გამო, ალექსეევმა, კვლავ საოპერო ჟარგონი რომ მოვიშველიო, ფაქტობრივად, "ჩააგდო" პარტია. მიუხედავად არტისტული მცდელობებისა, მან ვერც ერთი მაღალი ბგერა ვერ აიღო (განსაკუთრებით მე-3, მე-4 მოქმედებაში). შედარებით უკეთესი იყო პირველ მოქმედებაში, თუმცა მზია ნიორაძის კარმენმა იგი საგრძნობლად დაჩრდილა. გასტროლის ორგანიზატორები ნუ მიწყენენ, მაგრამ მრავალი კონკურსის ლაურეატს, მრავალი პარტიის შემსრულებელსა და ფართო საგასტროლო გამოცდილების მქონე ალექსეევის გუშინდელ გამოსვლას ნებისმიერი ქართველი ტენორი აჯობებდა.

პეტერბურგელ გასტროლიორებს პარტნიორობას მათი ახალგაზრდა ქართველი კოლეგები უწევდნენ. თინათინ ჩხიკვაძეს (მიქაელა), ლევი იმედაშვილს (ცუნიგა) და ვანო გალუაშვილს (ესკამილიო) მსმენელების მხარდაჭერა ნამდვილად არ დაჰკლებიათ. ორკესტრს კი გელა ფარჩუკიძე დირიჟორობდა.

აღსანიშნავია, რომ ახლო მომავალში ოპერის კიდევ რამოდენიმე მნიშვნელოვანი საგასტროლო ღონისძიება იგეგმება. 27 ივნისს თეატრს კუბის ნაციონალური ბალეტის სოლისტები ლაურა ჰორმიგონი და ოსკარ ტორადო ეწვევიან. 5 და 7 ივლისს კი ვერდის "დონ კარლოსს" პაატა ბურჭულაძე და მარიას თეატრის სოლისტი, ბარიტონი ალექსანდრ გერგალოვი შეასრულებენ.

კვირის მიმოხილვა

# ფილარმონიაში "ვეფხისტყაოსანს" ძვირადღირებული უცხოური ლიტერატურის ფონზე კითხულობდნენ

დავით ანთაძე

გასული კვირის მნიშვნელოვანი მოვლენები ლიტერატურასა და ლიტერატორებს უკავშირდებოდა. მეტიც, მათ გარშემო ცოფიანი ტემპით ვითარდებოდა. აშკარად იგრძნობოდა ქართველი მწერლების ძველი თაობის უკმაყოფილება და პრეტენზია ახალი თაობისა და მთავრობის მიმართ, რადგან "ცისფერყანწელების" მიერ დაფუძნებულ მწერალთა კავშირს დღეს "კმარას" ყიჟინით შლიან და ორმნიშვნელოვნად მიუთითებენ, რომ ახალი ცოცხი კარგად ჰგვის.

რას ჰგვის და როგორ, ამას, ალბათ, მალე შევიტყობთ. ფაქტია, მწერალთა კავშირში კულტურის სამინისტროს გადაწყვეტილების გამო ატეხილი აჟიოტაჟი არცთუ უსაფუძვლოა - მწერალთა კავშირის გაუქმება და მაჩაბელის N 13-ის ლიტერატურულ სახლად გადაკეთების წინადადება მწერლებმა მტკივნეულად განიცადეს, თუმცა მისი ქვეტექსტი მაინც ამოიკითხეს. ქონებას გვართმევენ - ასეთი იყო კულტურის სამინისტროს გადაწყვეტილების ინტერპრეტაცია (როგორც ჩანს, მწერალთა კავშირში ახალგაზრდებთან "დამეგობრება" კომუნალურ პირობებში თანაარსებობისა თუ დაბრუნების მოწოდებათ აღიქვეს), რომელიც ე.წ. მამებისა და შვილების დაპირისპირებაზე მიუთითებს, რადგან ამ ქონებით არასოდეს უსარგებლიათ ახალგაზრდა მწერლებს. მეტიც, მაჩაბელის 13 ნომერში მათ არასოდეს გაუმართავთ ახალი წიგნის პრეზენტაცია და მისი განხილვა.

მწერლები საერთო ენის გამონახვას ჯერაც ვერ ახერხებენ. ხანდაზმული ლიტერატორები იმით აპელირებენ, რომ კანონში შემოქმედებითი მუშაკების შესახებ ცალსახად წერია, რომ თანამდებობის პირებს მწერალთა კავშირის საქმიანობაში ჩარევის უფლება არ აქვთ. ახალგაზრდები კი ასეთი ავტონომიის ნეგატივიზმზე და ბუნდოვან მონოპოლიაზე ლაპარაკობენ. არგუმენტად იშველიებენ კულუარულ ინფორმაციას, რომ შენობის ესა თუ ის ფართი გაცემულია იჯარით და შემოსული თანხა არამართლზომიერად იხარჯება. მოკლედ, თეატრალების სამაგალითოდ, მწერლების "ახალი თაობა და მოძრაობა" წარმატებით იღებს აბორდაჟით მწერალთა კავშირს და მსუბუქი პათეტიკით გაიძახის "კმარას".

16 ივნისს მიხეილ თუმანიშვილის სახელობის ხელოვნების მე-8 საერთაშორისო ფესტივალი ახალი წიგნის პრეზენტაციით დასრულდა. მიხეილ მარმარინოსის სპექტაკლით "ეროვნული ჰიმნი" მოხიბლული მაყურებელი მალე ეროვნული სიახლითაც დააინტერესეს. ცნობილი ქართველი მეცენატი ბადრი პატარკაციშვილის დახმარებით ქეთი დოლიძემ წიგნი "მიხეილ თუმანიშვილი ფიქრობს" გამოცა (ბადრი პატარკაციშვილის სახელობის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით), რომელიც რაღაცით ეხმიანება ანატოლი ვასილიევის მიერ რუსულად გამოცემულ და ფესტივალის გახსნის ცერემონიალზე წარმოდგენილ "სანამ რეპეტიცია დაიწყებას".


მარიკა ამურველაშვილის ფოტო

ბაზრობაზე, რომელზეც წიგნის ხარისხი და ფასი პირდაპირპროპორციული იყო, თავისი წიგნები გამოფინა სამოცამდე გამომცემლობამ


იური ლობოდინის ფოტო

ფესტივალის უდავო მფარველი აღმოჩნდა მამუკა ხაზარაძე, რომელიც მადლიერად დაეუფლა ხელოვნების ფესტივალის არათეატრალურ პრიზს.

სინამდვილეში, თუმანიშვილის ფიქრები ტრილოგიის პირველი ნაწილია და დოლიძის თქმით, შემდგომი ნაწარმოები საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილ მასალას მოიცავს. როგორც ეს მოსალოდნელი იყო, წიგნის "მიხეილ თუმანიშვილი ფიქრობს" პირველი ეგზემპლარი პატარკაციშვილს მიართვეს.

ნაკლებად პომპეზურ "საჩუქარზე" ახალი ნომინაცია გამოჩნდა. "მფარველი" - ასეთი იყო ნომინაციის სახელწოდება, რომელიც ბევრს ირონიულიც კი მოეჩვენა. ასეა თუ ისე, ფესტივალის უდავო მფარველი აღმოჩნდა მამუკა ხაზარაძე, რომელიც პატარკაციშვილის კვალდაკვალ მადლიერად დაეუფლა ხელოვნების ფესტივალის არათეატრალურ პრიზს.

ამავე დღეს წიგნების პრეზენტაციები ფილარმონიის ფოიეშიც მოეწყო.

ფილარმონიაში წიგნის მე-6 ფესტივალი დამთავრდა, რომელიც ძალიან ჰგავდა წიგნის ბაზრობას. ბაზრობაზე კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის გიორგი გაბაშვილისა და განათლებისა და მეცნიერების მინისტრის კახა ლომაიას გამოჩენა ირიბად მიანიშნებდა, რომ ღონისძიება სახელმწიფოს მხარდაჭერით იმართება. ასეთი მხარდაჭერის წყალობით ბაზრობაზე, რომელზეც წიგნის ხარისხი და ფასი პირდაპირპროპორციული იყო, თავისი წიგნები გამოფინა სამოცამდე გამომცემლობამ.

თვითშემოქმედების ნიშნებს ატარებდა დავით ტურაშვილის ინიციატივით გამართული ღონისძიება, რომელზეც დაბეჯითებით კითხულობდნენ "ვეფხისტყაოსანს". სავარაუდოდ, ეს იმისთვის იყო საჭირო, რომ ცივილიზებულ ევროპას, კერძოდ ესპანეთს არ ჩამოვრჩეთ, რომელშიც მთელი დღის განმავლობაში სერვანტესის "დონ-კიხოტს" კითხულობენ. ლადო ასათიანისა და გალაქტიონ ტაბიძის წიგნების ელექტრონული ვერსიის ფონზე ტურაშვილის ასეთი აღტყინება გასაგებიცაა. ცხადია, მწერალს გულწრფელად ჯერა, რომ "ინტერნეტის თაობის" მოსათვინიერებლად თანამედროვე ტექნოლოგიის მეშვეობით ქართული ლიტერატურის პროპაგანდა აუცილებელია.

სამწუხაროდ, წიგნების მე-6 ფესტივალის დახურვა მეტად უღიმღამო გამოდგა - წიგნებს სწრაფად აწყობდნენ მუყაოს ყუთებში და უკან მიჰქონდათ წიგნების სახლში, სადაც ფესტივალის განწყობა გეკარგება, სამაგიეროდ არ გაფრთხობს ფასი...

17 ივნისს "ძველ გალერეაში" არც შოთა იათაშვილი ცდილობდა მკითხველის დაფრთხობას, მაგრამ მისი ახალი კრებულის "ფანქარი ცაში" შეძენა "სულ რაღაც ხუთ ლარად" სავალდებულოდ არავინ მიიჩნია. შოთა იათაშვილი ხატავს კიდეც. გალერეაში წიგნის პრეზენტაციის პარალელურად მისი ნამუშევრების გამოფენაც მოეწყო, რომელზეც ლიტერატურულმა კრიტიკოსმა ათი წლის ნაღვაწი გამოფინა. პრიმიტივიზმის ნიშნით დაღდასმული ესა თუ ის ნამუშევარი, სიმართლე ითქვას, მაინც პროფესიონალიზმის ნიშნებს ატარებს. ამასთანავე კონცეპტუალურია და ისევე როგორც მისი ლექსების, ასევე ნახატების ანალიზისთვის თითქოს საჭიროა კონკრეტული მეთოდოლოგია.

საკუთარ ლირიკაზე პოეტი განზოგადებით წერს: "ჩემი ლექსები კუბოებია, მათში მე ვარ ჩასვენებული და სახლში, რომელსაც პოეზია ჰქვია სახელად, ვწევარ მკვდარი და პანაშვიდზე მოდის და მოდის ყოველდღე ხალხი"... მსუბუქი ირონიით უნდა ითქვას, რომ ეს მშვენიერი ლექსია ("ლექსი კუბო") და, სავარუდოდ, საკუბოვე პიროვნების მესიჯია მეკუბოვის მისამართით. თუმცა, მეორე მხრივ, ეს მართლაც მშვენიერი ლექსია, რომელიც მიგვანიშნებს, რამდენად "გამჯდარია" იათაშვილი საკუთარ ლექსებში, ანუ რამდენად იგრძნობა ლექსში პოეტის სული. მის პოეზიას ვერლიბრის ნიმუშს მიაკუთვნებენ და იქვე გაგვიმარტავენ, რომ "ეტიმოლოგიურად ლიტერატურული ვერლიბრი უფრო ლიტერატორთა მიერ შექმნილი პოეზიაა, ვიდრე პოეტთა". ამიტომ ლიტერატურული კრიტიკოსის თეთრი პოეზიით გატაცება ერთობ ლოგიკურია, რომლის გააზრება, განვმეორდები, მეთოდოლოგიის გარეშე საკმაოდ რთულია.

შოთა იათაშვილის ახალი კრებულის გამოცემას ნაირა გელაშვილის პრინციპულობას უნდა ვუმადლოდეთ (ყოველ შემთხვევაში ასე წერია წიგნის ყდაზე). კრებულში თავმოყრილია ათი წლის შემოქმედება, დაწყებული 1993 წლის "ანომალიური პოეზიით" (ახალი კრებულის პირველი ქვეთავი "ანომალიური პოეზია" 1993 წლის მოვლენების შესაბამისი სახელწოდებაა. იმჟამად შოთა იათაშვილი მხოლოდ იწყებდა ლექსების წერას...) - დამთავრებული 2004 წელს გამოცემული წიგნით "ფანქარი ცაში".

იმავე საღამოს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ნატო ვაჩნაძის 100 წლის იუბილე აღნიშნეს. თუმცა, ამ ღირსშესანიშნავი თარიღის აღნიშვნა ეროვნულმა ბიბლიოთეკამ ჯერ კიდევ 14 ივნისს, ანუ მსახიობის დაბადების დღეს დაიწყო ექსპონატების, წიგნების, უცნობი ფოტოებისა და ხელნაწერების გამოფენით. მაშინ კრიტიკულად აღნიშნეს კიდეც, რომ ნატო ვაჩნაძე უფრო მეტს იმსახურებს, ვიდრე ბიბლიოთეკის კამერულ სივრცეში სიმბოლურ გამომწყვდევას.

17 ივნისს უკმაყოფილო სტუმრები დიდი ღონისძიებით დააკმაყოფილეს, რომელზეც ოთარ მეღვინეთუხუცესი, მარინა ჯანაშია, მარაბ ნინიძე და სხვა მსახიობები ეპიტაფიის სახით ნატო ვაჩნაძის მისამართით გამოთქმულ ისტორიულ ფრაზებს იმეორებდნენ. ქართველი ქალის სიმბოლოს უკვდავსაყოფად ეკრანზე ბიოგრაფიული ჟანრის დოკუმენტური ფილმიც აჩვენეს. ვაჩნაძის ფენომენზე კულტურის მინისტრმაც ილაპარაკა. მეტიც, მართალია, გრეტა გარბო, მარლენ დიტრიხი ან სხვა მსახიობი არ უხსენებია, მაგრამ თავდაჯერებით ახსენა, რომ ქართველებმა მსოფლიოს საკუთარი ფოტოგენია მოვუვლინეთ (ამ ფენომენის სახელობის მუზეუმი რატომღაც მხოლოდ გურჯაანშია).

თითქმის 13 წელია პარლამენტის შენობის წინ ეროვნული ერთიანობის მონუმენტის აღმართვას გვპირდებიან. გაიმართა კონკურსი, რომელშიც 26 მაისს კახა ქორიძის და შოთა და მამუკა ჩხაიძეების პროექტმა გაიმარჯვა. ამასთან დაკავშირებით 18 ივნისს საქართველოს ჟურნალისტთა კავშირი "სხივის" პრეზიდენტმა თამაზ ბიბილურმა ჟურნალისტთა ფედერაციაში საგანგებო პრესკონფერენცია გამართა და ღიად დაუპირისპირდა ჟიურის თავმჯდომარეს მხატვარ გია ბუღაძეს.

კახა ქორიძის და შოთა და მამუკა ჩხაიძეების პროექტმა, რომელშიც ბიბილურს თვალს ჭრის ვარდის დეტალი, სერიოზული კამათი გამოიწვია. თუმცა, არგუმენტი, რომ ვარდი მასონური ლოჟას ნიშანია, არასერიოზულია და უფრო იმაზე მიანიშნებს, რომ ბიბილურისთვის ნოემბრის მოვლენების სიმბოლოთი 1989 წლის აპრილის რევოლუციის უკვდავყოფა აშკარა უპატივცემულობაა.

ამასთანავე 17 ფილა 21-ის ნაცვლად ადამიანურ "ბულალტერიაში" მცირე გარღვევაზე მიანიშნებს (ცხრა აპრილს ხომ სწორედ 21 ადამიანი დაიღუპა). თუმცა, 9 აპრილს დაღუპულები იმაზე მეტს იმსახურებენ, ვიდრე ფილებს სათანადო ეპიტაფიით. მეტიც, ეს ისეთივე მატერიალიზაცია იქნება 9 აპრილის იდეის, როგორიც ის მემორიალი, რომელიც გმირთა მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე მზის დისკოს ნაცვლად აღმართეს. იდეის ასეთი დამიწების წინააღმდეგ იბრძვის ბიბილური, რომელსაც თამამად შეუძლია აფხაზეთის ომში დაღუპული გმირების მემორიალის გაპროტესტება იდეის პროფანაციისთვის (სად მზის დისკო და მის სხივებზე ამოტვიფრული მებრძოლების სახელი და გვარი და სად ბეტონის კედლები, რომელზეც ოქროსფრად წერია გმირების ვინაობა).

# ვარსკვლავი სახელად მზე

## 44 წლის წინათ ვიქტორ ცოი დაიბადა

ანა კორძაია-სამადაშვილი

ცნობილია, რომ ის, ვინც სავსეღ ცხოვრობს, ახალგაზრდა კვდება და ლამაზ სხეულს ტოვებს, თავისთავად იქცევა ხოლმე ლეგენდად. მაგრამ, ამ შემთხვევაში მხოლოდ ასეთ ლეგენდასთან როდი გვაქვს საქმე. ოდესღაც არსებული უზარმაზარი ქვეყნისთვის ცოი ბევრად მეტს ნიშნავდა, ვიდრე ნებისმიერი სხვა პოლიტიკური მოღვაწე, წინასწარმეტყველი თუ მწერალი.

ცოის სიყვარულს და თავისუფლებას უმღეროდა. ცხოვრების გზაზე მწყობრად მიმავალი მეგობრები, რომლებიც მხოლოდ ლუდის ჯიხურებთან ჩერდებიან ხოლმე, გოგონა, რომელიც ავადაა, ბრეზენტის ველზე დარგული ალუმინის კიტრები თუ მატარებელი, რომელსაც თავისი მგზავრები სულ სხვაგან მიჰყავს მათთვისაც კი ძვირფასია, ვინც იმ ქვეყნის მოქალაქეობას არ მოსწრებია. ვიქტორ ცოის შემოქმედება არ ძველდება – სიყვარული და თავისუფლება ხომ სწორედ ისაა, რაც ადამიანებს მუდამ აკლიათ და ენატრებათ.

ყველამ ვიცოდით, რომ ცოი არ ცრუობდა და არ პირფერობდა, რომ მის შემოქმედებასა და პიროვნებას შორის ზღვარი წაშლილი იყო – ისევე მღეროდა, როგორც ცხოვრობდა. მაგრამ ისიც ვიცოდით, რომ მაშინ, გასული საუკუნის ოთხმოციანების ბოლოს, მას მისი დიდი თაყვანისმცემელი, გარკვეულწილად თანამებრძოლი და მასზე არანაკლებ პრინციპული როკ-მუსიკოსი, იური შევჩუკი "შეასკდა". ბრალდება თითქოს უჩვეულოდ ჟღერდა: "გაპოპსავება". რის საფუძველზე? ვიქტორ ცოის ხომ "პოპსასთან" ახლოსაც არ ჩაევლო?

1962 წლის 21 ივნისს, ერთ ძალიან უბრალო ოჯახში დაბადებულ და გაზრდილ ვიქტორს ბევრი ვერაფერი განათლება ჰქონდა მიღებული. ის არც მსოფლიო ლიტერატურის კითხვას აკლავდა თავს და არც ფილოსოფიურ თხზულებათა შესწავლას. თუკი ოდესმე მის ინტერვიუებს გადახედავთ, სადაც ის "კინოს" ისტორიას ჰყვება, საბჭოთა და დასავლური მუსიკის შედარებას თუ "პოპსასა" და როკის გამიჯვნას ცდილობს და ანტისაომარი სიმღერების შესახებას ლაპარაკობს, აღმოაჩენთ, რომ მას არც დიდი ცოდნა გააჩნდა და არც სხვა როკ-მუსიკოსებივით ამბობდა "ალალ სიმართლეს". ის სიტყვებს გულმოდგინედ არჩევდა, ნათქვამს არანაირ განცდას არ აყოლებდა; მისი სიტყვები სიმართლე იყო, მაგრამ სტანდარტული და ამიტომ მოსაწყენი სიმართლე. მოკლედ, ვიქტორ ცოის საუბრით თავის მოწონება არ გამოსდიოდა, ის მუსიკოსი იყო და სათქმელს სიმღერებში ამბობდა – გახსოვთ "ვარსკვლავი სახელად მზე"? – ამას ვიქტორ ცოი საუბარში ვერასოდეს ჩამოაყალიბებდა. ალბათ, არც იყო საჭირო.



ვიქტორ ცოის უკანასკნელი ფოტოსურათი

და უცებ, 1990 წელს, ჯგუფი "კინო" სუპერპოპულარული გახდა: ლენინგრადული როკ-კლუბის ერთი ციდა დარბაზიდან ის მრავალათასიან სტადიონებზე გაიჭრა. ბიჭებს ყველაფერი ჰქონდათ: საუკეთესო აპარატურა, პროფესიული ხმისჩამწერი სტუდიები, ფული, მანქანები, თაყვანისმცემლები. თითქოს, რა სჯობს ამას, მაგრამ არა!

საქმე ისაა, რომ იმ დროისთვის ყველაფერი მეტისმეტად სწრაფად განვითარდა. ამბობენ, რომ ამ საქმეში "კინოს" ვინმე იური აიზენშპიცი დაეხმარა, რომელსაც იმხანად პატიმრობის ვადა მოეხადა (რა საქმეზე იჯდა, ვერ დავადგინე) და მათი ადმინისტრატორი გამხდარიყო. აიზენშპიცი კონცერტების განრიგს ადგენდა აპარატურაზე, ტრანსპორტზე, დაცვაზე, ანაზღაურებაზე, საგაზეთო სტატიებსა და მსგავსებზე აგებდა პასუხს – მოკლედ, ის იყო, რასაც დღეს მენეჯერი ჰქვია და სავსებით ნორმალურ მოვლენად ითვლება. მაგრამ, მაშინ რომანტიკული ოთხმოციანების სული ძალიან ძლიერი იყო, ლენინგრადული როკ-კლუბი არსებობდა და როკ-მუსიკოსები ვიწრო, მათი რწმენით, რჩეულთა წრეს შეადგენდნენ, ღირსებისა და ქცევის თავიანთი დაუწერელი კოდექსით. ცოის "ნამდვილი როკ-ვარსკვლავივით ცხოვრება" მოსწონდა, სხვა მუსიკოსებს ასეთი ყოფა მიუღებლად მიაჩნდათ. და მიუხედავად იმისა, რომ გარდაცვლილებზე აუგის თქმა ცუდ ტონად ითვლება, ვიქტორ ცოის უახლოესი მეგობრებიც კი აღნიშნავდნენ, რომ თავისი ხანმოკლე ცხოვრების უკანასკნელ თვეებში ვიქტორი ძალიან შეიცვალა, და თან არცთუ მოსაწონი კუთხით. "კინოს" წევრებს ისეთი გრძნობა ჰქონდათ, რომ ვიქტორს მათთან ყოფნა აღარ მოსწონდა. იმხანად მან უკვე მოასწრო ორ კინოფილმში, "ნემსსა" და "ასსაში" მონაწილეობა, ეს საქმე ძალიან მოეწონა და კინოკარიერაზე დაიწყო ფიქრი, მით უმეტეს, რომ მისი ახალი მეგობარი ქალის ვიღაც ნათესავი კინოსამყაროში ტრიალებდა (ამ ქალის გამო ვიქტორმა ცოლშვილი მიატოვა, მოსკოვში გადასახლდა და ახალ საზოგადოებაში გაერია). დღეს უკვე სასაცილოდ ჟღერს მის მიერ ლენინგრადში დატოვებული მეგობრების მიერ ხშირად გახსენებული დეტალი – როგორც ჩანს, მათთვის განსაკუთრებით მტკივნეული, - რომ ცოი მოსკოვში ახალ "მოსკვიჩს" დააგელვებდა, და რომ მანქანას დაბინდული მინები ჰქონდა. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ურთიერთობა აშკარად გაუფუჭდათ, ისინი შეთანხმდნენ, რომ 1990 წლის სექტემბერში ახალი ალბომის შესაქმნელად შეიკრიბებოდნენ. შეიკრიბნენ კიდეც. ოღონდ ვიქტორის გარეშე.

კაცმა არ იცის, რა მოხდებოდა, რომ არა ის ავადსახსენებელი "მოსკვიჩი", რომლითაც ვიქტორი დაგეგმილ შეკრებამდე ერთი თვით ადრე სარეისო ავტობუსს შეასკდა. ალბათ, "კინო" კიდევ ერთ-ორ ალბომს ჩაიწერდა, შესაძლოა, ვიქტორი საზღვარგარეთაც წასულიყო, ან ჯგუფი დაშლილიყო და მერე, ათი წლის თავზე, კვლავ ერთობლივი კონცერტი გაემართა. შესაძლოა, საქმე იქამდე მისულიყო, რომ ვიქტორ ცოი სადმე ლიუბა უსპენსკაიასთან ერთად გამოსულიყო – სადაც სუკაჩოვმა შუფუტინსკი აიტანა, რაღა გაგვიკვირდეს...

რაც არ უნდა შემზარავად ჟღერდეს, შესაძლოა, ყველაზე მოწყალე ძალამ გააჩინა ვიქტორ ცოის ცხოვრების გზაზე ის საბედისწერო "იკარუსი" – როგორც ჩანს, გადაწყვიტა, რომ მისი ამქვეყნიური მისია სწორედ ასე უნდა დასრულებულიყო.

ყველაფერს ამას აღარავითარი მნიშვნელობა არა აქვს. მსგავსი ამბები სულ წვრილმანებია, რადგან "წითელი, წითელი სისხლი ერთი საათის შემდეგ უბრალოდ მიწაა, ორის შემდეგ მასზე ყვავილები და ბალახი ამოდის, სამის შემდეგ კი ის კვლავ ცოცხალია და გამთბარია იმ ვარკვლავის სხივებით, რომელსაც ჰქვია მზე".

# კონკურსი ევრო 2004

ლიდერთა მდგომარეობა 5 მატჩის შემდეგ და მათი პროგნოზები

| ადგ | გვარი, სახელი, მამის სახელი | ქულა | პროგნოზი 06 | 07 | 08 |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | აქუბარდია ზურაბ სერაპიონის ძე | 71 | 0:3 | 0:1 | 1:2 |
| 2-3. | დოლიძე დავით პაატას ძე | 64 | 0:2 | 1:1 | 1:2 |
| 2-3. | მუმლაძე მარეხ შოთას ძე | 64 | 0:1 | 1:0 | 2:0 |
| 4-10. | აქუბარდია ზურაბ სერაპიონის ძე | 60 | 0:3 | 1:0 | 2:1 |
